

წმიდა ღირსი ნიკოლოზ კაბასილა

ღვთაებრივი ლიტურგიის განმარტება



წმიდა ღირსი ნიკოლოზ კაბასილა - ისიქაზმის ბიზანტიური ტრადიციის ბრწყინვალე წარმადგენელი

წმინდა ღირსი ნიკოლოზ კაბასილა - ისიქაზმის ბიზანტიური ტრადიციის ბრწყინვალე წარმადგენელი, გამოჩენილი მართმადიდებელი ღვთისმეტყველი და ლიტურგისტი. მისი ღვთისმეტყველება მართმადიდებლობის ღია და ღრმა დიალოგია აღორძინების მსოფლმხედველობასთან. დიალოგი, რომელშიც ქრისტეს გარეშე არსებული უტოპიური ჰუმანიზმი ადამიანის შესახებ ეკლესიის სწავლებას უპირისპირდება. მისი სწავლების მიხედვით, ადამიანი ღვთის ხატად და მსგავსად არის შექმნილი და დაკნინებული ხატების აღსადგენად განღმრთობისაკენ არის მოწოდებული, რაც ეკლესიის ლიტურგიკული და ლოცვითი გამოცდილების სრული ურთიერთობის შედეგად მოიპოვება.

ნიკოლოზ კაბასილა დაახლოებით 1320 წელს თესალონიკში არისტოკრატთა ოჯახში დაიბადა. XI საუკუნიდან დაწყებული მისი გვარის წარმომადგენლები ბიზანტიის საეკლესიო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. დედამისი სამი მღვდელმთავრის დაა, რომელთაგან ყველაზე მეტად ცნობილი ნილოს კაბასილა გახლდათ. იგი ეკლესიის მომავალ მნათობის მასწავლებელი, თესალონიკის მთავრეპისკოპოსის (1361-1363 წლებში) და ლათინელთა წინააღმდეგ დაწერილი რამდენიმე პოლემიკური თხზულების ავტორია.

1335-1340 წლებში ნიკოლოზ კაბასილა კონსტანტინეპოლში სწავლობს. გრამატიკასთან, რიტორიკასა და ფილოსოფიასთან ერთად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიც შეისწავლა, განსაკუთრებულ ინტერესს ასტრონომიის მიმართ იჩენს.

წყაროები მოწმობენ, რომ უკვე 30-იან წლებში ნიკოლოზ კაბასილას ისიქაზმურ მოძრაობასთან მჭიდრო კავშირშია. ახალგაზრდობაში მის სულიერ წინამძღოლად ღირსი მამის გრიგოლ სინანელის მასწავლებელი და მომავალი კონსტანტინეპოლის პატრიარქი ისიდორე I გვევლინება, რომელსაც წმიდა გრიგოლმა ასეთი რჩევა მისცა: „ცხოვრება არა უდაბნოსა და მთებში, არამედ ერში, (რათა გამოკვებონ) ისინი, ვინც მონაზვნურად და კინოვიურად ცხოვრობს“. ამ სიტყვების კაბასილას ზოგიერთ ტექსტთან შეჯერება ლაიკური (საერო) ისიქაზმის ტრადიციაზე მიგვანიშნებს, რომელიც ისიქაზმურ მონაზვნობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

1341 წლიდან წმინდა ნიკოლოზ კაბასილა პოლიტიკურ და რელიგიურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობს. მრავალი წლის განმავლობაში ის იმპერატორ იოანე კანტაკუზინის მეგობარი და მრჩეველია, გვერდით უდგას სამოქალაქო ომის დროს და

სიკვდილს ძვლივს გადაურჩა 1345 წელის აგვისტოში - ზილოტების მიერ თესალონიკელი დიდებულების საშინელი ხოცვა-ჟლეტის დღეებში.

1347 წელს კანტაკუზინმა კაბასილას დაავალა, ახალგამორჩეულ თესალონიკის მთავარეპისკოპოს წმიდა გრიგოლ პალამას გაჰყოლოდა კათედრაზე. სალონიკელები არ იღებდნენ წმიდა გრიგოლს. ის და კაბასილა ათონის მთისკენ გაემართნენ, სადაც ერთი წელი დაჰყვეს. უდიდეს ისიქასტთან ამგვარ სიახლოვეს შეუძლებელია წმიდა ნიკოლოზის მომავალ საღვთისმეტყველო თხზულებებზე ზეგავლენა არ მოეხდინა. როგორც იოანე მეინდორფი ამბობს: „კაბასილას ნაშრომებში გრიგოლ პალამას მთელი ტრადიციის განმარტებას ვნახულობთ, თუმცა ის სხვა ტერმინოლოგიით სარგებლობს“.

წყაროთა მოწმობით, კაბასილამ და მისმა მეგობარმა დიმიტრი ხიდონისმა თავად იმპერატორისაგან იცოდნენ მისი მამონტის მონასტერში (1349 წ.) განმარტოების სურვილის შესახებ და მასთან ერთად წასვლას აპირებდნენ. კანტაკუზინი მათ ახასიათებს როგორც მამაკაცებს, რომელთაც უმაღლესი სიბრძნე შეიძინეს, რომელნიც საქმით სიბრძნისმეტყველებდნენ და გონიერ უქორწინო ცხოვრებას ეწეოდნენ, ასე ვთქვათ, „საერო ასკეტებად“, განათლებულ და ბრძენ მამაკაცებად გვევლინებოდნენ, რომელნიც ქრისტიანული ასკეტიზმის უმაღლეს ლიტერატურულ, სამეცნიერო და ფილოსოფიურ შემოქმედებასთან შერწყმას ცდილობდნენ.

კაბასილამ მტკიცე მართმადიდებლური პოზიცია დაიცვა ანტიპალამისტების განმსჯელი ვლადიმერის კრების დროს 1351 წელს და მის შემდგომაც. თანამედროვეთა შორის მისი დიდი ავტორიტეტის შესახებ შემდეგი ფაქტი მეტყველებს: 1353 წელს კონსტანტინეპოლის კათედრა დაქვრივდა. კრებამ იმპერატორს სამი კანდიდატიდან ერთ-ერთად ერისკაცი კაბასილაც წარუდგინა. სავარაუდოა, რომ იგი ერისკაცად სიცოცხლის ბოლომდე დარჩა, ყოველ შემთხვევაში, კაბასილას შესახებ ჩვენამდე მოღწეული არც ერთი წყარო მის მონაზვნად აღკვეცას ან სამღვდლო ხარისხის მიღებას არ მიუთითებს (მისთვის თესალონიკის მთავარეპისკოპოსის ღირსების მინიჭება მხოლოდ ისტორიული გაუგებრობაა).

1353 წლის შემდეგ კაბასილას ცხოვრების შესახებ ჩვენამდე მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტული მოწმობაა შემორჩენილი. მან 1354 წელს, საიმპერატორო ტახტზე იოანეს ძის, მანუილ კანტაკუზინის ასვლის დროს, სახოტბო სიტყვა წარმოთქვა. 1363 წელს თესალონიკში თავისი ბიძის ნილოსის და შემდეგ მამის დაკრძალვაზე ჩავიდა.

XIV ს-ის 60-იან წლებიდან იგი აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას წყვეტს და მონასტერში მიდის, სადაც დროს საღვთისმეტყველო ნაშრომების წერას უთმობს.

იმის დასტურად, რომ ნიკოლოზი 90-იანი წლების პირველ ნახევრამდე ცოცხალი იყო, მის მიერ მანუილ II-ისადმი, დიმიტრი კიდონისა და იოსებ ვრიენისადმი გაგზავნილი ზუსტად დათარიღებული წერილები გვევლინება. კაბასილას აღსრულების სავარაუდო თარიღად 1397 (1398) წელი მოიაზრება.

ბერძნულმა მართმადიდებლურმა ეკლესიამ 1982 წელს ნიკოლოზ კაბასილა წმინდანად შერაცხა.

წმინდა ნიკოლოზ კაბასილას შემოქმედება საკმაოდ ვრცელია. აქედან ორი ნაშრომია უმთავრესი: „შვიდი სიტყვა ქრისტეში ცხოვრების შესახებ“ და „ღვთაებრივი

ლიტურგიის განმარტება“. პირველი წიგნი საიდუმლოთა - ნათლობის, მირონცხებისა და ევქარისტის განმარტებას მოიცავს. მეორე სახელწოდება შინაარსზე თავად მიუთითებს. ავტორი მასში, დადგენილი ტრადიციის კვალდაკვალ, ლიტურგიას განმარტავს როგორც ქრისტეს ცხოვრების სიმბოლურ განმეორებას. კაბასილამდე კომენტატორები, მაგალითად, პატრიარქი გერმანე (VIII ს.), ნებისმიერ ლიტურგიკულ დეტალს სიმბოლურად განმარტავდნენ. ამ გზაზე ადამიანური წარმოსახვისთვის საკმაოდ დიდი სივრცეა: ერთი და იგივე დეტალი შეიძლება რამდენიმე განსხვავებული საშუალებით განიმარტოს და კომენტატორის სურვილისამებრ მიენიჭოს ესა თუ ის მნიშვნელობა. კაბასილა თავისი წინამორბედებისაგან არსობრივად იმით განსხვავდება, რომ ლიტურგიის დეტალების სიმბოლურ განმარტებას არ ცდილობს. წმინდა გრიგოლ პალამასთან ერთად ის განმარტებელთა სხვა სკოლას ეკუთვნის, რომელთათვისაც ლიტურგიის შინაარსი სიმბოლურ ჩარჩოებს ბევრად სცდება.

ხსენებული ორი წიგნის გარდა კაბასილას კალამს სხვადასხვა წმინდანისა და ღვთისმშობლისადმის მიძღვნილი რამდენიმე „სიტყვა“ ანუ ქადაგება ეკუთვნის. მისი ჰომილიები იმის დასტურია, რომ იმ დროისათვის ერისკაცებს ქადაგების წარმოთქმის უფლება ჰქონდათ.

კაბასილას შემოქმედებას დასავლეთშიც იცნობდნენ. ის ლათინურად ითარგმნა და გარკვეული გავლენაც ჰქონდა. ტრიდენტის კრებაზე კაბასილას ციტატები ქრისტეს ევქარისტიაში მონაწილეობის დოგმატის დამადასტურებელ საბუთად მოიშველიეს.

კავასილას იდეათა მიმართ სისტემატიზებული მიდგომა შეუძლებელია. მისი დოგმატური შეხედულებები ქრისტეში სულიერი ცხოვრების შესახებ მისი აზრის კონტექსტშია გადმოცემული. მასში წმიდა გრიგოლ პალამასთან უცილობელ მსგავსებას აღმოვაჩინთ: „ქრისტეში ცხოვრება ამ ცხოვრებაში იწყება და მისგან მომდინარეობს“ - ამ სიტყვებით იწყება კავასილას წიგნი „შვიდი სიტყვა ქრისტეში ცხოვრების შესახებ“.

დეკანოზი გიორგი შაინიძე

მღვდელი დიონისე გვიმრაძე

1. ლიტურგიისთვის მომზადება

წმიდა საიდუმლო ღვთისმსახურებისას პატიოსანი ძღვენი ღვთაებრივ ხორცად და სისხლად გარდაიქცევა. მისი მიზანი - მორწმუნეთა განწმენდაა, რომლებიც წმიდა ძღვნის მიღებით (ზიარებით) ცოდვების მიტევებას, ცათა სასუფეველის მემკვიდრეობას და სხვა მსგავს წყალობას იღებენ.

როგორც უშუალოდ ქმედების (წმიდა ძღვნის კურთხევა), ასევე მიზნის (ღვთისმსახურება) მისაღწევად შემწედ და მოსამზადებლად ლოცვები, ფსალმუნთგალობა და წმიდა წერილის კითხვა გვევლინება, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც ღვთისმსახურებისას აღესრულება და წარმოითქმება, როგორც ძღვნის კურთხევამდე, ასევე კურთხევის შემდეგ. მართალია, ღვთის ყოველი სიწმიდე ძღვნის სახით მოგვეცემა, ხოლო ჩვენ მას ვერაფერს მივართმევთ და მისი ძღვენი უმკაცრესი მნიშვნელობით არსობრივად ძღვენია, მაგრამ იგი დაჟინებით მოითხოვს ჩვენგან, რომ შევძლოთ სიწმიდის არა მხოლოდ მიღება, არამედ შენარჩუნებაც. ადამიანებს, რომლებიც არ არიან მზად ამისათვის, ის არც კი მისცემდა კურთხევას. ამ პირობით გვიძღვნის იგი ნათლობისა და მირონცხების მადლს. ამავე პირობით უშვებს თავის სერობაზე და გასცემს საშინელ საზრდელს, რაც მან გამოხატა თესლის შესახებ იგავში, როდესაც თქვა - დათესე თესლი, მაგრამ დათესვამდე კარგად დაამუშავე და მოამზადე ნიადაგი (მათ. 13:3).

ამრიგად, რადგან ასე მნიშვნელოვანია, საიდუმლოებების ზიარებას ამგვარი კეთილგანწყობითა და შემზადებით შევუდგეთ, წმიდა მსახურების შემადგენელ ნაწილად ისიც (სათანადო მომზადება) უნდა შესულიყო ისე, როგორც არის. სწორედ ამგვარი ძალა აქვს ჩვენთან მიმართებით ლოცვებს, ფსალმუნებს და ყოველივე იმას, რაც ლიტურგიის დროს აღესრულება და წარმოითქმება, ვინაიდან ისინი განგვწმენდენ და კეთილად განგვაწყობენ სიწმიდის შესაბამისი მიღებისთვის, მისი შენახვისა და შემდგომი შენარჩუნებისთვის.

ისინი ორი საშუალებით განგვწმენდენ. პირველი საშუალება ის არის, რომ ჩვენ სარგებელს ლოცვებით, ფსალმუნებითა და კითხვით ვიღებთ. ლოცვები ღმერთისკენ მიგვმართავს, ცოდვათა შენდობას გამოითხოვს, ისევე, როგორც ფსალმუნთგალობა ხდის ჩვენდამი მოწყალეს ღმერთს და ზეციდან დახმარებას იზიდავს. ნათქვამია: "შესწირე ღმერთისა მსხურპლი ქებისაი... და მე გიხსნა შენ და შენ მადიდო მე" (ფს. 49:14-15). ხოლო წმიდა წერილი ღვთის მოწყალებასა და კაცთმოყვარეობასთან ერთად სიმართლესა და მსჯავრს გვაუწყებს, ჩვენს სულებში ღვთის შიშს ნერგავს, ღვთის სიყვარულით გვატყვევებს და ამგვარად მისი მცნებების აღსრულების მტკიცე მზადყოფნით გვავესებს. ყოველივე ეს როგორც სასულიერო პირის, ისე მრევლის სულებს უკეთესსა და ღვთისათნოს ხდის. მასაც და ხალხსაც პატიოსანი ძღვნის მიღებისა და დაცვის უნარს ანიჭებს, რაც ღვთისმსახურების მიზანს წარმოადგენს. კერძოდ, მღვდელს ამზადებს მსხვერპლშეწირვის ღირსეულად აღსრულებისთვის, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საიდუმლო ღვთისმსახურების საგანს შეადგენს. სწორედ ამას მრავალგან შეიცავს ლოცვები; ღვთისმსახური იმისთვის ლოცულობს, რომ არ აღმოჩნდეს უღირსი მომავალი ღვთისმსახურებისა, არამედ წმიდა ხელებით, გულითა და ბაგეებით მოახერხოს საიდუმლოს მსახურება და ამგვარად ის სიტყვებიც, რომლებიც იკითხება და იგალობება, თავისთავად გვეხმარება ღვთისმსახურების (საიდუმლოს) აღსრულების დროს.

გარდა ამისა, ყოველივე ამით და ყველაფრით, რაც ღვთისმსახურებისას აღესრულება, განწმენდას მეორე საშუალებითაც ვიღებთ - იმით, რომ ამ ყველაფერში ვჭკვრეტო ქრისტეს სახეებას, მის საქმეებს ჩვენ მიმართ და მის ტანჯვას, ვინაიდან

ფსალმუნებში, საკითხავებსა და ყველაფერში, რაც ღვთისმსახურის მიერ ღვთისმსახურების მიმდინარეობისას აღესრულება, მხსნელის მნეობა (გამოხსნის მსახურება) გამოისახება ისე, რომ რაც უპირველესია გამოხსნის მსახურებაში, ღვთისმსახურების პირველ მოქმედებაში განიმარტება, მეორე ადგილი - მეორე მოქმედებაში, მათი შემდგომი კი დანარჩენ ღვთისმსახურებაში; ყველა ეს გარემოება თითქოს მაყურებელთა თვალწინ არსებობს: ასე მაგალითად, ძღვნის კურთხევა ანუ თავად მსხვერპლი გვაუწყებს მაცხოვრის სიკვდილს, აღდგომასა და ამალლებას, რადგანაც ეს პატიოსანი ძღვენი თავად უფლის სხეულად იქცევა, სწორედ იმად, ვინც ყოველივე ეს საკუთარ თავზე მიიღო, რომელიც ჯვარცმულ იქნა, აღდგა და ამალდა ზეცად. ის კი, რაც ამ მსხვერპლს უძღვის წინ, იმას გამოხატავს, რაც იყო მხსნელის სიკვდილამდე - მისი მოვლინება, მისი გამოცხადება და მისი საბოლოო მსახურება (კაცობრიობის გამოხსნის მსახურება); ხოლო რაც მსხვერპლშეწირვას მოსდევს - მამის აღთქმა (ლუკ. 24:49), რომლის შესახებაც თვითონ თქვა, მოციქულებზე სულიწმიდის მადლის გარდამოსვლა, მათი საშუალებით ღვთისკენ წარმართთა მოქცევა და მათი ღმერთთან ურთიერთობა.

მთელი ღვთისმსახურება თითქოს სახეა მხსნელის მეუფების ერთიანი სხეულისა - სახე, რომელიც ყოველ ნაწილს დასაწყისიდან დასასრულამდე ურთიერთთანმიმდევრულად და თანხვედრილად წარმოადგენს.

ამრიგად, ფსალმუნები, რომლებიც დასაწყისში იგალობება და ყოველივე ის, რაც წინ უძღვის იმას, რაც აღესრულება და წარმოითქმება ძღვნის კურთხევამდე, ქრისტეს გამოხსნის აღსრულების პირველ პერიოდს აღნიშნავს, ხოლო რაც ფსალმუნებს მოსდევს, - წმიდა წერილის კითხვა და სხვა, - შემდგომს გამოხატავს. მართალია, ზემოთ საკითხავისა და ფსალმუნთგალობის სხვა სარგებელია ნაჩვენები, რადგან ისინი, როგორც ჩანს, იმისთვის არის შემოტანილი, რომ სიკეთისკენ წაგვაქეზოს და ღვთის გული მოვიგოთ, თუმცა არაფერი უშლით, ამგვარი მნიშვნელობაც ჰქონდეთ.

რასაკვირველია, ერთსა და იმავე საშუალებას შეუძლია როგორც მორწმუნეთა სიკეთისკენ წარმართვა, ისე ქრისტეს მნეობის გამოხატვა. სამოსს, ერთი მხრივ, უბრალო დანიშნულება აქვს - დაფაროს სხეული, მეორე მხრივ კი, იმისდა მიხედვით, თუ როგორია, გამოხატავს იმ ადამიანის ხელობას, ცხოვრების წესს და ღირსებას, რომელსაც ის აცვია. ასევე ჩვენს შემთხვევაშიც. წმიდა წერილი ღვთისგულიერ გამონათქვამებს, ღვთის სადიდებელ საგალობლებსა და სიკეთისკენ მოწოდებას მოიცავს, ყოველივე ამით განწმენდს მათ მკითხველებსა და მგალობლებს. ხოლო რადგან სწორედ ეს საკითხავებია შერჩეული და სწორედ ამ თანმიმდევრობით განლაგებული, ამას სხვა მნიშვნელობაც აქვს - მკაფიოდ გადმოგვცეს ქრისტეს დედამიწაზე ყოფნა და მისი მეუფება. ამასთან, ამგვარი მნიშვნელობა არა მარტო იმას აქვს, რაც იგალობება ან იკითხება, არამედ იმასაც, რაც აღესრულება. ყოველი მოქმედება აუცილებლობით აღესრულება: ის ან ქრისტეს საქმეთა და ქმედებათაგან რომელიმეს, ან მის ვნებას აღნიშნავს. ამგვარია, მაგალითად, სახარებით ან პატიოსანი ძღვნით საკურთხეველში შესვლა. ორივე საჭიროებით აღესრულება: პირველი იმისათვის, რომ შემდეგში სახარება იქნეს წაკითხული, მეორე - მსხვერპლშეწირვის აღსრულებისთვის, ხოლო ერთიც და მეორეც გამოცხადებასა და ქრისტეს გამოაშკარავებულ შესვლას აღნიშნავს კაცობრიობის ხსნის მსახურების საქმეში. ერთი - გაურკვეველი და არასრული გამოცხადებაა, როდესაც მაცხოვარმა ის იყო, თავი გამოაშკარავა, ხოლო მეორე - სრულყოფილი და უკანასკნელი. აღსასრულებელ მოქმედებათა შორის, რასაკვირველია, ისეთი რამეებიც არის, რომლებიც რაიმე საჭიროების დასაკმაყოფილებლად კი არ აღესრულება, არამედ გარკვეული აზრის გადმოსაცემად. მაგალითად, პურის გახვრეტა და მასზე ჯვრის გამოსახვა ან ის, რომ

გახვრეტისთვის განკუთვნილ დანას ლახვრის ფორმა აქვს და ბოლოს ის, რომ წმიდა ძღვენს თბილი წყალი ემატება. ბევრი მსგავსი რამ სხვა საიდუმლოებებშიც შეიძლება შეგვხვდეს, მაგალითად, ნათლობაში: მოსანათლებმა უნდა გაიხადონ სამოსი და ფეხსაცმელი, მიიქცნენ დასავლეთისკენ, გაიწოდონ ხელები და შეჰბერონ, რითაც იმის შთაგონება ხდება, თუ როგორი სიძულვილი უნდა გვქონდეს ბოროტი სულისა და როგორი ხარისხით უნდა განვივრცოს ზიზღი მის მიმართ იმათგან, ვისაც ჭეშმარიტ ქრისტიანად ყოფნა სურს. ამგვარ მოქმედებებს საიდუმლოთა აღსრულების დროს სხვა მნიშვნელობა აქვს.

ხოლო რაც წმიდა ძღვნის ღვთისმსახურებისას აღსრულება, ყველაფერი პირდაპირ კავშირშია მხსნელის გამოხსნის მსახურებასთან (მნეობასთან) და აღსრულება იმ მიზნით, რომ ჩვენ თვალწინ მიმდინარე ქრისტეს მნეობის ჭვრეტით ჩვენი სულები განიწმინდოს და წმიდა ძღვნის მიღება შევძლოთ. როგორც ერთ დროს ამ მნეობამ სამყარო აღადგინა, ამჟამადაც, თუკი მუდმივად მის ჭვრეტაში ვიქნებით, მჭვრეტელის სულს უკეთესსა და ღვთისსათნოს გახდის. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ქრისტეს ვნება მაშინაც არავითარ სარგებელს არ მოიტანდა, თუ მას არ განჭვრეტდნენ, თუ არ ერწმუნებოდნენ.

ამიტომაც იქადაგეს ღმერთის შესახებ და ამიტომაც გამოიყენა ღმერთმა ურიცხვი საშუალება, რომ იგი ერწმუნათ. იგი ვერ განახორციელებდა თავის მოქმედებას - ადამიანთა გამოხსნას, მისი არსებობა დაფარული რომ ყოფილიყო მათგან, ვინც ხსნას ელოდა. მაგრამ მაშინ, როდესაც მაცხოვრის მნეობაზე ჯერ მხოლოდ ქადაგებდნენ, ამით უწინამძღვრო ხალხის სულში ქრისტეს თაყვანისცემას, მისადმი რწმენასა და სიყვარულს აღძრავდნენ, ე.ი. ისეთ გრძნობას, რომელიც არ არსებობდა, ამჟამად, როდესაც უკვე მორწმუნე ადამიანები ღვთისმოსაური გულმოდგინებით უცქერენ ამავეს, ქადაგება არ აღაგზნებს ამ ღვთისმოსავ გრძნობას, რადგან ის უკვე არის მათში, იგი მხოლოდ ინახავს, განაახლებს და აძლიერებს მას. ქადაგება ხალხს უძლიერებს რწმენის სიმტკიცეს, დიდ მოშურნეობას ღვთისმოსაობასა და სიყვარულში. თუკი ქადაგებით შესაძლებელი გახდა განსხეულებულიყო არარსებული, რასაკვირველია, უფრო ადვილია ქადაგებითვე არსებულის დაცვა, შენახვა და განახლება. ამავე დროს, ღვთისმოსაობა, რწმენა, ღვთის სიყვარული, მხურვალე მოშურნეობა - ეს ის გრძნობებია, რომლებიც უეჭველად უნდა გვქონდეს წმიდა საიდუმლოებებთან მიახლებისას, რადგან ამ გრძნობათა გარეშე მათი ცქერაც კი მეტისმეტი უწმინდურებაა.

ამიტომაც, ბუნებრივია, ღვთისმსახურების წესი იმ ჭვრეტის გამოხატულებას უნდა ემსახურებოდეს, რომელიც შეძლებდა ჩვენში ამგვარი გრძნობების აღძვრას, რათა ჩვენ არა მხოლოდ გონებით ვაანალიზებდეთ, არამედ გარკვეულწილად ვხედავდეთ მდიდრის უაღრესად გლახაკ და მწირ ცხოვრებას (2კორ. 8:9), ვინც ყველგან მყოფობს, ვინც შეურაცხყოფას მადლიერებით ითმენს. უვნებოს ვნება ვიხილეთ; ვიხილეთ, როგორ სძულდათ იგი, მაგრამ მას უყვარდა თავისი მოძულები; ვიხილეთ, ვინ იყო იგი და როგორ დაიმცირა თავი, რა მოითმინა, რა აღასრულა და ამის შემდეგ როგორი ტრაპეზი განგვიმზადა. ამრიგად, მოულოდნელი ხსნისგან გაკვირვებით დამარცხებულებსა და მისი მოწყალების მრავალფეროვნებით გაოცებულებს თაყვანი უნდა გვეცა მისთვის, ვინც ამგვარი წყალობა გამოიღო ჩვენზე, ვინც ამგვარი ხსნა მოგვანიჭა, უნდა მიგვენდო ჩვენი სულები, დაგვეთმო ჩვენი სიცოცხლე და დაგვეტყვევებინა გულები მისი სიყვარულის ცეცხლით. შემდეგ, როცა მივაღწევთ ამგვარ მდგომარეობას, უშიშრად, როგორც საკუთარს, ისე უნდა მივეახლოთ მგზნებარე წმიდა საიდუმლოს.

ამგვარი მდგომარეობის მისაღწევად არ კმარა გარკვეული დროის მონაკვეთში ქრისტეს შესახებ ცოდნის შეძენა და დაუფლება. არა, ამისთვის აუცილებელია, ჩვენი

გონების თვალი მუდმივად ამ საგნებისკენ იყოს მიმართული, რათა განვჭვრიტოთ ისინი და მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ ყველა სხვა გულისთქმის განდევნას, რადგან ამასთან ერთად, როგორც უკვე აღვნიშნე, უნდა ვიგულისხმოთ ჩვენი სულის კურთხევისთვის მომზადება. თუ ჩვენ ღვთისმოსაობას გავიაზრებთ იმგვარად, რომ შევძლოთ გონიერი პასუხის გაცემა აღნიშნულ საკითხზე დასმულ შეკითხვაზე, ხოლო საიდუმლოსთან მიახლებისას ყოველივეს სწორად არ განვჭვრეტთ, არამედ ყურადღებას სხვა საგნებისკენ მივმართავთ, მაშინ ეს ცოდნა არავითარ სარგებლობას არ მოგვცემს, რადგან მხოლოდ იმ აზრების შესაბამისი განწყობილება გვექნება, იმ დროისთვის რომ ვიქნებით დაკავებულნი და ის გრძნობები გადააჭარბებენ, რომლების გაღვიძებაც მათ ძალუძთ.

ამიტომ ღვთისმსახურებას ისეთი სახე აქვს მინიჭებული, რომელშიც პირველი არა მარტო სიტყვით გამოითქმება, არამედ სახილველადაც ზედმიწევნით არის შესაძლებელი, ხოლო მეორე მთელ ღვთისმსახურებაში იმიტომ გამოიხატება, რომ მისი მეშვეობით უკეთესად იმოქმედოს ჩვენს სულებზე, რათა გაიღვიძოს ჩვენში გრძნობამ და არა მხოლოდ უბრალო ჭვრეტამ, რადგან თვალის მეშვეობით წარმოსახული გაცილებით ნათლად წარმოგვიდგენს საგანთა არსს. ამის საშუალებით კი არ უნდა მოხდეს დავიწყება, არ დავუშვათ აზრების სხვა საგნებისკენ მიმართვა, ვიდრე საქმე თავად ტრაპეზამდე არ მიაღწევს, რათა ამ სახით, ამგვარი აზრებით აღვსებულნი გონების მთელი ძალმოსილებით ვეზიაროთ წმიდა საიდუმლოს, შევუერთოთ განწმენდას განწმენდა, განჭვრეტით განწმენდას - მსახურებით განწმენდა და უმცირესი დიდებიდან ყველაზე მეტ დიდებაში გარდაქმნა (2 კორ. 3:18).

ზოგადად ეს არის მთელი ღვთისმსახურების არსი. შემდეგ, შეძლებისამებრ, საჭიროა მისი თავიდან ნაწილებად განხილვა: თავდაპირველად დასაწყისი ლოცვები, წმიდა სიტყვები, წმიდა საგალობლები და საკითხავები; შემდეგ - თავად ღვთისმსახურება და ძღვენი; შემდეგ - კურთხევა, რომელშიც ამ ძღვნის მეშვეობით განიწმინდებიან როგორც ცოცხალთა, ასევე მიცვალებულ ქრისტიანთა სულები; შემდეგ - ამის შემდგომი მრევლისა და ღვთისმსახურთაგან აღვლენილი საგალობლები და ლოცვები, რაც განხილვასა და განმარტებას მოითხოვს. უმთავრესად და მუდმივად კი მხედველობაში უნდა გვქონდეს მთლიან ღვთისმსახურებაში გამოხატული ჩვენი მაცხოვრის მნობა. უნდა განვმარტოთ ისეთი საგნები, რომლებიც ამ მნობას მიეკუთვნება და ღვთისმსახურების ამა თუ იმ მოქმედებით აღინიშნება.

2. რატომ თავიდანვე არ იდება პატიოსანი ძღვენი ტრაპეზზე

პირველ რიგში, განვიხილოთ ის, რაც აღესრულება და წარმოითქმება წმიდა ძღვნის მირთმევისას, ასევე თავად მისი მიტანა და მირთმევა.

რატომ არის, რომ ის უცხად არ მიიტანება ტრაპეზზე წმიდა მსხვერპლისთვის, არამედ თავიდანვე უფლის წინაშე ძღვნის სახით წარდგება?

ეს იმიტომ ხდება, რომ ძველები ღმერთს სწირავდნენ როგორც სისხლიან მსხვერპლს - ცხოველთა დაკვლით, ისე სხვა სახის ძღვენს - მაგალითად, ოქროსა და ვერცხლის ნივთებს.

ხოლო ქრისტეს სხეული როგორც ერთს, ასევე მეორეს წარმოადგენს: ის იყო მსხვერპლიც - დასასრულისაკენ, როდესაც მსხვერპლად შეიწირა მამის დიდების გამო; მაგრამ პირველად იგი ღმერთს მიემღვნა პატიოსანი ძღვნის სახით და თითქოს

მიღებულიც იქნა მისგან, ერთი მხრივ - როგორც ჩვენი მოდემის საწყისი, მეორე მხრივ კი - სჯულისმიერად: რადგან პირმო იყო (გამოს. 13:2).

სწორედ ამ მიზეზით ის, რაც ამჟამად მიერთმევა და რასაც მოწმობს ეს სხეული, თავიდანვე კი არ იდება ტრაპეზზე როგორც წმიდა მსხვერპლი - ეს ხდება დასასრულისაკენ, ხოლო თავდაპირველად ის მიერთმევა, ემსახურება და იწოდება ღმერთის პატიოსან ძღვენად.

ასე მოიქცა თვით ქრისტე, როდესაც ხელში აღებული პური და ღვინო ძღვნად წარუდგინა, შესთავაზა და მიართვა ღმერთს. საიდან ჩანს ეს? იქიდან, რომ ამგვარად იქცევა ეკლესია და მას ძღვენს უწოდებს. იგი არ გააკეთებდა ამას, თუკი არ ეცოდინებოდა, რომ ასე მოიქცა ქრისტე; ეკლესიამ შეისმინა მისი ბრძანება: "ამას ჰყოფდით" (ლუკ. 22:19). ამ მოქმედებაში რომ არ ყოფილიყო მსგავსება ქრისტეს ქმედებასთან, არც ეკლესია მიზამავდა მას.

3. იმის შესახებ, რომ ძღვენი ღმერთს შეეთავაზება როგორც ადამიანური სიცოცხლის საწყისი

რა სახისაა ძღვენი?

ძველები მიართმევდნენ ნაყოფის, ფარის, ნახირის ან სხვა არსებების საწყისებს (II რჯ. 18:4), ხოლო ჩვენ, რომელიც ჩვენს სხეულში სიცოცხლეს ინარჩუნებს, ღმერთს ვუძღვნიტ ამ ძღვენს, როგორც ჩვენი ცხოვრების საწყისს, რადგან ის ადამიანურ საზრდელს წარმოადგენს. უფრო მეტიც, საზრდელით სიცოცხლე არა მარტო ნარჩუნდება, არამედ საზრდელი სიცოცხლის ნიშანია. ჩვენ მასთან ერთად ვჭამეთ და ვსვით აღდგომის შემდეგ (საქ. მოც. 10:41), - ამბობდნენ ქრისტეზე მოციქულები, რითაც სურდათ ეჩვენებინათ, რომ იგი ცოცხალი ნახეს. ასევე უფალმა, როდესაც ერთი მკვდარი აღადგინა, უბრძანა მისთვის საზრდელის მიცემა, რათა ამით ყველა დაერწმუნებინა, რომ იგი ცოცხალია (ლუკ. 8:55). ვინც საკვების მიღებას იწყებს, მასზე უმცირესი შეუსაბამობის გარეშე შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი სიცოცხლეს იწყებს.

მაგრამ შეიძლება ვინმემ თქვას, რომ თითქმის ყველაფერი, რასაც ძველები ღმერთს მიართმევდნენ, ასევე შესაძლებელია ადამიანის საზრდელად გამოდგეს? ეს იყო ნაყოფი, რომელიც მიწათმოქმედებს მოჰყავდათ და საჭმელად ვარგისი ცხოველები. მაშინ რაღა? ყველაფერი ეს ადამიანური სიცოცხლის საწყისს ემსახურებოდა?

არა. აღნიშნულ საგანთაგან არც ერთი არ არის საკუთრივ ადამიანის საზრდელი; ისინი სხვა ცხოველთა საზრდოც არის: ზოგი - ფრინველთა და მძოვართათვის, სხვანი - მტაცებელთათვის. ადამიანის საზრდელს მხოლოდ ადამიანის ნიშანდობლივ საკუთრებას ვუწოდებთ. თანაც საკვებად პურისა და საზრდელად ღვინის დამზადების საჭიროება მხოლოდ ადამიანისთვის არის დამახასიათებელი.

ამიტომაც მიერთმევა წმიდა ძღვენი ამ სახით.

4. რატომ იყო საჭირო, რომ ძღვენს ადამიანის სიცოცხლის საწყისი გამოეხატა?

რა არის მიზეზი, რა არის საფუძველი იმისა, რომ ეს ძღვენი უფალს უნდა მივართვათ როგორც სიცოცხლის საწყისი?

ეს იმიტომ ხდება, რომ ღმერთი ამ ძღვნის სამაგიეროდ სიცოცხლეს გვანიჭებს. ხოლო სამართლიანობა მოითხოვს, ძღვენი სრულად არ განსხვავდებოდეს გასაცემისაგან, არამედ მათ შორის იყოს რაიმე მსგავსება და თუ უკანასკნელი სიცოცხლეა, მაშინ პირველიც სიცოცხლე უნდა იყოს, ყოველგვარი მნიშვნელობით, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ძღვნის დამდგინებელი და გასაცემელის გამცემელი ერთი და იგივე მართლმსაჯულია, ყოველივესთვის ზღვრისა და საზომის მომრიგებელი (სიბრძ. სოლ. 11:20). მან მოგვცა მცნებად პურისა და ღვინის მირთმევა; ის თავად მოგვცემს ამისთვის ცოცხალ პურს და მარადიული სიცოცხლის სასმისს. როგორც მოციქულებს დაჭერის წილ დაჭერა მიანიჭა: თევზის დაჭერის წილ კაცთა დაჭერა (მათ. 4:18-19), და მდიდარ კაცს, რომელმაც სასუფეველის შესახებ ჰკითხა, მიწიერი დიდების წილ ზეციური დიდება აღუთქვა (მარკ. 10:21), ასევე აქაც, მაგრამ პირიქით: რისი მეშვეობითაც მარადიული სიცოცხლის მონიჭება სურდა (ვამბობ მის ცხოველმყოფელ ხორცსა და სისხლზე), სწორედ იმის მიძღვნა დაგვიდო მცნებად, რითაც დროებითი სიცოცხლე სულდგმულობს, რათა მადლს გასაცემელის სახე ჰქონოდა, რათა უსაზღვრო მოწყალებას თავის თავში სიმართლის საზომიც მოეცვა - რათა აღსრულებულიყო თქმული: "დავდეგ სამართალს ლარად და სიმართლეს - შვეულად" (ის. 28:17).

ამგვარად აიხსნება არა მხოლოდ ეს საიდუმლო, არამედ ნათლობის საიდუმლოც: ჩვენ ვიღებთ სიცოცხლეს სიცოცხლის წილ, ერთს გავცემთ, მეორეს მის სამაგიეროდ ვიღებთ. მაგრამ სიცოცხლის გაცემა სიკვდილს გამოხატავს, ხოლო სიცოცხლეში დაბრუნება არის საკუთრივი მნიშვნელობით სიცოცხლე. რადგან მხსნელმა სიკვდილი იგემა და აღდგა, კეთილინება, ჩვენც გაგვეზიარებინა მისი ახალი სიცოცხლე და ამიტომ გვიბრძანა, ჩვენც რაიმე მიგვეტანა მისთვის ამ დიადი ძღვნიდან. კერძოდ რა? მისი სიკვდილისათვის მიბამვა. როგორი სახით? ჩვენი სხეულის, ვითარცა სამარეში, წყალში დაფარვით და ამის სამგზის აღსრულებით. ამის შემდეგ ის მისი სიკვდილისა და დაფვლის თანამონაწილეებად გვიღებს და თავის ახალ სიცოცხლეს გვანიჭებს.

აქაც ზუსტად ამგვარად არის.

5. რატომ არ იღება მთლიანი პური, არამედ მხოლოდ განსაკუთრებული ნაწილი ამოიკვეთება

საჭიროა განიმარტოს ისიც, რატომ არ აკურთხეხს მღვდელმსახური, მიათმევს რა ძღვენს ღმერთს და დადებს მას ტრაპეზზე, ყველა იმ პურს, რომელიც მირთმეული იყო, არამედ მხოლოდ იმას, რომელსაც ის მათგან ამოკვეთს.

ესეც ქრისტეს შესაწირავისთვის განკუთვნილი თავისებურებაა. სხვა ძღვენს მათი მფლობელები აცალკევებდნენ ერთგვაროვან საგანთაგან, მიჰქონდათ ტამარში და მღვდელმსახურებს გადასცემდნენ, ხოლო ეს უკანასკნელნი მიიღებდნენ და მიათმევდნენ მათ, ან მსხვერპლად სწირავდნენ, ან ისე იქცეოდნენ, როგორც ამა თუ იმ მიტანილ საგანს შეეფერებოდა.

მაგრამ ქრისტეს სხეული გამოცალკევებულია მისდაგვარ საგანთაგან, მიტანილია, მიღებულია, მირთმეულია ღმერთისთვის და ბოლოს მსხვერპლად არის შეწირული ღვთისმსახურის ხელით: იმიტომ, რომ ღვთის ძემ თავად გამოირჩია სხეული თავისთვის, გამოყო იგი ჩვენი შემადგენლობიდან, თავად მიათვია იგი ძღვნად ღმერთს, დაადგინა მამის წიაღში, რადგან თავად არასდროს განშორებულა მისი წიაღიდან, არამედ იქვე იმყოფებოდა მას შემდეგაც, რაც შექმნა ეს სხეული და შეიმოსა მისით, ასე რომ იგი

წარმოშობისთანავე უკვე ღმერთისადმი იყო მიძღვნილი და ბოლოს მან თავად აიყვანა იგი ჯვარზე და მსხვერპლად შესწირა.

ამიტომაც პურს, რომელიც უნდა გარდაიქცეს ქრისტეს სხეულად, მღვდელმსახური თავად განაცალკევებს სხვა ერთგვაროვანი პურებისაგან, თავად სთავაზობს ღმერთს, წმიდა ფეშხუმზე დადებულს, ხოლო ტრაპეზზე გადატანის შემდეგ მსხვერპლად სწირავს.

6. რატომ განასახიერებს მღვდელმსახური პურზე ქრისტეს ვნებას

ამოკვეთილი პური, სანამ სამკვეთლოზე დევეს, უბრალო პურია. ის მხოლოდ მირთმეულია ღმერთისთვის და ქცეულია ძღვნად. ამით გამოიხატება დროის ის პერიოდი, როდესაც ქრისტეც ძღვენი იყო; ხოლო იგი, როგორც ზემოთ აღინიშნა, შობიდანვე, სჯულის მიხედვით, ძღვენი იყო მისივე დაბადებით, ვინაიდან პირმშო იყო.

მაგრამ ის, რაც ამ სხეულზე აღესრულა შემდგომში, - ვნება ჩვენს სახსნელად, ჯვარი და სიკვდილი, - ბევრად ადრე, ჯერ კიდევ ძველების მიერ იყო პირველსახედ, ამავე მიზეზით აქაც ღვთისმსახური, პურის ტრაპეზზე გადატანამდე და მსხვერპლად შეწირვამდე, წინასწარ ცდილობს მასზე ამ სახეების წარმოდგენას. როგორ აკეთებს ამას? მთლიანი პურიდან გამოყოფს, მისგან ძღვენს ქმნის. ეს კეთდება ან აუცილებლობით, ან განზრახვით, სწორედ ეს მნიშვნელობა მიანიჭოს თავის მოქმედებას: ეს მოქმედებები თავად საქმეებით თხრობას წარმოადგენს ქრისტეს ვნებისა და სიკვდილის შესახებ.

ეს არის ძველი ჩვეულება: იყო დრო, როდესაც ჰყვებოდნენ, არწმუნებდნენ, წინასწარმეტყველებდნენ ქმედებებით. მაგალითად, წინასწარმეტყველმა, როცა ებრაელთა ტყვეობის ჩვენება უნდოდა, ბორკილები დაიდო (ეზეკ. 3:25). აგაბოსიც სწორედ ასევე მოიქცა - ასევე ბორკილებით გამოხატა პავლე (საქ. მოც. 21:11). გვიამბობენ ასევე, რომ ერთმა ღმერთშემოსილმა მამამ, როდესაც ჰკითხეს, თუ რა არის მონაზონი, სიტყვა არ მიუგო, არამედ გაიდრო სამოსი და დაიწყო მისი ფეხებით გათელვა.

და თავად უფლის სიკვდილს და მთელ მის მნეობას ძველები თავადაც გამოხატავდნენ და უფლისაგან იგებდნენ არა მხოლოდ სიტყვათა მეშვეობით, არამედ მოქმედებითაც; ასე იყო, მაგალითად, კვერთხით გაპობილი ზღვა (გამოს. 14:16,21), ცეცხლმოკიდებული მაყვლოვანი (გამოს. 3:2), მამისადმი სამსხვერპლოზე მიმყოლი ისააკი (დაბ. 22:1-13) და სხვა მოქმედებები, რომლებიც თავიდანვე მოასწავებდა გამობსნის საიდუმლოს.

ხოლო ღვთისმსახური იმ პიროვნებას წარმოადგენს, რომელიც ზუსტად ამგვარად იქცევა: რაც იცის ამ მსხვერპლის შესახებ, სიტყვებით გადმოსცემს და მოქმედებებით გამოხატავს, რამდენადაც შესაძლებელია ამგვარ ნივთიერებებზე გამოხატვა. ის თითქოს ამბობს: აი, ასე მიდიოდა უფალი ვნებისაკენ, აი, ასე მოკვდა იგი, აი, ასე უგმირეს მას ფერდში, აი, ასე გადმოვიდა მაშინ გახვრეტილი ფერდიდან სისხლი და წყალი.

და ამგვარად იქცევა, პირველ რიგში, იმისათვის, რათა, როგორც აღვნიშნე, გვიჩვენოს, რომ ამ ჭეშმარიტებას, ამ სინამდვილეს წინ უძღოდა სახეები და გარკვეული წერილები, რომლებიც ხალხისათვის წინასწარმაუწყებელი იყო. მსგავსად ამისა, ღვთისმსახურიც პურის ტრაპეზზე გადატანამდე და მსხვერპლად შეწირვამდე მასზე ქრისტეს მსხვერპლის გარემოებებს გამოსახავს. ამით იგი იმ აზრსაც გამოხატავს, რომ ეს პური მალე გარდაიქცევა იმ ჭეშმარიტ პურად, რომელიც ჯვარცმულ იქნა და მსხვერპლად შეიწირა (1კორ. 11:26). ამ ყველაფერთან ერთად, რადგან უფლის

სიკვდილის უწყებაა საჭირო, რათა უყურადღებოდ არ დაგვრჩეს არც ერთი საშუალება უწყებისა და თხრობისა, - რისთვისაც ათასი ბაგე უნდა გვქონოდა, - ის სიტყვიერადაც მოგვითხრობს და მოქმედების მეშვეობითაც.

7. რას მოიცავს უფლის მოხსენიება

პირველ რიგში, იღებს რა სეფისკვერს, რომლიდანაც უნდა ამოიკვეთოს წმინდა პური, ამბობს: "მოსახსენებელად უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესა", მისი მცნებისამებრ, რადგან ამას ჰყოფდით, ამბობს იგი, ჩემს მოსახსენებლადო (ლუკ. 22:9).

და ამას ღვთისმსახური არა მხოლოდ ამ პურზე ამბობს, არამედ მთლიან მსახურებაზე. თითქოს ღვთისმსახურება დასასრულიდან იწყება, ვინაიდან უფალმა საიდუმლოს შეუთავსა ეს სიტყვა: "ამას ჰყოფდით მოსახსენებელად ჩემდა".

რას ნიშნავს მოხსენიება? როგორ მოვიხსენიებთ უფალს ღვთისმსახურებისას? როგორია მისი ქცევა და მისი მდგომარეობა? მე მინდა ვთქვა: რას ვფიქრობთ, რას ვაუწყებთ ამ მოხსენიებისას? იქნებ იმას, რომ მან აღადგინა მკვდარნი, ბრძენებს თვალი აუხილა, თავისი სიტყვით ქარი ჩაახშო, მცირედი პურით ათასობით სიმამღრემდე დააპურა, - ამით გამოიხატა ღმერთი და ყოვლისშემძლე? არა. პირიქით, იმის გახსენებით, რაც, როგორც ჩანს, უმწიგნობის ნიშანია, - ჯვარი, ვნება, სიკვდილი, - აი, რის შესახებ გვიბრძანა მან უყურადღებო მისი გახსენებისას. საიდან ჩანს ეს? ასე ფიქრობდა პავლე, რომელმაც ეს კარგად იცოდა.

როდესაც ის კორინთელებს ზიარების საიდუმლოს შესახებ სწერს, გადასცემს მათ უფლის სიტყვებს: "ამას ჰყოფდით მოსახსენებელად ჩემდა" და ამატებს: "რამეთუ რაოდენ-გზისცა შჭამდეთ პურსა ამას და სუმიდეთ სასუმელსა ამას, სიკუდილსა უფლისასა მიუთხრობდით" (1კორ. 11:26). თავად უფალმაც იგივე აზრი გამოიხატა, როდესაც საიდუმლოზე იქადაგა, რადგან თქვა: ესე არს ხორცი ჩემი, ესე არს სისხლი ჩემი (ლუკ. 22:19-20); სასწაულები კი არ დაურთო მათ, არ თქვა: მათ აღადგინეს მკვდარნი, განწმინდეს კეთროვანნიო.

მაშ, რა? მხოლოდ ვნება და სიკვდილი: თქვენთვის დაღვრილი. რის საფუძველზე გვახსენებს იგი არა სასწაულების შესახებ, არამედ ვნებისა? იმის, რომ ეს უკანასკნელი პირველზე აუცილებელია, იმის განსჯით, რომ ერთი ჩვენი ხსნის მიზეზია და მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ადამიანისთვის აღდგომა, - ვგულისხმობ ვნებას, - ხოლო სასწაულები მხოლოდ დასამოწმებელია და იმისთვის აღესრულებოდა, რომ ყველას ერწმუნა უფალი ჭეშმარიტად მხსნელია.

8. იმის შესახებ, რაც პურზე აღესრულება

ვინაიდან უფლის მოხსენიება ამგვარად უნდა აღსრულდეს, მღვდელი ამბობს: მოსახსენებელად უფლისა... და დაურთავს იმას, რითაც გამოიხატება ჯვრისა და სიკვდილის შინაარსი. პურის ამოკვეთით მას გამომხსნელი ტანჯვის შესახებ ძველი წინასწარმეტყველება მოჰყავს: "კრავივით დასაკვლელად მიიყვანეს (და ა.შ.)" (ისა. 53:7), მოგვითხრობს, რამდენადაც შესაძლებელია სიტყვით და საქმით. პურის დანაწილებას

აღასრულებს, ერთი მხრივ, იმ აუცილებლობით, რომ უნდა ამოიკვეთოს ძღვენი და კიდევ იმის გამო, რომ გამოსახოს ის, რის შესახებაც ითქვა ზემოთ: აღინიშნოს უფლის განსვლა სოფლიდან და სიკვდილის გზით მისი მამასთან დაბრუნება, როგორც თავად თქვა: "გამოვედ მამისაგან და მოვედ სოფლად" (იოან. 16:28).

ამიტომ მღვდელმსახური მრავალგზის არჭობს ლახვარს, შემდეგ ჭრის პურს და ამდენივე ნაწილად ყოფს საწინასწარმეტყველო სიტყვას. თითოეულ სიტყვას უწყობს პურის ამა თუ იმ ნაწილს, რათა აჩვენოს, რომ აქ საქმე გამოხატავს სიტყვას; რომ, როგორც ეს პურია გამოცალკევებული მისთვის ერთსახოვანი ნივთიერებიდან, რომ მიერთვას უფალს და იკურთხოს, ასევე უფალიც გავიდა ხალხის წიაღიდან, ვისთანაც კაცთმოყვარეობით ჰქონდა ერთი და იგივე ბუნება, და ვითარცა ცხვარი დასაკლავად, და ამგვარად "ცოცხალთა მიწიდან მოიკვეთა" (ისაია 53:8). შემდეგ დაერთვება, რასაც მიგვითითებს წინასწარმეტყველება.

მღვდელი, დებს რა პურს წმინდა ფეშუმზე, ამბობს და აკეთებს იმას, რითაც გამოიხატება თავად მსხვერპლშეწირვა - უფლის სიკვდილი: "დაიკვლის ტარიგი ღმრთისა, აღმღებელი ცოდვათა სოფლისათა" (ისაია 53:8) - ამ სიტყვებითა და მოქმედებებით ის თვით სიკვდილის სახეს გამოხატავს, რადგან პურზე გამოსახავს ჯვარს და სწორედ ამით აჩვენებს, რომ მსხვერპლშეწირვა ჯვრით აღესრულება. ამის შემდეგ იგი ხვრეტს პურს, ამასთან, მარჯვენა მხრიდან, რაც ფერდის გახვრეტის სიმბოლოა; ამავე მიზეზით პურის გახვრეტისათვის საჭირო იარაღი ლახვრად იწოდება და დამზადებულია ლახვრის მსგავსად იმისათვის, რომ მისით ის ლახვარი იხსენებოდეს. ღვთისმსახური მოქმედებებით გამოხატვასთან ერთად ამ მოვლენას გადმოგვცემს სიტყვებითაც: "ერთმან მხედართაგანმა ლახვრითა განაღო გვერდი მისი" (იოან. 19:34). ასევე იმას, რომ იქიდან გადმოვიდა სისხლი და წყალი, ის გვაუწყებს სიტყვებით და გამოხატავს მოქმედებებით, ასხამს რა ბარძიმში ღვინოს და წყალს (ეს ხდება უფლის მოსახსენებლად) და ურთავს სიტყვებს: "და მეყსეულად გარდამოხდა სისხლი და წყალი".

9. რისთვის გვიბრძანა უფალმა მის მოსახსენებლად ამის აღსრულება

რატომ გვიბრძანა ეს უფალმა? რას გულისხმობდა, როდესაც ამგვარი მოხსენება მოგვთხოვა? იმას, რომ უმადურნი არ დავრჩენილიყავით. ცნობილია, რომ კეთილისმყოფელთათვის, ერთგვარად, ისიც ჯილდოა, როცა მათგან სიკეთის მიმღებთ ახსოვთ იგი: ახსოვთ ის საქმენი, რომლითაც სიკეთე აღესრულა მათ მიმართ. ამის გასახსენებლად ადამიანებმა სხვადასხვა საშუალება მოიგონეს: ძეგლები, ქანდაკებები, სვეტები, დღესასწაულები, ზეიმები, შეჯიბრებები... ყოველივე ამის მიზანი ერთია: რათა ადამიანთა სიქველე დავიწყებას არ მიეცეს.

იგივე მიზანი აქვს მხსნელსაც; მაგრამ სხვები, - თითქოს გვეუბნება მაცხოვარი, - სხვა საშუალებებს ეძებენ დავიწყების წინააღმდეგ, რომ ახსოვდეთ ისინი, ვინც მათ მიმართ სიკეთე გამოიჩინა, ხოლო თქვენ ამას იქმოდეთ მოსახსენებლად ჩემდა. და როგორც ქალაქების გმირთა მოსახსენებელ სვეტებზე გამარჯვებებია გამოსახული, რომლითაც გადარჩნენ, უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ასევე ამ ძღვენზე გამოვსახავთ უფლის სიკვდილს, რომლის მეშვეობითაც სრული გამარჯვება იქნა მოპოვებული ბოროტზე. მაგრამ ქალაქებს გამოსახულების მეშვეობით კეთილისმყოფელის მხოლოდ სხეულებრივი სახე აქვთ, ხოლო ჩვენ, ამ ძღვნის მეშვეობით, გვაქვს არა სხეულებრივი სახე, არამედ თვით გმირობის ფუძემდებლის

სხეული. ამასთან, ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში მცნებად იდო იმის ხატოვნად, სიმბოლურად აღსრულება, რისი აღსრულებაც მან ახლა გვიბრძანა სინამდვილეში, თავად საქმით: სწორედ ამას ნიშნავს პასეჟი - კრავის დაკვლა და მისი დაკვლისა და იმ სისხლის მოხსენიება, რომლის მეშვეობითაც გამოხსნილ იქნენ ებრაელთა პირმშობი (გამოს. თავი 12).

აი, ასეთი მნიშვნელობა აქვს ამ მოხსენიებას!

10. იმის შესახებ, რაც უფლის მოხსენიების შემდეგ ძღვნის მირთმევისას წარმოითქმება; ასევე იმის შესახებ, რომ ეს მირთმევა სამადლობელი და სავედრებელია

ამასობაში ღვთისმსახური ჯერ ისევ მირთმევას ახორციელებს: თითოეული სეფისკვერიდან ნაწილების გამოკვეთისას მათ წმინდა ძღვნად აქცევს, მაგრამ უკვე ამბობს და აკეთებს არა იმას, რასაც თავიდან, რაც უფლის სიკვდილის ნიშანი იყო; ეს, მართალია, ერთხელ წარმოითქმება, მაგრამ მთელ ღვთისმსახურებას მიეკუთვნება, რადგან ზოგადად ძღვნის მირთმევა აღსრულება უფლის მოსახსენებლად და მასში მუდმივად იუწყება უფლის სიკვდილი.

ასე რომ, რა ითქმება შემდეგ? ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დიდება, ამა თუ იმ წმინდანის მეოხება, ცოცხალ და მიცვალებულ სულთა ცოდვათა შენდობა.

რას ნიშნავს ეს? იმას, რომ სურვილი, რომლითაც ძღვენი მიირთმევა, ღვთის მადლიერებასა და ვედრებას ემსახურება.

ვინაიდან საგანთა არსი ამგვარია, არავითარი ძღვენი უმიზნოდ არ გაიცემა: საუბარი განა იმაზეა, რომ ძღვნით ღმერთი მოვიმადლიეროთ ან რომელიმე ადამიანს პატივი მოვაგოთ, არამედ ყოველთვის რაიმე სიკეთისთვის ან უკვე მიღებულზე, ანაც მოსალოდნელზე. ძღვენს კეთილისმყოფელს ან იმის სამადლობლად მივართმევთ, რაც მივიღეთ, ან მისით იმისგან ვეძებთ წყალობას, ვისაც ჩვენთვის ისეთი რამის გაკეთება შეუძლია, რაც ჯერ არ გვქონია.

ხოლო ეს ძღვენი გვევლინება ძღვნად, რომელიც ამა თუ იმ მიზეზითაა მირთმეული: იმისთვის, რაც მივიღეთ და იმისთვის, რომ მივიღოთ; ჩვენ ვმადლობთ უფალს და ვვედრებით მას: ვმადლობთ იმისთვის, რაც ჩვენთვის აღასრულა, ვთხოვთ იმისთვის, რათა მივიღოთ სიკეთე, ასე რომ, ერთი და იგივე ძღვენი არსობრივად სამადლობელიცაა და სავედრებელიც.

რა არის ის მადლი, რომელიც უკვე მოგვეცა და რომელსაც ველით? ერთიც და მეორეც სრულიად ერთია: ცოდვათა შენდობა და სასუფევლის მემკვიდრეობა. აი, უპირველესად რა უნდა ვითხოვოთ ჩვენთვის და მისი მცნებისამებრ (მათ. 6:33), რაც უკვე მიიღო ეკლესიამ და რასაც იგი ევედრება მაცხოვარს.

ამის შემდეგ როგორ უნდა გავიგოთ, რომ ეკლესიამ მიიღო ეს მადლი ან ის, რომ მას ჯერ არ მიუღია იგი და მის მომადლებას ევედრება უფალს? მან მადლი მიიღო, პირველ რიგში, იმ მნიშვნელობით, რომ ეკლესიას მისი მიღების უფლება აქვს, რადგან მან მიიღო ის ადგილი, რათა ჩვენ ღვთის შვილები ვიყოთ (იოან. 1:12) და ეს ყველა ქრისტიანისთვის საერთო წყალობაა, ქრისტეს სიკვდილით ჩვენთვის მონიჭებული: ამაშია ღვთაებრივი ნათლობის ძალა, ისევე როგორც სხვა საიდუმლოებებისა, რომელთა მეშვეობითაც ღვთის სათნონი და ზეციური სასუფევლის მემკვიდრენი ვხდებით.

ხოლო შემდეგ ეკლესია მემკვიდრე შეიქმნა თავად სასუფევლისა და მემკვიდრე შეიქმნა თავად საქმით - თავის ურიცხვ წევრთა სახით, რომელნიც ზეცაში გადაგზავნა, როგორც ახალ საცხოვრებელში, რომელთაც ნეტარი პავლე პირმშობთა ზეცაში დაწერილ

ეკლესიას უწოდებს (ებრ. 12:23). ამ მნიშვნელობით ეკლესიამ უკვე მიიღო უდიდესი წყალობა.

მაგრამ მას ჯერ არ მიუღია სასუფეველი თავის იმ შვილთა სახით, რომელნიც ჯერ კიდევ სანახაობას მისდევენ ან, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ვინც ჯერ კიდევ ამ ცხოვრებაშია და რომელთა აღსასრული უცნობია, ასევე მათი, ვინც გავიდა ამ ცხოვრებიდან სრული ნეტარებითა და უეჭველი იმედით. ამ მიზეზით, მოიხსენებს რა უფლის სიკვდილს, ეკლესია იხსენებს ამ ქვეყნიდან გასულ წმიდანებსაც; მაგრამ მოიხსენებს ჯერ კიდევ სრულყოფილებას მიუღწევლებსაც: იმათთვის მადლობს, ამათთვის შუამდგომლობს.

ამრიგად, მიძღვნის პირველი ნაწილი, მეორის მსგავსად, სამადლობელია, ხოლო ამის შემდეგი - სავედრებელი: უფლის მოხსენიება, მისი ნეტარი დედის განდიდება, წმიდანთა მეოხება; მადლობა შენ, ამბობს მღვდელმსახური, რომ შენი სიკვდილით სიცოცხლის კარი გაგვიღე, რომ ჩვენ შორის ამოერჩია დედა შენი, რომ ადამიანმა ამხელა დიდება მიიღო, რომ ჩვენნაირი ბუნების მქონე შუამდგომლები გვყავს, რომ ადამიანთა მოდგმას ამგვარი კადნიერება მიანიჭე.

სიტყვები "სადიდებლად", "პატივსაცემად" ნიშნავს განსადიდებლად და საპატივდებულოდ, ზუსტად ისევე, როგორც სიტყვები "ცოდვათა შესანდობად" არსობრივად იგივეა, რაც "შესანდობელად", ეს კი ორგვარად მოიაზრება: ცოდვათა შესანდობად, რაც უკვე მიღებულ ან მომავალ შენდობას გულისხმობს. გარდა ამისა, ვინ არ იცის, რომ ნეტარი დედის დიდება, წმიდანების წინამძღოლობა და შუამდგომლობა უკვე მიღებული მადლის რიცხვს მიეკუთვნება? ხოლო მიღებული მადლის წილ ძღვნის მირთმევა, ცხადია, სხვა არაფერია, თუ არა მადლიერება. მას შემდეგ, რაც უკვე ითქვა, გასაგები ხდება, რომ სიტყვებიც: მოსახსენებლად უფლისა - მისი სიკვდილის გამო მიძღვნას აღნიშნავს, მადლიერებას მის მიმართ. ეს სიტყვები ძღვნის მირთმევისას უპირველესად იმიტომ წარმოითქმება, რომ უფლის სიკვდილი იყო ჩვენთვის ყოველგვარი წყალობის მიზეზი.

საბოლოოდ, ყოველივე ამის შემდეგ მღვდელმსახური ლოცვას აღასრულებს, გამოითხოვს ცოდვათა შენდობას, სულთა დამკვიდრებას და სხვა ამგვარს. კეთილგონიერების კანონია, რათა ჩვენ, მივმართავთ რა უფალს, თავიდანვე კი არ გამოვუთქვათ მას ჩვენი გასაჭირი და მოვითხოვოთ ის, რაც გვაკლია, არამედ აჯობებს, თუკი გავიხსენებთ იმას, რაც უკვე მივიღეთ და გვაქვს, და ამისთვის ღმერთს სამადლობელსა და ქება-დიდება აღვუვლენთ, რითაც უფლის დიდებას ჩვენს საჭიროებაზე მაღლა დავაყენებთ.

11. რატომ იფარება ძღვენი და რა ითქმება ამ დროს

მაგრამ რაც ითქვა და აღსრულდა პურზე და რითაც მიგვენიშნა უფლის სიკვდილი, მხოლოდ გამოსახულებასა და მსგავსებას წარმოადგენდა, ხოლო პური კვლავ პურად დარჩა, იქცა მხოლოდ ღვთის ძღვნად და ამიტომაც გამოხატავს უფლის სხეულს მისი ცხოვრების პირველ პერიოდში, რადგან თავიდან ისიც ძღვენი იყო, როგორც ზემოთ ითქვა. ამ მიზეზით ღვთისმსახური თან ურთავს პურს და აღასრულებს მასზე იმ

სასწაულებს, რაც უფლის სხეულზე აღსრულდა იმ დროს, როდესაც იგი ახალშობილი და ბაგაში მწოლიარე იყო. აღმართავს რა მასზე ეგრეთ წოდებულ ვარსკვლავს, ამბობს: "მოვიდა ვარსკვლავი და დაადგრა ადგილსა მას, სადა იყო ყრმა იგი" (მათ. 2:9); აგრეთვე იმეორებს სიტყვებს, რომლებიც იმ დრომდე დიდი ხნით ადრე გამოთქვეს წინასწარმეტყველებმა და რომლებიც მხოლოდ ღმერთს შეეფერება იმისათვის, რომ ხალხმა მისი სხეულისა და გარეგნობის გამო დამამცირებელი წარმოდგენა არ შეიქმნას, მისი ღვთაებრიობისთვის შეუფერებელი: "სიტყვითა უფლისაითა ცანი დაემტკიცნეს" (ფს. 32:6), "უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა; შეიმოსა უფალმა ძალი და გარე შერტყა" (ფს. 92:1) და "დაფარნა ცანი შვენიერებამან მისმან და ქებითა შენითა აღივსო ქვეყანა" (აბაკ. 3:3).

ამბობს რა ამას, მღვდელი აფარებს ძღვენს - პურსა და ბარძიმს პატიოსანი დაფარებით და აკმევს ყოველი მხრიდან, ვინაიდან ხორცშესხმული ღმერთის ძალა გარკვეული დროის განმავლობაში, სასწაულების აღსრულებამდე და ზეციდან მოწმობამდე, დაფარული იყო; მაგრამ ისინი, ვინც იმდენად ბრძენი იყო, რომ მასზე შეეძლო ეთქვა: "უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა" და მას უსადაგებს სხვა ამგვარ, ღმერთისთვის საკადრის გამონათქვამებს, ცნობდნენ მას, პატივს სცემდნენ როგორც ღმერთს და განარჩევდნენ იმ საფარველს, რომელიც მას ფარავდა. სწორედ ამას გამოხატავს მღვდელმსახური, ამბობს რა ძღვნის დაფარებისას: "დაგვიფარენ ჩვენ საფარველითა ფრთეთა შენთათა" და აკმევს ყოველგან.

ამ სიტყვებისა და მოქმედებების შემდეგ მღვდელმსახური უფალს იმისთვის ევედრება, რომ ამ ღვთისმსახურებაში ყოველივე უფალს დანიშნულებისამებრ მიაღწიოს; შემდეგ მიემართება ტრაპეზისკენ და ამ სიწმინდის წინაშე მდგარი იწყებს თავად ღვთისმსახურებას.

12. საწყისი სადიდებელი

წმიდა სიტყვების რიგში პირველ ადგილს იჭერს საწყისი სადიდებელი: "კურთხეულ არს მეუფება მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა".

ღვთისადმი აღვლენილი ლოცვა, ჩვეულებრივ, შედგება ქება-დიდებით სამადლობლისგან, სინანულისა და თხოვნისგან.

მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს სადიდებელს (ქება-დიდებას), უპირველესად იმიტომ, რომ ასეთია ღმერთს შედგომილ კეთილგონიერ ადამიანთა წესი - პირველ რიგში, არა იმის წარმოდგენა, რაც მათ ეხება, არამედ იმის, რაც თითქოსდა მხოლოდ ღმერთს შეეხება.

სწორედ ამგვარია სადიდებელი, ვინაიდან ვინც ითხოვს, ის თავისი მდგომარეობის გამოსწორების სურვილით ივსება; ვინც სინანულშია, ცდილობს ბოროტებისგან განთავისუფლებას და საკუთარ თავსაც წარმოაჩენს; და ვინც მაღლობს, ცხადია, საკუთარი მაღლის კმაყოფილების ზემოქმედებით მოქმედებს; ხოლო ვინც სადიდებელს უძღვნის, ის გვერდით ტოვებს საკუთარ თავსაც და ყოველივე პირადს და ადიდებს უფალს თავად უფლისთვის, მისი ძალისა და დიდებისთვის.

გარდა ამისა, თავად საგანთა წესრიგი, თავად საქმის არსთან შესაბამისობა მოითხოვს, სადიდებელმა აქ პირველი ადგილი დაიჭიროს. როგორც კი უფალს მივეახლებით, უპირველეს ყოვლისა, მის მიუწვდომელ დიდებას, ძალასა და სიდიადეს

შევიცნობთ; შედეგად, გვეუფლება გაკვირვება, გაოცება და სხვა მსგავსი განცდა - ხოლო ეს უკვე სადიდებელია.

თუკი გავყვებით, ვნახავთ მის მოწყალებასა და კაცთმოყვარეობას, - რის შედეგადაც მოდის მადლიერება, რომლის შედეგად შეგვიძლია მისი წყალობის მთელი სიდიადის, მისი კაცთმოყვარეობის მთელი სიმდიდრის ჭვრეტა; ამ სიდიადის, ამ სიმდიდრის პირველი და საკმაო მტკიცებულება ისაა, რომ მიუხედავად ჩვენი სიცუდისა, ის მაინც არ წყვეტს მოწყალებას ჩვენ მიმართ; ეს მტკიცებულება გვარწმუნებს ღვთის კაცთმოყვარეობაში, და გვარწმუნებს სხვაზე უკეთესად, რადგან ჩვენთვის უფრო მახლობელია: ის - ჩვენშია, ის ჩვენ თვალწინაა; ამასთან ერთად, თუკი ღმერთის წინაშე გავიხსენებთ ჩვენს მიერ ჩადენილ ცუდ ქმედებებს, ეს იქნება ის, რასაც აღსარებას ვუწოდებთ.

თხოვნა კი მეოთხე ადგილს იკავებს; ამგვარი განსჯის შემდეგ, რომლის მეშვეობითაც ჩვენ მიმართ ღვთის მოწყალეობა და მისი კაცთმოყვარეობა შევიმეცნეთ, თავისთავად გვმართებს მტკიცედ ვიყოთ დარწმუნებულნი, რომ რაც გვჭირდება, აუცილებლად მოგვეცემა, თუკი ვითხოვთ. თუკი ღმერთი ესოდენ მოწყალე იყო ცუდი ადამიანების მიმართ, მაშ, როგორი იქნება იმათ მიმართ, ვინც უკეთესობისკენ იცვლება, ვინც უკვე გამართლებულია იმის გამო, რომ მოინანია თავისი ცოდვები, წინასწარმეტყველის სიტყვებით რომ ვთქვათ: "გამახსენე, ერთად განვსაჯოთ; ილაპარაკე, რათა გამართლდე" (ესაია 43:26).

ამრიგად, სადიდებელს ლოცვებს შორის პირველი ადგილი უკავია; ამ მიზეზით ღვთისმსახური ყოველი ლოცვის, ყოველგვარი წმიდა სიტყვების წინ ადიდებს უფალს.

მაგრამ რატომ განადიდებს სამებას ღმერთში და არა ერთობას? არ ამბობს: კურთხეულია ღმერთი ან კურთხეულია ღვთის მეუფება, - არამედ განყოფს პირებს: "კურთხეულ არს მეუფება მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა"? იმიტომ, რომ უფლის განკაცებით ადამიანებმა პირველად გაიგეს, რომ ღმერთში სამი პირია; ამასთან, ყველაფერი, რაც აქ აღესრულება, სწორედ უფლის განკაცების საიდუმლო გამოხატულებად გვევლინება; ამიტომაც საჭიროა, ამ ღვთისმსახურების დასაწყისშივე განბრწყინდეს, გამოცხადდეს სამება.

სადიდებლის შემდეგ მღვდელმსახური გვთავაზობს თხოვნას: "მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ".

ვინაიდან ჩვენ "რაიმცა-იგი ვილოცეთ, ვითარ-იგი ჯერ-არს, არა ვიცით" (რომ. 8:26) და "ნუ მრავალსა იტყვიოთ" (მათ. 6:7), ამისთვის, ცარიელ სიტყვებს რომ არ წარმოვთქვამდეთ, ის ლოცვების შესახებ აუცილებელ დარიგებას გვაძლევს და პირველ რიგში გვმოდღვრავს, როგორ უნდა ვილოცოთ, - რომ უნდა ვილოცოთ მშვიდობით.

მაგრამ რატომაა, რომ უშუალოდ სადიდებლის შემდეგ გვიბრძანებს თხოვნას, როცა ჯერ არ ყოფილა არც სინანული, არც სამადლობელი? ვინაიდან სიტყვაში "მშვიდობა" იგულისხმება იმ ლოცვების სახეობების შინაარსიც, თუკი ვინმეს ნამდვილად მოუნდება ამის გააზრება, რადგან ვინც ცხოვრებისეული გარემოებებით უკმაყოფილოა, მას შეუძლებელია სიმშვიდე ჰქონდეს საკუთარ თავშიც; მშვიდი მხოლოდ კეთილგონიერი ადამიანია, რომელიც, ნეტარი პავლეს კანონი მიხედვით, ყველაფრისთვის მადლობს უფალს (1 თეს. 5:18); მშვიდი ვერც ის იქნება, ვისაც სინდისი არ აქვს სუფთა, ხოლო სუფთა სინდისი სინანულის გარეშე შეუძლებელია.

ამრიგად, ვინც მშვიდობით ლოცულობს, მას სულში უკვე ჰქონდა მადლიერებაც და სინანულიც. ამასთან ერთად, თხოვნაც, რომლითაც ისინი ღმერთს მიმართავენ, წარმოაჩენს მათ მადლიერებასაც და აღმსარებლობასაც. რას ითხოვენ ისინი? შეწყალებას. ეს კი მსჯავრდადებულთა თხოვნაა: როდესაც ამ უკანასკნელთ აღარ აქვთ დაცვის

საშუალება, ვერაფრით იმართლებენ თავს, ისინი მსაჯულს უკანასკნელი სიტყვით მიმართავენ - იმ იმედით, რომ სათხოვარი შესმენილ იქნება არა მათი უფლებით, არამედ მსაჯულის კაცთმოყვარეობით. ხოლო ვინც ამგვარად იქცევა, ის ამით თავადვე მოწმობს, ერთი მხრივ - მსაჯულის განსაკუთრებულ სულგრძელობას, მეორე მხრივ - თავის უარყოფით თვისებებს: აქ ერთი სინანულის თვისებაა, ხოლო მეორე - მადლიერებისა.

ლოცვისკენ ხალხს აღძრავს ღვთისმსახური, როგორც დადგინებული პიროვნება. სწორედ იმისთვის არის დადგენილი, როგორც ერზე მზრუნველი და შუამავალი, რათა მისი ლოცვა ნამდვილი იყოს და ძალა ჰქონდეს, როგორც იაკობ მოციქულმაც აღნიშნა: "ფრიად შემძლებელ არს ლოცვაი მართლისაი შეწევნად" (იაკ. 5:16). მაშინ ყველანი, ვისთვისაც ლოცვა აღესრულება, ყველაფერს, რაც მათი მხრიდან არის საჭირო, - კეთილზნობას, ლოცვებს, მორჩილებასა თუ სხვა კეთილ თვისებებს, - სთავაზობენ მართლებს, რომელთა შესახებაც იციან, რომ ღმერთისთვის სათნონი არიან.

რომელია პირველი, უშუალოდ ამის შემდგომი თხოვნა? "ზეგარდმო მშვიდობა და სულთა ჩვენთა ცხოვრება".

მას შემდეგ, რაც მითითება მოგვცა იმის შესახებ, თუ როგორი განწყობილება უნდა გვქონდეს ლოცვისას, ახლა იმას გვასწავლის, რა უნდა ვითხოვოთ უპირველესად, კერძოდ: პირველად ცათა სასუფეველი და მისი სიმართლე (მათ. 6:33), რადგან სულის ხსნა სასუფეველს ნიშნავს, ხოლო ზეგარდმო მშვიდობა - ღვთის სიმართლეს. ამ მშვიდობის შესახებ თქვა მოციქულმა პავლემ: "მშვიდობამან ღმრთისამან, რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა" (ფილ. 4:7). ეს დაუტოვა უფალმა მოციქულებს, როდესაც მამასთან განსვლისას უთხრა: "მშვიდობასა დაგიტევებ თქუენ, მშვიდობასა ჩემსა მიგცემ თქვენ" (იოან. 14:27). როგორც იქ სიტყვა "სიმართლე" არა მხოლოდ ყველასთვის თანაბრად მიცემას ნიშნავს, არამედ ნებისმიერი სახის უმანკოებასაც, ასევე აქაც სიტყვა "მშვიდობა" რაღაც საერთოს აღნიშნავს, რადგან ყველა კეთილი თვისების ერთობლიობა და ყოველგვარი სიბრძნისმოყვარეობის ნაყოფია, რადგან შეუძლებელია სრული სიმშვიდის მოპოვება მისთვის, ვისაც აკლია თუნდაც ერთი სათნოება; და პირიქით, აუცილებლად უნდა გაიაროს ყველა სათნოების საფეხური იმან, ვისაც სიმშვიდით ტკობა სურს.

ამრიგად, ჯერ საკუთარი თავი უნდა მივაჩვიოთ ადამიანებთან ჩვენთვის შესაძლებელი მშვიდობის დამყარებას და მხოლოდ ამის შემდეგ ვთხოვოთ ღმერთს მისეული მშვიდობა. იგივე წესრიგი ეხება ყველა სხვა სათნოებას: არსებობს უბიწოება, რომელიც გმირობის შედეგად მოიპოვება და არსებობს უბიწოება, რომელიც სულს უფლისგან მოენიჭება. ზუსტად ასეა სიყვარულის, ლოცვის, სიბრძნისა და ყველა სხვა სათნოების შემთხვევაში. ამიტომაც მღვდელმსახური თავდაპირველად იმ სიმშვიდეზე საუბრობს, რომელიც ხელგვეწიფება, რომელიც ჩვენ მიერ მიიღწევა და ამ სიმშვიდით მოგვიწოდებს ღმერთისთვის შენდობის თხოვნას; შემდეგ - იმ სიმშვიდეზე, რომელიც უფლისგან გვეძლევა და მისთვის ლოცვას გვაიძულებს, როდესაც ამბობს: "ზეგარდამო მშვიდობისა ვილოცოთ". ის აქ ამბობს არა მხოლოდ ურთიერთის მიმართ სიმშვიდეზე, როდესაც ერთმანეთის გულმანკიერება არ გვახსოვს, არამედ საკუთარ თავში არსებულ სიმშვიდეზე, როდესაც ჩვენი გული არ გვარცხვენს. ამგვარი სიმშვიდიდან დიდი სარგებელია; შეიძლება ითქვას - ის ყოველ ნაბიჯზე აუცილებელია, რადგან შფოთით აღელვებული სულისთვის ყოველად შეუძლებელია უფალთან ერთობის მიღწევა საკუთრივ აღელვების თვისების გამო: როგორც სიმშვიდით არის შესაძლებელი, მრავალნი ერთ პიროვნებას წარმოადგენდნენ, ასევე მშფოთვარებით ერთი პიროვნება მრავლად ნაწევრდება. როგორ უნდა იყოს ამგვარი პიროვნება თანხმობაში ღმერთთან, ერთან ან უბრალო არსებასთან? და კიდევ იმიტომ, რომ მშვიდობის გარეშე მლოცველი ვერც კარგად ლოცვას შეძლებს, ვერც რაიმე კარგის მიღებას თავისი ლოცვით. თუკი

ადამიანი მრისხანებამ აღაშფოთა და ბოროტმეხსიერებამ მის სულს სიმშვიდე დააკარგვინა, ის თავისი ლოცვით ვერც ცოდვათა შენდობას და მით უმეტეს ვერც სხვა წყალობას ვერ მიიღებს; ანდა თუ კაცს რომელიმე სხვა ცოდვების შედეგად სინდისის ქენჯნა ტანჯავს, გულში საყვედურს ატარებს და შეშფოთებულია, ამ შემთხვევაში მას, ცნობილი გამონათქვამიდან გამომდინარე: დაკარგული აქვს ყოველგვარი კადნიერება ღვთის წინაშე (1 იოან. 3:21) და როდესაც ლოცულობს, ლოცულობს კადნიერების ე.ი. რწმენის გარეშე. ხოლო ვინც რწმენის გარეშე ლოცულობს, ის ყოვლად უნაყოფოდ და უსარგებლოდ ლოცულობს.

ამიტომაც ნაბრძანები გვაქვს, ღმერთისადმი მშვიდობით ვილოცოთ და ზევიდან უპირველესად მშვიდობა ვითხოვოთ, ამის შემდგომ კი კეთილი განწყობილებით ღმერთს სხვა საგნებიც შევთხოვოთ: არა მარტო ეკლესიისა და სახელწიფოსთვის, არამედ მათი მეთაურებისთვისაც, იმათთვის, ვინც საფრთხეშია, ვინც დევნილობასა და უბედურებაშია, ერთი სიტყვით, ყოველი ადამიანისთვის, მთელი სამყაროსთვის, მშვიდობისთვის, მთელი მსოფლიოსთვის.

კერძოდ იმიტომ, რომ ჩვენს უფალს მივიჩნევთ ყველასთვის საერთო უფლად და გვწამს, რომ ის თითოეულ მათგანზე ზრუნავს, როგორც შემოქმედი თავის ქმნილებაზე, და ვინც მათზე ზრუნავს, უფალს იმათზე მეტად აამებს, ვინც მსხვერპლს სწირავს: "რადგან თქვენი სიკეთე მახარებს და არა მსხვერპლი" (ოსია 6:6).

მეორე მხრივ კი, ნეტარი პავლეს თქმით: "რაითა მშვიდობით და მყუდროებით ვცხოვნდებოდით ყოვლითა ღმრთისმსახურებითა და სიწმიდითა" (1 ტიმ. 2:2).

და ვლოცულობთ არა მარტო სულიერი კეთილდღეობისთვის, არამედ ჩვენთვის აუცილებელი ფიზიკურისთვისაც - "კეთილშეზავებისათვის ჰაერთასა და კეთილგამოღებისათვის ნაყოფთა ქვეყანისათა", რათა ყველა ამ სიკეთის მიზეზად და მომნიჭებელად ღმერთი მივიჩნიოთ და მხოლოდ მას მივაპყროთ ჩვენი მზერა, რადგან, სხვათა შორის, თავად ქრისტემ გვიბრძანა, მისთვის გვეთხოვა ჰური არსობისა (მათ. 6:11).

13. რას ნიშნავს მუდმივი ლოცვა წყალობისათვის

გამოვიკვლიოთ, თუ რატომია, რომ როდესაც მღვდელმსახური ლოცვისას მრავალ და სხვადასხვა რამეს ითხოვს, მის წინაშე მყოფი მორწმუნენი მხოლოდ შეწყალებისთვის ლოცულობენ და ყოველთვის ამ ერთადერთი თხოვნით მიმართავენ ღმერთს?

პირველ რიგში, იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, თხოვნითი ლოცვა თავის თავში მადლიერებასა და სინანულს მოიცავს. ამასთან, ღმერთისგან წყალობის თხოვნა - მისი სასუფეველის მიებას ნიშნავს, რომელიც ქრისტემ მძებნელს აღუთქვა და არა მარტო სასუფეველი, არამედ ამასთან ერთად ყველაფერი ის, რაც გვესაჭიროება; ამიტომაცაა, რომ ეს ერთი ლოცვაც საკმარისია, როგორც შუამდგომლობის ძალის მქონე.

კითხულობენ, საიდან ჩანს, რომ ღვთის მოწყალება მის სასუფეველს ნიშნავსო.

იქიდან, რომ როდესაც ქრისტე საუბრობს მოწყალებისთვის განმზადებულ ჯილდოზე, რომელსაც მისი წყალობით მიიღებენ, ერთგან ამბობს, რომ ისინი შეწყალებულნი იქნებიან, ხოლო მეორეგან - რომ სასუფეველს მიიღებენ. ასე რომ, ერთი და იგივე გამოდის: მისგან მიიღებენ წყალობას ანუ სასუფეველის მემკვიდრეობას. "ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალენ" (მათ. 5:7), - ამბობს იგი.

ხოლო სხვა ადგილას, თითქოს საკუთარ თავს განმარტავს და გვიჩვენებს, რას ნიშნავს "შეწყალებულ იქნა", ამბობს: „მოვედით, კურთხეულნიო მამისა ჩემისანო, და

დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაით" (მათ. 25:34), - იგულისხმებიან მოწყალენი.

სხვა მხრივ, თუკი ვინმე მოწყალე ადამიანთაგან აღსრულებული საქმეების მიხედვით მოისურვებს ღვთის მოწყალე საქმეებზე დასკვნის გამოტანას, აღმოაჩენს, რომ იგი სწორედ სასუფეველის მიცემას ნიშნავს. რას აკეთებენ მოწყალენი? "მშობი და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა და მასუთ მე" (მათ. 25:35), - ამბობს მაცხოვარი. ასე რომ, ვისაც ქრისტე შეიწყალებს, მას თავის ტრაპეზს შესთავაზებს. რა ტრაპეზია ეს? "რაითა სჭამდეთ და სუმიდეთ ტაბლასა ზედა ჩემსა და სასუფეველსა შინა ჩემსა" (ლუკ. 22:30). რათა იცოდე, როგორი ნათელმოსილი იქნება ეს ტრაპეზი, რომ ეს არ არის მონათა ტრაპეზი, არამედ მეფეთა, ყურადღება მიაქციე იმას, თუ ვინ იმსახურებს იქ: თავად ის - ყველას მეუფე. "მოირტყნეს და დასხნეს იგინი, წარმოუდგეს და ჰმსახურებდეს მათ" (ლუკ. 12:37), - ამბობს წმიდა წერილი.

და იგი შემოსავს შეწყალებულ ადამიანს, თუკი ის შიშველია. ანუ სამეუფო სამოსელს მისცემს? დიახ, შემოსავს თავისი საკუთარი სამოსით; ხოლო მას, ჭეშმარიტ მეფეს, არაფერი აქვს მონური, ზუსტად ისევე, როგორც ჩვენ, მის მონებს, არაფერი გვაქვს საკუთარი, სამეფო. აი, ეს არის "საქორწინო სამოსელი" (მათ. 22:12), რომლით შემოსილნიც უსათუოდ სასუფეველში უნდა იყვნენ, რადგან მეფეს საფუძველი არ ექნება, სასახლიდან საყვედურით გამოყაროს ისინი.

კიდევ რა? ის მათთვის თავის საცხოვრებელს გახსნის, შეიყვანს მასში და მოასვენებს, რადგან ამბობს: "უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე" (მათ. 25:35). მაგრამ ვინც ამგვარი წყალობის ღირსი გახდება, ის უკვე მონა კი არა, შვილია, რადგან წმიდა წერილი ამბობს, რომ "მონამან არა დაიმკვიდროს სახლსა შინა უკუნისამდე, ხოლო ძემან დაიმკვიდროს უკუნისამდე" (იოან. 8:35); "ხოლო უკუეთუ შვილ, მკვიდრცა, მკვიდრ ღმრთისა თანა და თანამკვიდრ ქრისტესა" (რომ. 8:17).

ამრიგად, ქრისტესგან წყალობის თხოვნა - მისგან სასუფეველის მოთხოვნას ნიშნავს.

14. ღმერთისთვის თავის მიძღვნა

ყველაფრის შესახებ ლოცვის შემდეგ ღვთისმსახური ღმერთისთვის თავის მიძღვნას მოგვიწოდებს შემდეგი სიტყვებით: "ყოვლადწმიდისა, უბრწუნელისა, უფროსადკურთხეულისა, დიდებულისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა და ყოველთა წმიდათა მომხსენებელთა, თავნი თვისნი და ურთიერთას და ყოველი ცხოვრება ჩვენი ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა შევედროთ".

ღმერთისთვის თავის მიძღვნა ყველასთვის როდი შეადგენს ჭეშმარიტ სიკეთეს: ამისათვის მარტო თქმა (თავს მთლიანად უფალს ვუძღვნიო) არ არის საკმარისი, ამასთან ღვთის ნებაც უნდა გქონდეს; აუცილებლად საჭიროა სითამამე (კადნიერება), ხოლო სითამამე სუფთა სინდისიდან მოდის, როდესაც ჩვენი გული არ გვარცხვენს (1 იოან. 3:21), როდესაც ვზრუნავთ იმაზე, რაც ეხება უფალს და ამ ზრუნვასთან ერთად გვძულს ის, რაც პირადად ჩვენ გვცხება. აი, მაშინ ჭეშმარიტად ვთავისუფლდებით საკუთარ თავზე ზრუნვისგან და თავს მთლიანად მივანდობთ ღმერთს მტკიცე რწმენით, რომ ის მიგვიღებს მასზე მინდობილებს და დაგვიცავს. ამისათვის საკმაო სიბრძნე და ძალაა საჭირო, ამიტომ ჯერ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს და წმინდანთა მთელ დასს მივმართავთ თხოვნით, ხოლო შემდეგ ვუძღვნიოთ საკუთარ თავს უფალს, რადგან

აღნიშნული სიტყვები ნიშნავს: მხმობელი, პირველ რიგში, ითხოვს რწმენის ერთობას და სულიწმინდის ზიარებას, ხოლო შემდეგ საკუთარ თავს, ერთმანეთს და მთელ ჩვენს სიცოცხლეს მიუძღვნით ღმერთს.

რა არის ეს რწმენის ერთობა? "კაცი ორგული დაუდგრომელ არს ყოველთა გზათა მისთა" (იაკ. 1:8), - ამბობს წერილი. ორგული ადამიანი გაუბადავია, არაფერზე მყარად არ ჩერდება, ორივე მხარეს გადაიხრება და არც ერთ და არც მეორე მხარეს მყარად არ მიემართება. რწმენის ერთობა კი ამის საწინააღმდეგოს აღნიშნავს - სიმტკიცეს, შეუპოვრობას, ურყეობას, რადგან ვისაც მტკიცედ სწამს, მან საგნის შესახებ ერთი რამ იცის: ის ან არის, ან არა; გარდა ამისა, მერყევი ხან ერთ და ხან მეორე მხარეს ირხევა, ამას მოწმობს თვით ეს სიტყვაც.

აი, რას ნიშნავს რწმენის ერთობა: ეს არის ურყეობა, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი ორგულობა.

ხოლო სულიწმინდის ზიარება მის მაღლს აღნიშნავს; ის ზიარებად იმიტომ იწოდება, რომ მას შემდეგ, რაც ქრისტემ ჯვრით ჩვენსა და ღმერთს შორის აღმართული კედელი დაარღვია (ეფ. 2:14), შეშვენის, შეაერთოს და აღადგინოს მათი ურთიერთობა, ვინც ერთმანეთისგან განშორებული იყო და ვისაც არაფერი ჰქონდა საერთო, დაახლოვოს ისინი და ურთიერთობა აღუდგინოს; აი, ეს აღსრულდა მოციქულებზე სულიწმინდის გარდამოსვლით. აქედან არის წმინდა ნათლობაც, და გაიხსნა უღვეი ღვთაებრივი მაღლის ყველა წყარო, გავხდით ღვთაებრივი ბუნების თანამონაწილენი (2პეტ. 1:4), - ბრძანებს ნეტარი პეტრე.

ამრიგად, მას, ვისაც სურს, ჭეშმარიტად მიუძღვნას უფალს თავი, მტკიცე რწმენა და სულიწმინდის დახმარება სჭირდება.

ჩვენ კი უფალს ვუძღვნით არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ ერთმანეთსაც, რადგან, სიყვარულის კანონის მიხედვით, უნდა ვეძებოთ არა მხოლოდ საკუთარი, არამედ ის, რაც სჭირდებათ სხვებსაც (1 კორ. 10:24).

15. ანტიფონებისა და მათი მიმდინარეობისას წარმოთქმული ლოცვების შესახებ

იმ დროს, როდესაც დიაკვანი თხოვნას აღავლენს და ღვთისმოსავი ხალხი ლოცულობს, მღვდელი საკურთხევლის შიგნით ჩუმად წარმოთქვამს ლოცვას იქ მყოფი მრევლისა და წმინდა სახლისთვის, რათა ღმერთისგან მდიდარი წყალობა და მაღლი გადმოვიდეს მათზე, და დაურთავს მიზეზს, რის გამოც თვითონაც ითხოვს და ღმერთს თავისი სიმართლის გამო შეუძლია მოსცეს - იმიტომ კი არა, რომ მლოცველები არიან ამის ღირსნი და გვაქვს მისი მიღების უფლება, არამედ იმიტომ, რომ ღმერთს "შვენის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა". შენი დიდების გამო, - ამბობს ღვთისმსახური, - გვედრები, რადგან ამგვარი კაცთმოყვარეობის გამოვლენა ჩვენთვის, უღირსათვის, - შენი დიდებაა. ნეტარი დავითის სიტყვების თანახმად: "ნუ ჩუენთვის, უფალო, ნუ ჩუენთვის, არამედ სახელსა შენსა ეც დიდებაი" (ფს. 113:9).

უფალო, ჩვენ კი არა, შენს სახელს მართებს დიდება. ამიტომაც, ლოცვის წაკითხვის შემდეგ, რათა განასრულოს დიდება, ყველასთვის გასაგონად წარმოთქვამს, რომ ამ ქება-დიდებას სადიდებელი გალობის ყველა მონაწილემდე მიაღწიოს და მთელმა ეკლესიამ ადიდოს უფალი. და, ჭეშმარიტად, მსმენელნი მისი სადიდებლის თანამონაწილენი ხდებიან, ვინაიდან, როდესაც მღვდელმსახური ასამაღლებელს ამბობს,

ყოველი მორწმუნე ამტკიცებს: "ამინ". წარმოთქვამენ რა ამ სიტყვას, მოძღვრის მთლიან სიტყვას იმეცნებენ.

შემდეგ ღვთისმსახური წმინდა ფსალმუნის კითხვას იწყებს, ხოლო იქ მყოფნი განასრულებენ მას ბოლომდე, გალობენ რა წმინდა წინასწარმეტყველთა ღვთივშთაგონებულ გამონათქვამებს. "კეთილ არს აღსარებად უფლისა და გალობად შენდა, მაღალო" (ფს. 91:1). აი, დასაწყისისთვის შესაფერისი სიტყვა, რადგან თავად გალობის შესახებ ნათქვამია, რომ ის არის სიკეთე. ეს, რასაკვირველია, ყველა საგალობლის დაწყებამდე უნდა ვიცოდეთ. მღვდელი ამბობს: სიკეთეა აღსარება ანუ მადლიერება, ქება-დიდება.

როდესაც ეს და მთელი ფსალმუნი წესისა და რიგისაებრ წაიკითხება, დიაკვანი მორწმუნეებს ლოცვისკენ მოუწოდებს - კვლავ უბრძანებს, თხოვნა აღავლინონ.

ამასთან, როდესაც მორწმუნეები ფსალმუნთგალობის შემდეგ ლოცულობენ, მღვდელმსახური ჩუმად ევედრება ღმერთს მთელი ეკლესიისთვის, კერძოდ კი, წმინდა ღვთის სახლის მშენიერების მოყვარეთათვის. ვინც მის განდიდებას ყველანაირად ცდილობს, დაე, ისინიც განდიდებულ იყვნენ მისთვის. ამასთან ღვთისთვის შესაფერის მიზეზზე მიგვითითებს: "რამეთუ შენი არს სიმტკიცე და შენი არს სუფევა". მისი თქმით, დიდება მეფეებსაც აქვთ, რომელნიც, როდესაც მოესურვებათ, მაშინ შეიმოსებიან ბრწყინვალეებით; მაგრამ შენ მარადიული მეფე ხარ, შენია სიმტკიცე და შენი არს სუფევა.

ასამაღლებლის, როგორც მიზეზის, ყველა მორწმუნის გასაგონად აღვლენისა და მათი უფლის სადიდებელში მონაწილეობის დადასტურების (იგულისხმება საპასუხო "ამინ") შემდეგ ღვთისმსახური კვლავ ფსალმუნთგალობას იწყებს, ხოლო მორწმუნეები კვლავაც დაასრულებენ მას და შემდეგ, როგორც ზევით აღინიშნა, დიაკვნის ბაგეებით უფალს თხოვნას აღვლენენ.

ღვთისმსახური კვლავაც მასთან ერთად მლოცველი მორწმუნეებისთვის ლოცულობს, რათა თითოეულმა მათგანმა უფლისგან ის სარგებელი მიიღოს, რასაც თავისთვის ითხოვს, და უფრო მეტიც - მათთვის მარადიულ ცხოვრებას გამოითხოვს. ამის მიღების მიზეზად ღვთის სახიერებასა და კაცთმოყვარეობას ამატებს და მას შემდეგ, რაც ამ დასასრულს ყველასთვის გასაგონად გამოთქვამს, იწყებს მესამე ფსალმუნთგალობას, რომლის დროსაც ეკლესიის მსახურთა, მნათეთა, საცეცხლურისა და ყველა ტრაპეზის მსახურის თანხლებით გამობრძანდება სახარება. მას დიაკვანი გამოაბრძანებს, ხოლო თუ დიაკვანი არ არის - მღვდელი.

მღვდელი საკურთხეველში შესვლამდე ჩერდება კარის სიახლოვეს და სანამ ფსალმუნთგალობა აღესრულება, უფალს ევედრება, მასთან ერთად საკურთხეველში წმინდა ანგელოზებიც შევიდნენ და შეუერთდნენ ღვთისმსახურებას, მიიღონ მონაწილეობა ღვთის ქება-დიდებაში და ურთავს ამის მიზეზს: რადგან მას შვენის დიდება და თაყვანისცემა ადამიანთაგანაც და ანგელოზთაგანაც, ვინაიდან სწორედ ამას ნიშნავს "ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა" - ყოველი არსებისაგან, ვისაც უფლის დიდება და თაყვანისცემა შეუძლია.

ამ ლოცვით მღვდელი შედის საკურთხეველში და სახარებას წმინდა ტრაპეზზე დააბრძანებს.

16. ღვთისმსახურების მნიშვნელობის ზოგადი მონახაზი

აუცილებელია, ჯერ ფსალმუნთგალობის სიტყვები ნაწილებად განვიხილოთ.

წინასწარ აღვნიშნოთ, რომ ქრისტეს მნეობა როგორც თვით საიდუმლო მსხვერპლით, ასევე იმ მოქმედებებითა და სიტყვებით მოგვესწავება, რომლებიც წინ უძღვის და მოსდევს მსხვერპლს.

მსხვერპლი უფლის სიკვდილს, აღდგომასა და ამაღლებას გვაუწყებს, რადგან პატიოსან ძღვნად მაცხოვრის აღმდგარი და ზეცად ამაღლებული სხეული გარდაიქმნება.

ის, რაც წინ უძღვის მსხვერპლს, სიკვდილის წინა მოვლენებს მიგვანიშნებს: მოვლინებას, გამოჩენასა და მხსნელის მიერ კაცობრიობის გამოხსნის მსახურების შედგომას; ხოლო მსხვერპლის შემდგომი გვახსენებს მამის აღთქმას (ლუკ. 24:49), როგორც თავად ამბობდა, ე.ი. მოციქულებზე სულიწმინდის გარდამოსვლას, მათი საშუალებით ხალხის მოქცევასა და უფალთან ურთიერთობაში შეყვანას.

მთლიანი საიდუმლო თითქოს ისტორიის ერთიანი სხეულია, რომელიც დასაწყისიდან დასასრულამდე სიმწყობრესა და მთლიანობას ინარჩუნებს.

ფსალმუნები, რადგანაც საიდუმლოს დასაწყისში იგალობება, ქრისტეს მნეობის წინა პერიოდს აღნიშნავს, ხოლო რაც მის შემდგომ აღესრულება, კერძოდ, წმინდა წერილის კითხვა და სხვა, შემდგომ პერიოდზე მიგვანიშნებს.

მართალია, სხვა რამ დასახელდა ფსალმუნთგალობის მიზეზად (მომზადება და განწმენდა საიდუმლოსთვის) და სხვა - წმინდა წერილისა, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს იმას, რომ ამ უკანასკნელს პირველის ძალა ჰქონდეს და ერთისგანაც და მეორისგანაც მორწმუნეები განიწმინდონ და მნეობაც მოგვესწავოს. კაბა, ერთი მხრივ, ჩაცმის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს და სხეულს ფარავს, ხოლო, მეორე მხრივ, შემოსილი პიროვნების საქმიანობას, ცხოვრებასა და ღირსებას აღნიშნავს. ასევეა აქაც: რადგანაც გალობით წარმოთქმული და წაკითხული ზოგადად წმინდა წერილია და ღვთივსულიერი სიტყვა, მკითხველსა და მგალობელს განწმენდს; ხოლო რადგან ამგვარია არჩეული და ასეა დადგენილი, მას სხვა ძალაც აქვს - იგი ქრისტეს მოსვლასა და მისი საქმეების რიგითობას მოასწავებს. არა მხოლოდ ნაგალობევი და წაკითხული, არამედ აღსრულებულიც თავისთავად აკმაყოფილებს საჭირო მოთხოვნილებასაც და ქრისტეს ღვაწლის ან ვნების რაიმე საქმესაც გვაუწყებს. მაგალითად, საკურთხეველში სახარების შებრძანება და პატიოსანი ძღვნით შესვლა აუცილებლობით აღესრულება: პირველი - იმისათვის, რომ სახარება იქნეს წაკითხული, ხოლო უკანასკნელი - რათა მსხვერპლი შეიწიროს; მაგრამ ორივე მოქმედება უფლის გამოცხადებასა და მოვლინებასაც აღნიშნავს: პირველი საწყის ანუ ბუნდოვან და არასრულყოფილ მოვლინებაზე მიგვანიშნებს, ხოლო მეორე - სრულყოფილსა და საბოლოოზე. თუმცა საიდუმლოს აღსრულებისას არის იმგვარი მოქმედებებიც, რომელთაც საჭიროების დაკმაყოფილების სახე არ გააჩნია, არამედ მხოლოდ მინიშნებისთვის სრულდება, ასეთია - ლაზვარი და მისით პურის გახვრეტა, პურზე ჯვრის ნიშნის გამოსახვა და წმინდა ძღვენში წყლის ჩასხმა. მსგავსს სხვა საიდუმლოებებშიც ბევრს შეხვდებით: ასე მაგალითად, ნათლობისას ვინც იბანება, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი უნდა გაიხადოს და შეტრიალდეს დასავლეთისკენ, გაიწოდოს ხელები და შეჰბეროს. ამას და სხვა ამდაგვარს არ შეაქვს საიდუმლოში რაიმე არსობრივად აუცილებელი, მაგრამ მის მიმდებს უნერგავს იმ სიმბოლურსა და მტრობას, რომელიც უნდა გვექონდეს ბოროტის მიმართ და ასწავლის, რომ ის, ვისაც ღირსეულ ქრისტიანად ყოფნა სურს, ყოველნაირად უნდა განუდგეს ეშმაკს.

ყოველივე ზემოთქმულის ამგვარად გააზრების შემდეგ შევუდგეთ ღვთისმსახურების ნაწილების განხილვას. მას მხსნელის მნეობის სახე აქვს.

უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ ფსალმუნთგალობა.

17. პირველი ანტიფონის განმარტება

ქება-დიდებისკენ პირველი მოწოდება დამწყებთ შეეფერებათ. ის ამბობს: "კეთილ არს აღსარებად უფლისა". ეს არის ღმერთისა და მამისადმი და ამასთან მხოლოდმობილისადმი მიმართული გალობა. "კეთილ არს აღსარებად უფლისა და გალობად შენდა, მაღალო" (ფს. 91:1). ის უზენაესს მამას უწოდებს, ხოლო მხოლოდმობილს - უფალს. "კეთილ არს ძისადმი გალობა და შენდამი, მამაო". რას ნიშნავს ეს? ეს არის შესავალი შემდგომი დიდებისა. ამ საგალობლით აღევლინა მამისა და ძისადმი ერთობლივი დიდება. როგორ? გვეუწყოს ძის საქმეები, რომელთა მეშვეობითაც მამა განედიდება.

რა მიზეზი არსებობს ხოტბისა? უსუსურება (ფილიპ. 2:7) და უძლურება (2 კორ. 8:9) ძისა, მის მიერ ხორციელად აღსრულებული საქმეები და ვნება. აქ არის წყალობა და ჭემმარტება (ფს. 91:3). წყალობა, რადგან მტრისა და მოწინააღმდეგისგან საცოდავად დამარცხებულნი, თავისი სიკეთითა და კაცთმოყვარეობით არ უგულვებელგვყო და არა მარტო ჩვენი სიგლახაკისადმი თანაგრძნობა გამოხატა, არამედ ჩვენი გასაჭირისა და სიკვდილის თანამონაწილედ გახდა და არა მარტო იმ მომაკვდინებელი დაცემისგან აღგვადგინა, არამედ სასუფევლისა და უდიდესი წყალობის ღირსი გაგვხადა. ამიტომაც ამბობს პავლე: "ხოლო რაჟამს სიტკბოებაი და კაცთმოყუარებაი გამოჩნდა მაცხოვრისა ჩუენისა ღმრთისაი" (ტიტ. 3:4), სწორედ მაშინ გაცხადდა პირველად, რაოდენ დიდია იგი. ხოლო უფალმა სიტყვებით: "ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე" (იოან. 3:16) - განმარტა, რომ ეს სიყვარული უსაზღვროა.

ამიტომაც უწოდებს მნებობას ფსალმუნი წყალობას.

ხოლო ჭემმარტებად - იმიტომ, რომ ყველაფერ ძველს მასთან მიმართებით უცქერის როგორც აჩრდილსა და ხატებას. ამიტომ წინასწარმეტყველი საკუთარ თავზე საუბრისას ჭემმარტად ამბობს: "ეფუცა უფალი დავითს ჭემმარტებითა" (ფს. 131:11). რა არის აქ ფიცის საგანი? უფლის ხორციელად მოვლინება და ცხოვრება. "ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსუა საყდართა შენთა" (ფს. 131:11), რითაც თავად მხსნელისკენ მიგვითითებს. საიდან ჩანს ეს? ამის შესახებ გაბრიელი გვასწავლის, როდესაც ქალწულს გამოუთქმელ შობას აუწყებს და შთააგონებს, როგორი იქნება შობილი: "მისცემს მას უფალი ღმერთი მისი მამის, დავითის ტახტს. და უკუნისამდე იმეფებს იაკობის სახლზე და მის მეფობას არ ექნება დასასრული" (ლუკ. 1:32,33).

ხოლო თავად ჭემმარტებად სამსჯავრო და სიმართლე იგულისხმება. რატომ? იმიტომ, რომ მაცხოვარმა ჭემმარტებით დაამარცხა ცოდვა და მოაკვდინა ეშმაკი და ეს გადაჭარბებული ძალითა და გამარჯვების ძლევამოსილებით კი არ აღასრულა, არამედ მსჯავრითა და სიმართლით, როგორც ნათქვამია: "სიმართლე და განკითხვა არს განმზადება საყდრისა შენისა" (ფს. 88:14). შენც შენს სამართალში მოწინააღმდეგეზე მოსამართლის განაჩენით იმარჯვებ. ამიტომაც ამბობს მაცხოვარი: "ახლაა ამ წუთისოფლის სამსჯავრო; ამ წუთისოფლის მთავარი ახლა გარეთ განიდევნება" (იოან. 12:31).

ნეტარი დიონისე, რომელმაც ეს იცის, ამბობს, რომ ღვთაებრივი წყალობის მიუწვდომელმა კაცთმოყვარეობამ დაარღვია მიდრეკილება ჩვენზე ხელმწიფე ხროვისა, ე.ი. ეშმაკებისა, არა ძლევამოსილი ძალით, არამედ - მსჯავრითა და სიმართლით.

და რადგან საქებარი არა მარტო წყალობა და ჭემმარიტებაა, არამედ სიმართლე და მსჯავრიც, ფსალმუნთმგალობელი ამატებს: "რამეთუ წრფელ არს უფალი ღმერთი ჩუენი, და არა არს სიცრუე მის თანა" (ფს. 91:15).

"კეთილ არს, მითხრობად ცისკარს წყალობა შენი და ჭემმარიტება შენი ღამედ-ღამედ" (ფს. 91:2). საჭიროა, დღედაღამ ვადიდოთ უფალი, - ამბობს იგი, - რადგან სწორედ ამას ნიშნავს სიტყვები: "ცისკარს და ღამედ-ღამედ". სხვა ადგილას იგივე გამოიხატება სიტყვით: "უკუნისამდე".

ასეთია პირველი ანტიფონის მნიშვნელობა.

18. რას ნიშნავს ღვთისმსახურების დასაწყისში გალობით წარმოთქმული წინასწარმეტყველთა გამონათქვამები

მეორე ფსალმუნთგალობა განადიდებს თავად ღმერთის ძის მეუფებას, მის დიდმშვენიერებას, სადამდეც ის უძლურებისა და სიგლახაკის გზით ავიდა.

მაგრამ აქ რა საჭიროა წინასწარმეტყველთა გამონათქვამები? და როგორ მიანიშნებენ ისინი მაცხოვრის მნეობას?

ისინი მისი მოვლინების საწყის პერიოდზე მიგვანიშნებენ, როდესაც ის უკვე მოსული იყო, მაგრამ ჯერ ხალხში არ იყო გამოჩენილი; როდესაც სოფელში იყო და სოფელმა ჯერ ვერ იცნა; აღნიშნავენ იოანემდელ პერიოდს, როცა ლამპარი ჯერ არ იყო ანთებული (იოან. 5:35). მაშინ ჯერ კიდევ სჭირდებოდა მას წინასწარმეტყველთა სიტყვა. როდესაც ამ ყველაფრის შემდეგ მოვიდა იგი, წინასწარმეტყველთაგან წინასწარ გამოთქმული, წინასწარმეტყველება აღარ სჭირდებოდა; უკვე გამოჩინებულზე მიუთითა იოანემ (იოან. 1:29), ხოლო იოანემდე - მამამ (იოან. 3:17). "რამეთუ ყოველნი წინასწარმეტყუელნი და სჯული ვიდრე იოვანესამდე წინასწარმეტყუელებდეს" (მათ. 11:13). სწორედ ეს იოანემდელი პერიოდი აღნიშნება საწინასწარმეტყველოს გალობისას, რადგან პატიოსანი ძღვენი, რომლითაც ქრისტე მოესწავება, ამ დროისთვის შუაში ჯერ არ არის გამოტანილი, არამედ დაფარულად რჩება საკურთხევლის განსაკუთრებულ ნაწილში.

ახლა ფსალმუნის გამონათქვამი განვიხილოთ: "უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა" (ფს. 92:1). სუფევად ფსალმუნში შეცნობა ითქვა, რომელიც ხალხმა უფლისგან მიიღო, რის გამოც დაემორჩილნენ მას, რადგან შეიცნეს მისი ბრწყინვალება, სილამაზე და ძლევამოსილება, ისე, როგორც უნდა შეეცნოთ. სწორედ ამას ნიშნავს მხსნელის ეს სიტყვა: "მოცემული მაქვს მე მთელი ხელმწიფება ცაში და დედამიწაზე" (მათ. 28:18), ვინაიდან ცის ძეგბმაც და შემდეგ მიწის მკვიდრებმაც შეიცნეს ჭემმარიტი უფალი. მომდევნო გამონათქვამების შესწავლის შემდეგ - იმავეს აღმოაჩენ.

ამრიგად, მეფობისა და ძალაუფლების სახის განსაზღვრისას წინასწარმეტყველი ამბობს: "და რამეთუ დაამყარა სოფელი, რათა არა შეიძრას" (ფს. 92:1). დამყარებას ფსალმუნი რწმენას უწოდებს: მზაკვრობისკენ მიდრეკილნი განამტკიცა უფალმა და შეიერთა. ასეთია ცდუნებით გატაცებული: მას არაფერში შეუძლია შეჩერება. მაგრამ უფალი ამბობს: "წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემდით მათ სახელითა მამისაითა და ძისაითა და სულისა წმიდისაითა" (მათ. 28:19). აი, ეს არის რწმენის მოძღვრება.

თუმცა ამ რწმენის მეუფებისთვის არასაკმარისია; შეუძლებელია ხალხთა დამორჩილება მხოლოდ ამ გზით. ამას მცნებათა დაცვაც უნდა დაერთოს.

წინასწარმეტყველი აგრძელებს: "წამებანი შენნი, უფალო, სარწმუნო იქმნეს ფრიად" (ფს. 92:5). ხოლო უფალი ნათლობის შესახებ სიტყვას მცნებების შესახებ სიტყვას ამატებს და ამბობს: "ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ" (მათ. 28:20). რასაც მაცხოვარი მცნებებს უწოდებს, იმას წინასწარმეტყველი მოწმობად მოიხსენიებს და ამას წერილში ყველგან იპოვი: ღვთის კანონებს ის ყველგან მოწმობებს უწოდებს.

შემდეგ წინასწარმეტყველი ამბობს: "სახლსა შენსა შუენის სიწმინდე, უფალო" (ფს. 92:5), და სიწმინდეს მსხვერპლად მოიაზრებს, ანუ ძღვნად, ყოველ ღვთის შესაფერის მსახურებად. სიტყვებით: სახლსა შენსა შუენის, - ის გვიჩვენებს, რომ ეს სახლი ცარიელი და უცხო არ არის ღმერთისთვის, რომ მასში თავად სახლის ხელმწიფე ბინადრობს; თუკი მასში ღმერთი არ იქნებოდა, მას არ შეეფერებოდა ის, რაც მხოლოდ ღმერთისთვის არის შესაფერისი. იგივე სიტყვა უფალმაც დაამტკიცა, მისცა რა მარადის ეკლესიასთან ყოფნის აღთქმა; პავლეც ეკლესიას ცოცხალი ღმერთის სახლს უწოდებს, ვინაიდან ამბობს: "რაითა უწყოდი, ვითარ-იგი ჯერ-არს სახლსა შინა ღმრთისასა სღვაი, რომელ არს ეკლესიაი ღმრთისა ცხოველისაი" (1 ტიმ. 3:15). "სახლსა შენსა შუენის სიწმინდე, უფალო" და რაც თქვა: "სიგრძესა დღეთასა" (ფს. 92:5), იმავეს ამბობს უფალი: "ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა" (მათ. 28:20).

ეს ფსალმუნთგალობა ზუსტი წინასწარმეტყველებაა იმის შესახებ, რაც მაცხოვარმა თავისი ჯვრითა და სიკვდილით აღასრულა.

19. მესამე ანტიფონის განმარტება

შემდეგი კი თითქოს უკვე მოსული და გამომჟღავნებული უფლის შეგებებად გვევლინება, ამიტომ არის დადგენილი და იგალობება სახარების გამობრძანებისა და გამოჩინებისას, რითაც ქრისტე მოგვესწავება. ხოლო წინასწარმეტყველს ამ საგალობლის გალობისას თვალწინ ქრისტეს სული ევლინებოდა, რაც განსაკუთრებით მისი სიხარულიდან და მხიარულებიდან ჩანს, რითაც ისიც სავსედ გამოიყურებოდა და რისი ზიარებისკენაც სხვას ყველას მოუწოდებდა: "მოვედით, უგალობდეთ უფალსა" (ფს. 94:1). უფლის მოსვლამდე ადამიანს შეუძლებელია გახარებოდა, რადგან სიხარული მხოლოდ ქრისტემ მოგვიტანა და თუკი დედამიწაზე ვინმე ხარობდა მის მოსვლამდე, ხარობდა ის, ვინც მის საიდუმლოს ეზიარა. ამგვარად უხაროდა აბრაამს: "აბრაჰამს, მამასა თქუენსა, უხაროდა, რაითა იხილოს დღე ესე ჩემი, იხილა და განიხარა" (იოან. 8:56), თავად დავითსაც: "იხარებდეს ენა ჩემი სიმართლესა შენსა" (ფს. 50:14), ვინაიდან როგორი სიხარულიც ჰქონდა ქრისტესადმი ცოდვამდე, იმავე სიტკბოებით ლოცულობდა უფლისადმი, როდესაც ეს სიხარული დაკარგა ცოდვის შედეგად.

ამიტომ სიტყვებით: მოდით, განვიწმინდოთ, - სინათლის მოსვლის შესახებ გვაუწყა; ხოლო სიტყვებით: მოდით, გავიხაროთ უფლით, - გვიჩვენებს, რომ იგი გამოჩნდა და სიხარული მოგვიტანა.

შემდეგ მას მაცხოვარსა და უფალს უწოდებს. ხოლო ქრისტეს წმინდა წერილი მაცხოვარსა და მხსნელს იმიტომ უწოდებს, რომ ღვთაებრივი ჰიპოსტასებიდან მხოლოდ ძე იყო ჩვენი ხსნის აღმსრულებელი და მისით აღსრულდა ყოველივე. ამგვარად თქვა პავლემაც: "თავისა მიერ თვისისა განწმედაი ცოდვათა ჩუენთაი ყო" (ებრ. 1:3), რაც თავადაც გამოხატა კეთილი მწყემსის სახით, რომელმაც სხვები კი არ გაგზავნა დაკარგული ცხვრის საძიებლად, არამედ თავად ეძებდა და მონახა, აიყვანა და ბეჭებით

მიუყვანა (მამას) (ლუკ. 15:4-5); ამიტომ მიიღო თავისი მსახურებისთვის შესაფერისი სახელი - იწოდა რა იესოდ (მათ. 1:21).

"აღვიმსთოთ წინაშე პირსა მისსა აღსარებითა და ფსალმუნითა უღალადებდით მას" (ფს. 94:2) - აქ პიროვნებაში უფლის მოვლინება იგულისხმება. ნუ დავიწყებთ მისი პიროვნების ჭკრეტას, როდესაც უკვე სახლში შემოვა, არამედ გავიდეთ მასთან რწმენით შესაგებებლად ანუ სადიდებლად და ფსალმუნებით შევმახოთ - მივანიჭოთ ღმერთის შესაფერი პატივი. მან ისურვა მონის სახით მოსვლა (ფილიპ. 2:7); მაგრამ ჩვენ, დაე, ნუ დავივიწყებთ მასში ხელმწიფეს; არ ვცდუნდეთ მისი სხეულით, მოვლენილის მიუხედავად; დაე, ნუ გაგვიტაცებს უმაღლესზე უმდაბლესი ფიქრებით კვება, რადგან ამ სხეულში დაიფარა მთელი დედამიწის დიადი მეფე (მეუფე) - "ღმერთი დიდ არს უფალი და მეუფე დიდ არს ყოველსა ქუეყანასა ზედა" (ფს. 94:3). ყოველივე ამას წინასწარმეტყველი შემდეგში ღვთისთვის შესაფერის ხოტბას უმატებს.

ასეთია წინასწარმეტყველური გამონათქვამები და ასევე დროულად იგალობება ისინი.

20. სახარების გამობრძანებისა და სამწმიდა გალობის შესახებ

როდესაც ამას გალობენ, ღვთისმსახური, დგას რა ტრაპეზის წინ შუაში, აღამაღლებს სახარებას - ამით გამოხატავს უფლის მოვლინებას, როდესაც მან თავის გამოაშკარავება დაიწყო, რადგან სახარება ქრისტეს ნიშნავს, ისევე როგორც საწინასწარმეტყველო წიგნები იწოდებიან წინასწარმეტყველებად. აბრაამი მდიდარს ეუბნება: "ჰქონან მოსე და წინასწარმეტყველნი" (ლუკ. 16:29), ანუ მათი წიგნები.

ხოლო როდესაც ის, ვისზეც წინასწარმეტყველნი აუწყებდნენ, თავად მოევლინა და გამოაცხადა თავი, მათი სიტყვებისადმი ყურადღებას აღარავინ მიიჩნევს აუცილებლად. ამიტომაც სახარების გამოჩენით წინასწარმეტყველება წყდება. იმ წუთიდან იმას ვგალობთ, რაც ახალ აღთქმას მიეკუთვნება: ან ყოვლადწმინდა დედა ღვთისას ვადიდებთ, ან სხვა წმინდანებს ვუგალობთ, ან თავად ქრისტეს ვადიდებთ მისი მოვლინების გამო, მოვლინების შემდეგ ვნების გამო, მისი საქმეების გამო, რომელთაც ეკლესია თითოეულს ცალ-ცალკე აღნიშნავს.

შემდეგ თავად ღმერთს ვადიდებთ სამებაში, როგორად აღიარებაც მაცხოვრის მოსვლამ გვასწავლა. ეს საგალობელი მიღებულია ანგელოზებისგან, ნასესხებია წინასწარმეტყველის ფსალმუნთა წიგნიდან, დადგენილია ქრისტეს ეკლესიისგან და მიძღვნილია სამებისადმი, რადგან სიტყვა "წმიდა", სამგზის წარმოთქმული, ანგელოზთა სიტყვაა (ესა. 6:3 და გამოც. 4:8); "ღმერთო", "ძლიერო" და "უკვდავო" კი ნეტარი დავითის სიტყვებია, როდესაც ამბობს: "სწყურის სულსა ჩემსა ღმრთისა მიმართ ძლიერისა და ცხოველისა" (ფს. 41:2); ხოლო დადგინება და შეერთება ამ უკანასკნელისა პირველთან და "შეგვიწყალენ ჩვენ" ლოცვის დამატება ეკლესიის საქმეა, რომელიც ერთ ღმერთს სამებაში ემორჩილება და აღიარებს, რათა ნაწილობრივ გვიჩვენოს ძველი და ახალი აღთქმის თანხმობა, ის, რომ ზეციური და ამავე დროს მიწაზე შობილი ქრისტეს მოვლინებით ანგელოზები და ადამიანები ერთ ეკლესიას, ერთ გუნდს წარმოადგენენ. ამიტომ სახარების გამოჩენისა და საკურთხეველში შესვლის შემდეგ ამ საგალობელს ვგალობთ, თითქოსდა ვღალადებთ: შენ, ჩვენთან მოსულო, ანგელოზებთან ერთად დაგვაყენე და მათ გუნდს შეგვაერთე.

ეს ასეა.

21. ამ საგალობლის გალობისას წაკითხული ლოცვისა და წმიდა ასამაღლებლების შესახებ

ამ საგალობლის წინ ღვთისმსახური უფალს ევედრება, შეიწიროს ეს გალობა და მგალობლებს მადლი გარდამოუვლინოს. რომელი მადლი? გალობის შესაბამისი, მათი სულებისა და სხეულების განმწმენდი, ცოდვათა შენდობის მომცემი, რათა ისინი სიწმინდით ემსახურონ უფალს უკუნისამდე. და მიზეზს ამატებს: "ღმერთო წმიდაო, რომელი წმიდათა შინა განისვენებ", რადგან ჭეშმარიტად წმიდისთვის არის თვისობრივი წმიდანებისთვის სიხარული და მათთვის სიწმიდის მონიჭება. ამის გამოცხადებას ღვთისმსახური ასამაღლებელს ურთავს, რითაც წმიდა კრებულს სამწმიდაოს გალობის ნიშანს აძლევს; ისიც, ჩვეულებისამებრ, ამთავრებს ასამაღლებელს სიტყვით "ამინ" და გალობას იწყებს.

გალობის შემდეგ კი ღვთისმსახური ყველას მოუწოდებს, არ იდგნენ დაუფიქრებლად და უდარდელად, არამედ გულისყური მიაპყრონ იმას, რაც აღესრულება და იგალობება, ვინაიდან ამას ნიშნავს სიტყვა: "მოხედეთ". შემდეგ ყველასთვის მშვიდობას გამოითხოვს და ახსენებს "სიბრძნით", რომლითაც საიდუმლოს უნდა მივაყურადოთ. რა არის სიბრძნე? ღვთისმსახურებისთვის შესაფერისი ფიქრები, რომლითაც რწმენით აღვსილებმა, ყოველგვარი ადამიანურის გარეშე უნდა უყურონ და მოისმინონ აღსრულებული და წარმოთქმული. სწორედ ეს არის ქრისტიანული სიბრძნე და ამგვარია იმ სიტყვის მნიშვნელობა, რომელსაც ღვთისმსახური ღვთისმსახურებისას მრავალგზის წარმოთქვამს მორწმუნეთა მიმართ; აი, ამგვარ ზრახვებს გვახსენებს იგი, რადგან, არცთუ იშვიათად, ერთი გამონათქვამით მთლიან აზრს ვახსენებთ ერთმანეთს და მსმენელთა სულებში განვაახლებთ მას.

რისთვის არის საჭირო შეხსენება? გულმავიწყობის ძალა დიდია და ადამიანურ ვნებათაგან ვერც ერთი მასავით ხშირად და ადვილად ვერ სძლევს ადამიანს. ამიტომ, როდესაც აუცილებელია ჯეროვანი აზრებით დგომა და ღვთისმსახურებაში მონაწილეობა, წმიდა გალობისა და მოქმედებების მოსმენა და ჭკრეტა (რაც ადვილი არ არის), რათა უნაყოფოდ არ ვესწრებოდეთ მას და დრო ამაოდ არ დავკარგოთ, საჭიროა, თავი თვითონ აღვიგზნოთ და თავად გამოვფხიზლდეთ; ასევე საჭიროა გარეგნული შეხსენება, რათა გულმავიწყობით გამუდმებით შეპყრობილი და ამაო იმედით გატაცებული გონების აღდგენა კვლავაც შევძლოთ.

იგივე სურს წმიდა ძღვნის საკურთხეველში შებრძანებისას აღვლენილ საგალობელს, რადგან გამონათქვამი - "ყოველივე მსოფლიო დავუტევოთ ზრუნვა" - სწორედ ამას ნიშნავს. შეგონებაა შეძახილიც: "შეგვიწყალენ!"

რა შეგონება? მას სურს, ჩვენ ღვთისა და საიდუმლოებათა წინაშე მსახურებაში არა ზმორებით, არამედ გულმოდგინებით წარვდგეთ და ყოველგვარი კეთილკრძალულებით გვეჭიროს თავი, ვხედავთ, წარმოვთქვამთ თუ ვისმენტ რაიმეს წმიდა ლოცვებიდან და ამ მონდომებისა და კეთილკრძალულების უპირველეს ნიშანს გამოცხატავდეთ გამართული სხეულით - დამსხდარნი კი არა, არამედ ფეხზე მდგომნი, რადგან ამგვარია მლოცველის სახე, ამგვარია მსახურის სახე, რომლებიც ბატონის თითოეულ მოძრაობას გაფაციცებით აკვირდებიან, რომ მაშინვე შეასრულონ ბრძანება, მზად იყვნენ მსახურებისთვის. და ჩვენ ხომ უფალს უმნიშვნელოვანესაც ვევედრებით, ყველა სახის მსახურებაში მსახურები ვართ.

ამგვარია ამ სიტყვების მნიშვნელობა.

22. წერილის კითხვის თანმიმდევრობა და მნიშვნელობა

"სამწმიდაოს" გალობის შემდეგ მოციქულთა წიგნი იკითხება, შემდეგ კი, როდესაც ეკლესია უფალს სადიდებელ ჰიმნს აღუვლენს, თავად სახარებაც.

მაგრამ რატომ განვადიდებთ ღმერთს წმიდა წერილის კითხვის წინ? იმიტომ, რომ ასე უნდა მოვიქცეთ ყოველთვის, როდესაც იგი თავის წყალობას გვიგზავნის, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა უდიდეს წყალობას ვიღებთ. ასეთია, მაგალითად, ღვთაებრივი სიტყვების მოსმენა. თუმცა სამოციქულოს დროს ჩვენ თხოვნით გალობას აღვავლენთ, რადგან ვუმატებთ: "შეგვიწყალებს"; ხოლო სახარების კითხვისას ასამაღლებელს თხოვნის გარეშე წარმოვთქვამთ, რათა ვიცოდეთ, რომ სახარებით ქრისტე მიგვენიშნება, რომლის მპოვნელთ ყოველივე აქვთ, რადგან სიძე შინაა, ყველაფრის მქონეს კი არ სჭირდება რაიმეს თხოვნა. ასე რომ სიძის კანონიერი შვილებისთვის უხერხულია მარხვაც კი, რადგან მათთან სიძეა (მათ. 5:19), მხოლოდ მისი თაყვანისცემა და განდიდებაა აუცილებელი. ამგვარივეა ანგელოზთა საგალობელი, როგორც მას წინასწარმეტყველები გადმოგვცემენ; ისიც ამავე მიზეზით მხოლოდ გალობაა და თავისუფალია ყოველგვარი თხოვნისგან.

მაგრამ რას ნიშნავს აქ წმიდა წერილის კითხვა?

თუ დანიშნულების გაგება გინდა, მაშინ, როგორც ითქვა, კითხვა გვამზადებს და გვწმენდს დიდი კურთხევის წინ საიდუმლოს აღსრულების გზით. ხოლო თუ მნიშვნელობას ეძიებ, მაშინ იგი უფლის გამოცხადებას მოასწავებს, რომელიც მან თავისი მოვლინების შემდეგ მალევე გამოაჩინა. სახარება თავდაპირველად დახურული გვეჩვენება და უფლის მოვლინებას აღნიშნავს, როდესაც იგი მამის ნებით მდუმარებაში მოგვევლინა და მაშინ როდესაც თავად არაფერს ქადაგებდა, ხმა მღალაღებლისა თან სდევდა (მათ. 3:17). ხოლო სახარების კითხვა უკვე ნიშანია მაცხოვრის სრულყოფილი გამოცხადებისა, რომლის დროსაც იგი განცხადებულად ესაუბრებოდა ყველას და თავის თავში არა მხოლოდ ის გამოავლინა, რასაც თვითონ ამბობდა საკუთარ თავზე, არამედ ისიც, რის თქმასაც მოციქულებს ასწავლიდა, აგზავნიდა რა მათ ისრაელის სახლის დაღუპულ ცხვრებთან (მათ. 10:6). ამისთვის იკითხება მოციქულთა წერილები და თავად სახარება.

რატომ არ იკითხება სახარება უფრო ადრე? რადგან თავად უფლისგან გამოჩენილი გამოცხადების ნიშნები უფრო სრულყოფილია, ვიდრე მოციქულთა მიერ გამოთქმული. და რადგან უფალმა უცაბედად არ გამოუჩინა ხალხს ის, თუ როგორია იგი თავისი ძალით და როგორია თავისი წყალობით (რადგან ეს მის მეორედ მოსვლას ეხება), არამედ ნაკლებად ცხადიდან მეტად ცხადისკენ განვლო გზა, ამიტომ მისი თანდათანობითი გამოცხადების ჩვენების მსურველთათვის ბუნებრივია სახარების წაკითხვამდე მოციქულთა წერილების კითხვა.

23. თხოვნის შესახებ, რომელიც სახარების კითხვის შემდეგ აღევლინება

სახარების წაკითხვის შემდეგ დიაკვანი მრევლს ლოცვისკენ მოუწოდებს. ლოცულობენ მშვიდად, გულში. თავად მღვდელმსახური საკურთხეველში ლოცულობს,

რომ ღმერთმა ხალხის ლოცვა შეისმინოს, შემდეგ კი ხმამაღლა განადიდებს უფალს და ამ სადიდებელში ხალხსაც აერთიანებს.

მაგრამ სახარების შემდეგ რომელი ლოცვაა განსაკუთრებით შესაფერისი? ლოცვა სახარების დამცველთათვის, სახარებაში მინიშნებული ქრისტეს კაცთმოყვარეობის მიმბაძველთათვის. ვინ არიან სახარების დამცველები? ეკლესიის წინამძღვარნი, ხალხის მწყემსნი, წესრიგის დამცველნი, ვინაიდან ისინი აღთქმას იცავენ, ერთგულად ასრულებენ და ქადაგებენ სახარებაში დაწერილს და მოციქულის მიხედვით მის შემდეგ ქრისტეს ვნების დაკლებას აღასრულებენ (კოლ. 1:24), რადგან მის სამწყსოს მწყემსავენ ისე, როგორც მას ესათნოება. ისინი აგრეთვე წმიდა სახლების აღმშენებლები და მზრუნველები და სათნოებათა მასწავლებლები არიან; და თუკი ვინმე რამენაირად სასარგებლოა ეკლესიის საერთო საქმისთვის, სასულიერო პირებისა და საგნებისთვის, მაშინ, რასაკვირველია, ისინი ამ დასში დგანან და საერთო ლოცვის ღირსნი არიან.

საბოლოოდ, ღვთისმსახური განიზრახავს რა ძღვნისკენ გადანაცვლებას, რასაც მოუნათლავთა (რომელთაც კათაკმევლებსაც ვუწოდებთ, რადგან ქრისტიანობა მხოლოდ მოსმენით მიიღეს, რამდენადაც ეს დარიგებით არის შესაძლებელი) დასწრება არ შეშვენის, ღვთისმსახური ჯერ მათთვის ლოცულობს, შემდეგ კი გამოყოფს მათ მორწმუნე ქრისტიანთაგან. ის ლოცვით ითხოვს, დროულად ნათლობის მიღებით მათ სრულყოფილებას მიაღწიონ. ლოცვის მიზანი - ღვთის დიდებაა: "რათა ესენიცა ჩვენთანავე აღიდებდნენ ყოვლადპატიოსანსა და დიდადშვენიერსა სახელსა შენსა", - ამბობს იგი.

ასამაღლებლის გამოთქმის შემდეგ, რომლის მიერ მორწმუნეთა მთელი დასი მიიღო, იგი სხვა ლოცვას აღასრულებს, რომელშიც თავდაპირველად ღმერთს მადლობს, რადგან მის წინაშე დგომის ღირსი გახდა და მას თავისთვისაც და სხვებისთვისაც ხელეხს აღუპყრობს; შემდეგ სთხოვს, ამის აღსრულება ყოველთვის წმიდა სინდისით შეაძლებინოს. ამ ლოცვის მიზანია - ღვთის დიდება; "რამეთუ შვენის შენდა ყოველი დიდება", - ამბობს იგი. ჩვეულებისამებრ, ხალხთან ერთად ასამაღლებელს რომ აღასრულებს, მღვდელმსახური კვლავ გულში ლოცულობს თავისთვის და ხალხისთვის, რათა წმიდა ტრაპეზთან დაუსჯელად წარდგეს: წარდგეს წმიდად სულისა და ხორცის ყოველგვარი შეგინებისგან, ხოლო მისთანა ერთგულნი მლოცველნი ღირსნი გახდნენ დანაშაულისა და გაკიცხვის გარეშე საიდუმლოს ზიარებისა და ზეციური სასუფევლის ღირსყოფისა. ლოცვის მიზანი კვლავაც - ღვთის დიდებაა, რის მისაღწევადაც პავლემ მოგვიწოდა, ყველაფერი ვიღონოთ, თქვა: "ყოველსავე სადიდებელად ღმრთისა იქმოდეთ" (1 კორ. 10:31). დაე, ჩვენი მარადიული მიზანი ღვთის განდიდება იყოს. მიწათმოქმედები თავიანთი შრომის მიზნად ნაყოფის შეგროვებას მიიჩნევენ, რისთვისაც ხალისიანად შრომობენ; ვაჭრები - მოგებას; სხვანი - სხვა რამეს; ხოლო თქვენ, რასაც არ უნდა აკეთებდეთ, ღვთის დიდება ეძებთ, ვინაიდან ჩვენ მეუფის სწორედ ამ მსახურებისთვის მოწოდებული მონები ვართ; ამ მსახურებისთვის შეგვქმნა მან, ხოლო შემდეგ - გამოგვისყიდა. ამიტომაც ხედავ, რომ ეკლესია ყოველთვის ზრუნავს ღვთის დიდებაზე და ამ სიტყვას მუდამ აცხადებს; ამ დიდებას ყველაფერში ხოტბას ასხამს, ყველგან მას ხედავს და ყველაფერს მისთვის აღასრულებს: ლოცვებსაც, შენდობასაც, საიდუმლოებებსაც, შეგონებასაც - ყოველივე წმიდას.

ეს ასეა.

24. პატიოსანი ძღვნის საკურთხეველში შებრძანება

შემდეგ ღვთისმსახური ხმამალა წარმოთქვამს ასამაღლებელს და მიემართება ძღვნისკენ, მოწიწებით აღმართავს თავამდე და გამოდის. ამგვარად შეაბრძანებს მას საკურთხეველში და საგანგებოდ მშვიდად და აუჩქარებლად მიდის ტაძარში. თავად მორწმუნეები კი გალობენ და სრული თავმდაბლობითა და კრძალულებით მის წინაშე მოიდრიკებიან, ითხოვენ, ძღვნის აღმართვისას მოიხსენიოს ისინი. ხოლო ის მნათეებისა და საცეცხლურის წამძღვარებით მიდის და ამგვარი წესით შედის საკურთხეველში.

ეს საჭიროების გამო აღესრულება, რადგან საჭიროა სამსხვერპლოდ მიძღვნილი ძღვნის საკურთხეველში შებრძანება და დადება. ამასთან, ეს უდიდესი კრძალულებითა და კეთილწესიერებით უნდა შესრულდეს. ასევე მეფენი, როდესაც ღვთისადმი ძღვნის მირთმევას მოისურვებენ, ამ საქმეს სხვებს კი არ ანდობენ, არამედ თვითონ მიაქვთ და შეაქვთ, ადგათ რა თავზე გვირგვინი.

ეს შეიძლება აღნიშნავდეს ქრისტეს უკანასკნელ მოვლინებასაც, რომლითაც განსაკუთრებით აღენთო ებრაელთა სიძულვილი, და მაცხოვრის სამშობლოდან იერუსალიმში შესვლასაც, სადაც მას თავი ძღვნად უნდა მიერთმია, და ხალხის საქებარი შეძახილების თანხლებით მის ქალაქში შესვლასაც (მათ. 21:7-11).

ამ დროს ღვთისმსახურს ფეხქვეშ უნდა გავეგოთ თხოვნით, რათა ლოცვებში მოგვიხსენიოს, რადგან არ არსებობს სხვა ხერხი თხოვნისა, რომელსაც ესოდენ დიადი ძალა ჰქონდეს და იმდენად მტკიცე იმედს გვაძლევდეს, როგორსაც ამ საშინელი მსხვერპლით წარმოდგენილი საშუალება, რომელმაც უწმინდურება და უშჯულოება უანგაროდ განწმინდა.

ხოლო ის, ვინც ფეხქვეშ ეგება ძღვნით გამომავალ ღვთისმსახურს და შემობრძანებულ ძღვენს, როგორც თავად ქრისტეს ხორცსა და სისხლს, ისე ეთაყვანება და მოეკიდება, ის არამართებლურად იქცევა, ურევს რა ამ შებრძანებას პირველშეწირული ძღვნით შებრძანებაში, ვინაიდან არ იცის, რა განსხვავებაა ამ ორ მღვდელმსახურებას შორის. ამ შებრძანების დროს ძღვენი ჯერ არ არის ნაკურთხი და სრულყოფილი, ხოლო იმ მღვდელმსახურებაში სრულყოფილი და კურთხეულია: იგი ქრისტეს ხორცი და სისხლია.

ეს ასეა.

25. იმის შესახებ, რაც ძღვნის შებრძანებისას აღესრულება, ლოცვებისა და მღვდელმსახურის მიერ ხალხის დარიგების შესახებ

მღვდელმსახური ძღვენს ტრაპეზზე დააბრძანებს, ხოლო თავად, რადგან უკვე საიდუმლო მსახურებას უნდა შეუდგეს და საშინელი მსხვერპლის შეხებას განიზრახავს, კეთილ განწყობილებას იქმნის, ლოცვებით იწმინდება და მღვდელმსახურებისთვის ემზადება. და მხოლოდ თვითონ კი არა, მრევლსაც განაწყობს ამ მაღლისთვის ლოცვით, ურთიერთსიყვარულითა და რწმენის აღმსარებლობით. სწორედ ამაში მდგომარეობს უფლისგან მცნებად მოცემული მომზადება, როდესაც გვითხრა: "ამისთვის თქვენცა იყვნით განმზადებულნი" (მათ. 24:44), ვინაიდან აქ რწმენაც არის და საქმეც; რწმენა აღმსარებლობით გამოჩნდება, საქმე - სიყვარულის მეშვეობით, რომელიც ყოველგვარი კეთილი საქმის დასასრული და ყოველგვარი სათნოების გვირგვინია.

მაგრამ ამის შესახებ ოდნავ მოგვიანებით. თავიდან მღვდელმსახური დამსწრე მორწმუნეებს მოუწოდებს, ილოცონ იმისთვის, რაც ამ დროს აუცილებელია: "წინადაგებულთა ძღვენთათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ", - ამბობს იგი. უფლის

მიმართ წინადაგებულისთვის ვილოცოთ, რათა ძღვენი იკურთხოს და დასაწყისში შეთავაზებული დასასრულამდე იქნეს მიყვანილი. ამ ლოცვის შემდეგ იგი სხვა რამესაც გვთავაზობს, რისთვისაც ღვთისადმი ლოცვა გვმართებს და საბოლოოდ მოგვიწოდებს, უფალს საკუთარი თავიც, ერთმანეთიც და მთელი სიცოცხლეც მივუძღვნათ. ღმერთისადმი გულში აღვლენილი ლოცვის დასასრულს კი, ჩვეულებისამებრ, ყველას გასაგონად წარმოთქვამს და აღამაღლებს უფალს და ხალხს ასამაღლებლით მიიახლებს, ურთიერთის მშვიდობისთვის ლოცულობს და ყველას ამისკენ მოუწოდებს. ვინაიდან სიტყვებს "მშვიდობა ყოველთა" ამატებს: "ვიყვარებოდეთ ურთიერთას". ხოლო რადგან ერთმანეთისთვის ლოცვა მოციქულთა მცნებაა (იაკ. 5:16), ამიტომ ხალხი ლოცულობს მისთვის იმავე სიმშვიდის მონიჭებისთვის სიტყვებით: "სულისა შენისათანა". ვინაიდან ერთმანეთის სიყვარულს ღვთის სიყვარული მოსდევს, ხოლო ღვთის სიყვარულს ღვთისადმი სრულყოფილი და ცოცხალი რწმენა ერთვის, ამიტომ სიყვარულისკენ მოწოდების შემდეგ მღვდელმსახური უმაღვე რწმენის აღმსარებლობაზე საუბრობს: "რათა ერთობით აღვიარებდეთ", - და მორწმუნეები წმიდა სამებას მოუხმობენ, რომელიც ღმერთად უნდა ვაღიაროთ.

26. რწმენის აღმსარებლობის შესახებ, იმის შესახებ, ამის შემდეგ რას შეაგონებს მორწმუნეებს ღვთისმსახური, ასევე რის შესახებ ლოცულობს იგი და რას პასუხობენ ისინი

შემდეგ ღვთისმსახური ყველას მოუწოდებს გამოაცხადონ, რა იციან ღმერთის შესახებ და რა სწამთ - გამოაცხადონ ჭეშმარიტი სიბრძნე, რომლის შესახებაც საუბრობს მოციქული: "ხოლო სიბრძნესა ვიტყვით სრულთა მათ მიმართ; ხოლო სიბრძნესა არა ამის სოფლისასა" (1 კორ. 2:6), რომელიც ვერ იცნა სოფელმა, ანუ ამ სოფლის ბრძენებმა, რომელთაც გრძნობისმიერ შეცნობაზე მეტი და უმაღლესი არაფერი იცოდნენ და უკეთესი შეცნობის რაობა საერთოდ არ სწამდათ. მოგვიწოდებს, რომ ამ სიბრძნეს გავუხსნათ ყველა კარი - ჩვენი ბაგეები და ყურები. ბრძანებს: "სიბრძნით მოხედეთ".

შეუწებელივით წარმოთქვით იგი, მოისმინეთ და ეს სიზარმაცით კი არა, გულმოდგინებითა და საკუთარ თავზე დაკვირვებით მოიმოქმედეთ - და ისინი მთელ მრწამსს - რწმენის სიმბოლოს წარმოთქვამენ. შემდეგ მღვდელმსახური ამბობს: "ვსდგეთ კეთილად, ვსდგეთ შიშით". ამის აღმსარებლობისას ნუ შეგვაცბუნებს ერეტიკოსთა ლაქლაქი; ვიდგეთ შიშით, რადგან დიდი საფრთხე ემუქრება მათ, ვინც სულს ამ რწმენასთან დაკავშირებული რაიმე ეჭვით კვებავს. ამრიგად, მტკიცედ ვიდგეთ რწმენაში, - ამბობს იგი, - დაე, ღმერთისადმი ძღვნის შეწირვა გონივრულად აღვასრულოთ. რას ნიშნავს გონივრულად? მშვიდობით, - ამბობს, - წმიდა ამაღლება მშვიდობით შევწიროთ. გახსოვდეთ უფლის სიტყვა: "უკუეთუ შესწირვიდე შესაწირავსა საკურთხეველსა ზედა და მუნ მოგეხსენოს შენ, ვითარმედ ძმაი შენი გულძვირ რაიმე არს შენთვის, დაუტყვე შესაწირავი იგი წინაშე საკურთხეველსა მას, მივედ და დაეგე პირველად ძმასა შენსა, და მაშინ მოვედ და შესწირე შესაწირავი შენი" (მათ. 5:23,24). მორწმუნეები კი პასუხობენ: არა მარტო მშვიდობით, არამედ ძღვნის წილ თავად მშვიდობას და სხვა მსხვერპლს შევწირავთ; მშვიდობას მას შევწირავთ, ვინც თქვა, რომ: "წყალობაი მნებავს და არა მსხვერპლი" (ოს. 6:6). ხოლო წყალობა მტკიცე და წმიდა მშვიდობის ნაყოფია, რადგან როდესაც სულს არავითარი ვნება არ აღამფოთებს, მაშინ მას ხელს არაფერი უშლის, წყალობით აივსოს. და არა მხოლოდ წყალობა, არამედ "მსხვერპლი ქებისა" (ფს. 49:14).

როდესაც ისინი ამას იტყვიან, მღვდელმსახური იმას გამოითხოვს, რაც ყველაზე მეტად ღვთაებრივია და მნიშვნელოვანი: "მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღმრთისა და მამისა და ზიარება სულისა წმიდისა იყავნ თქვენ ყოველთა თანა". ხოლო მორწმუნენი იმავეს მღვდელმსახურისთვის გამოითხოვენ, ერთმანეთისთვის ლოცვით მოწოდების მცნების მიხედვით (იაკ. 5:16), მას პასუხობენ: "სულისა შენისა თანა".

ეს ლოცვა ნეტარი პავლეს წერილიდან არის აღებული (2 კორ. 13:13). ის წმიდა სამებისაგან წყალობას გამოითხოვს ჩვენთვის, "ყოველივე მოცემული კეთილი ზეგარდამო არს გარდამოსულ" (იაკ. 1:17); ხოლო წყალობა თითოეული ნეტარი ჰიპოსტასიდან განსაკუთრებული სახელით სახელდება: ძისაგან - მადლი, მამისაგან - სიყვარული, სულისაგან - ზიარება. ვინაიდან ჩვენ ჩვენი არაფერი მიგვიტანია, არამედ განსჯასაც კი დავუქვემდებარეთ, მე თავად იქცა ჩვენს მხსნელად, "რამეთუ ვიდრე-იგი ცოდვილდა ვიყვნით, ქრისტე ჩუნთვის მოკუდა" (რომ. 5:8), ამიტომ მისგან ჩვენი მოხედვა მადლია. რაკი მამა ძის ვნების მეშვეობით კაცობრიობას შეურიგდა და მტრები შეიყვარა, ამიტომ მისი ჩვენდამი სიკეთე სიყვარულად იწოდება (ეფ. 2:4), ხოლო რადგან მეგობრებად ქცეულ მტრებს შეშვენოდათ ღვთაებრივ სიკეთეთა წყალობის მონაწილედ გახდომა, ამიტომ ამას მოციქულებზე გარდამოსული სულიწმიდა ადასრულებს, ამიტომაც, რომ ხალხზე მისი მადლი ზიარებად იწოდება.

მაგრამ შეიძლება ვინმემ თქვას: ყოველი ეს სიკეთე მაცხოვრის მოსვლით უკვე მოცემული გვაქვს, ამიტომ რაღა საჭიროა, იმაზე ვილოცოთ, რაც უკვე მონიჭებული გვაქვს? პასუხი თვალსაჩინოა - კერძოდ, რადგან ეს მადლი მივიღეთ, არ დავკარგოთ, არამედ ამ მონიჭებული მადლით უკუნისამდე ვისარგებლოთ. ამიტომაც არ თქვა: დაე, ყველა თქვენგანს მოგეცეთ, რადგან უკვე მოცემულია, არამედ: "იყავნ თქვენ ყოველთა თანა". დაე, ნუ განგემორებათ მოცემული მადლი.

ამგვარი ლოცვის ღირსი გახადა რა მორწმუნეები და ამგვარად მათი სულები აღამაღლა რა მიწიდან, მღვდელმსახური მათ გულისწადილს აღამაღლებს და ამბობს: "ზეგვაქვდინ გულნი"; "ზეცისასა ზრახევდით და ნუ ქუეყანისასა" (კოლ. 3:2); ხოლო მორწმუნენი, ეთანხმებიან რა ამას, პასუხობენ, რომ მათი გულები იქ არის, სადაც ჩვენი საუნჯეა, "სადაცა-იგი ქრისტე არს მარჯუენით ღმრთისა მჯდომარე" (კოლ. 3:1) - "გუაქვს უფლისა მიმართ".

27. ძღვნის კურთხევისა და მადლიერების შესახებ, რომელიც მას წინ უძღვის

რაღა რჩება მას, ვინც ამგვარად კარგად და წმიდად არის განწყობილი, თუ არა მადლიერებით მიმართოს ყოველი სიკეთის მომნიჭებელ უფალს? ამრიგად, პირველი მღვდლის მიბაძვით, რომელმაც ზიარების საიდუმლოს შეტყობინებამდე ღმერთსა და მამას მადლობა შესწირა (ლუკ. 22:17), მღვდელმსახური წმიდა ძღვნის კურთხევის აღსასრულებელი ლოცვების წინ ღმერთისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მამის მიმართ მადლობას შესწირავს: "ვმადლობდეთ უფალსა". და როდესაც ყველანი დათანხმდებიან და გალობენ: "ღირს არს და მართალ", - ის ღმერთს მადლობას თავადაც შესწირავს; მას შემდეგ, რაც აღამაღლებს მას, ქებას შეასხამს მასა და მის ანგელოზებს, გამოთქვამს მადლიერებას ყოველი სიკეთისთვის, რომელიც უფალმა დასაბამიდან მოგვანიჭა, დასასრულს კი, გამოთქვამს რა ჩვენდამი მაცხოვრის გამოუთქმელი და

მუდმივი მზრუნველობის შესახებ, ღვთისმსახური პატიოსან ძღვენს აკურთხებს და მთელ მსხვერპლს ადასრულებს. როგორ? აუწყებს იმ საშინელი სერობის შესახებ, ისევე, როგორც მაცხოვარმა ვნების წინ თავის წმიდა მოწაფეებს ასწავლა: როგორ აიღო სასმისი, როგორ მიიღო პური და შესწირა რა მადლიერება, აკურთხა და გამოთქვა ის სიტყვები, რომლითაც აჩვენა, რომ ეს საიდუმლოა. სწორედ ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ მღვდელმსახური მიწამდე იხრება, ლოცულობს და ითხოვს, წინამდებარე ძღვნისთვის უფლის მხოლოდმობილი ძის, ჩვენი მხსნელის, ღვთაებრივ გამონათქვამებს იყენებს, რათა ყოვლადწმიდა და ყოვლისშემძლე ღვთის სული გადმოვიდეს მათზე, გარდასახოს პური თავად ქრისტეს პატიოსან და წმიდა ხორცად, ხოლო ღვინო - მის პატიოსან და წმიდა სისხლად.

ამ სიტყვების შემდეგ მღვდელმსახურება დამთავრებული და დასრულებულია; ძღვენი კურთხეულია, მსხვერპლი განზაფხურებულია, სამყაროს ცოდვებიათვის დაკლული დიადი და წმიდა ტარიგი თვალსაჩინოდ დევს წმიდა ტრაპეზზე. ქრისტეს სხეული პური უკვე აღარ არის მხოლოდ ჭეშმარიტი ძღვნის სახე, იგი არა მხოლოდ რაღაც გამოსახულებაა გამომხსნელი ვნებებისა, როგორც სურათზე, არამედ თავად ჭეშმარიტი ძღვენია, თავად ყოვლადწმიდა მეუფის ხორცია, რომელმაც ჭეშმარიტად მიიღო ყოველი ყვედრება, ცემა, ჭრილობები, ნერწყვა და ნაღველის გემო - ჯვარცმული, ფერდგანგმირული, "რომელმან-იგი წამა პონტოელისა პილატეს ზე კეთილი იგი აღსარებაი" (1ტიმ. 6:13). მსგავსად ამისა, ღვინოც სწორედ განგმირული სხეულიდან გადმოსული სისხლია. ეს ის ხორცი და ის სისხლია, რომელიც სულიწმიდით ერთ, წმიდა ქალწულისგან შობილ, დაფლულ, მესამე დღეს აღდგომილ, ზეცად ამაღლებულ და მამის მარჯვნივ მჯდომარე სხეულთან არის შეერთებული.

28. რის საფუძველზე გვწამს საიდუმლოს უტყუარობა

რა არის ამის სისწორის თავმდეები?

მაცხოვარმა თავად ბრძანა: ეს არის ხორცი ჩემი, ეს არის სისხლი ჩემი; თავად მოუწოდა მოციქულებს, მათი საშუალებით კი მთელ ეკლესიას ამის აღსრულებისკენ. "ამას ჰყოფდით მოსახსენებელად ჩემდა" (ლუკ. 22,19). მაგრამ არ მოგვიწოდებდა ამის აღსრულებას, თუკი არ მოისურვებდა ჩვენთვის ამის აღსასრულებლად ძალების მონიჭებას. რა ძალაა ეს? ეს არის სულიწმიდა - ძალა, რომელმაც ზევიდან აამხედრა მოციქულები, იმის თანახმად, რაც უფალმა გამოუცხადა მათ: "ხოლო თქვენ დასხედით ქალაქსა ამას შინა იერუსალიმსა, ვიდრემდე შეიმოსოთ ძალი მალლით" (ლუკ. 24:49). ეს არის იმ გარდამოსვლის საქმე: რადგან ერთხელ გადმოსულს, მას არ დავუტოვებთ, არამედ ჩვენთან სუფევს და ყოველთვის ჩვენთან დარჩება. სწორედ ამისთვის მოავლინა იგი მაცხოვარმა, დაე, ჩვენთან იყოს უკუნისამდე "სული იგი ჭეშმარიტებისაი, რომელი სოფელსა ვერ ხელ-ეწიფების მოღებად, რამეთუ არა ხედავს მას, არცა იცის იგი, ხოლო თქვენ იცით იგი, რამეთუ თქვენ თანა არს და თქვენ თანა იყოს" (იოან. 14:17). სწორედ ის ადასრულებს მღვდელმსახურის ხელებითა და ბაგეებით საიდუმლოებებს.

უფალმა მხოლოდ სულიწმიდა კი არ მოგვივლინა, არამედ თავადაც აღგვითქვა ჩვენთან საუკუნოდ ყოფნა (მათ. 28:20). მაგრამ ნუგეშინისმცემელი ჩვენთან უხილავად იმყოფება, რადგან სხეულს არ დაატარებს; ხოლო უფალი განიჭვრიტება კიდევ და წმიდა და საშინელ საიდუმლოებებში თავის დანახვის ნებასაც გვაძლევს, რადგან ჩვენი ბუნება მიიღო და უკუნისამდე ატარებს.

ამგვარია განმწმენდელი ძალა, ამგვარია მღვდელი: ერთხელ მიძღვნილს და მსხვერპლად შეწირულს, კურთხევა არ შეუწყვეტია, არამედ ის ჩვენთვის ამ მსახურებას უწყვეტად აღასრულებს და ამიტომ ღმერთის წინაშე მუდმივ შუამდგომლად რჩება, რის გამოც ნათქვამია: "შენ ხარ მღვდელ უკუნისამდე წესსა მას ზედა მელქისედეკისა" (ფს. 109:4).

ამიტომაც მორწმუნეებს ძღვნის კურთხევასა და სხვა საიდუმლოებების მიმართ ეჭვი არ აქვთ, თუმცა ისინი მღვდელმსახურის მხრიდან მიძღვნითა და ლოცვებით აღესრულება.

კმარა ამის შესახებ.

29. იმის თაობაზე, თუ რას გვყვედრიან ლათინები და ჩვენი პასუხი მათ საყვედურზე

ამის გამო ზოგიერთი ლათინი გვკიცხავს. ისინი ამბობენ, რომ უფლის სიტყვების ("მიიღეთ და სჭამეთ" და ა.შ.) შემდეგ აღარ არის საჭირო კიდევ რაიმე ლოცვა, რადგან ისინი უკვე აღსრულებულია უფლის სიტყვებით. ამიტომაც, ვინც ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ძღვენს პურსა და ღვინოს უწოდებს და მათი კურთხევისთვის ისე აგრძელებს ლოცვას, თითქოს ისინი ნაკურთხი არ იყოს, გარდა იმისა, რომ ურწმუნოებით იტანჯება, ამაო და ზედმეტ საქმეს აკეთებსო, - ამბობენ ისინი. ხოლო იმის შესახებ, რომ ძღვენი სწორედ ამ სიტყვებით იკურთხება, ნეტარი ოქროპირის ნათქვამს იმოწმებენ და ამბობენ: როგორც შემოქმედებითი სიტყვა: "ინაყოფიერეთ და იმრავლეთ" (დაბ. 1:28) ღმერთის მიერ ერთხელ გამოითქვა და მუდამ მოქმედებს, ასევე მაცხოვრისაგან ერთხელ გამოთქმული ეს სიტყვები ყოველ დროში მოქმედებს. ამრიგად, უფრო მეტად საკუთარ ლოცვებზე, ვიდრე ღვთის სიტყვაზე დაყრდნობილები, ჯერ ერთი, მას სისუსტეში განსჯიან; მეორე - როგორც ჩანს, საკუთარ თავს უფრო ენდობიან; ხოლო მესამე ის არის, რომ ისეთ საქმეს, როგორც საიდუმლოა, საეჭვო საქმეზე, ადამიანურ ლოცვებზე დამოკიდებულს ხდიან, მაშინ როდესაც იგი უეჭველად უნდა ვირწმუნოთ, საეჭვოს ხდიან. ამ შემთხვევაში, მლოცველს ყურადღება არ უნდა მიექცეს, თუნდაც იგი თავისი სიკეთეებით პავლეს მსგავსი იყოს.

მაგრამ ამ ყოველივეს გადაწყვეტა რთული არ არის.

პირველ რიგში, ღვთაებრივი იოანეს იმ სიტყვებით უნდა დავიწყოთ, რომელზედაც ლათინელები ეფუძნებიან: დავუშვათ, რომ ამ სიტყვას შემოქმედებითი ძალა აქვს, მაგრამ ჩავუკვირდეთ მას.

ღმერთის სიტყვა: "ინაყოფიერეთ და იმრავლეთ". რა არის ეს? განა ამ სიტყვის შემდეგ სხვა აღარაფერში გვჭირდება გამრავლებისთვის? თუ ისევ გვჭირდება ქორწინება, მეუღლეობა და სხვა საზრუნავები, რომელთა გარეშეც კაცობრიობა ვერ იარსებებს და ვერ გამრავლდება? აქედან გამომდინარე, ისევე როგორც შვილიერებისთვის მივიჩნევთ აუცილებლად ქორწინებას და შემდეგ თავად ქორწინებისთვის კვლავ ვლოცულობთ და ამით არ ვფიქრობთ შემოქმედის სიტყვის დაკნინებას, ვიცით რა, რომ, რასაკვირველია, იგი შობის მიზეზია, თუმცაღა ქორწინების, საზრდელისა და სხვა მრავალის საშუალებით, ასევეა აქაც: ჩვენ გვწამს, რომ საიდუმლოს თავად უფლის სიტყვა აღასრულებს, მაგრამ სწორედ მღვდელმსახურის მეშვეობით, მისი წარმომადგენლობით და ლოცვით; რადგან იგი არა უბრალოდ ყველაფრით და რაღაცნაირად მოქმედებს, არამედ მრავალი მოითხოვება, რის გარეშეც ის ვერ გასწევს თავის მოქმედებას. ვინ არ

იცის, რომ ქრისტეს სიკვდილი სამყაროში ცოდვათა შენდობის ერთადერთი საშუალებაა? მაგრამ ვიცით ისიც, რომ მისი სიკვდილის შემდეგ საჭიროა რწმენაც, სინანულიც, აღსარებაც, მღვდელმსახურთა ლოცვებიც; და ადამიანი ვერ შეძლებს ცოდვათაგან თავის დაღწევას, თუკი ამას თითოეული ეს მოქმედება არ წარემდგარება. მაშინ რა? ვაკნინებთ იმ სიკვდილს და სუსტად მივიჩნევთ მას, როდესაც ვფიქრობთ, მის მიერ აღსრულებული არ იკმარებს, თუ არ მივუძღვით იმას, რაც ჩვენი მხრიდანაა საჭირო? - არა.

ესე იგი, უმართებულოა იმათი განსჯაც, ვინც ძღვნის კურთხევისთვის ლოცულობს. ამასთან, ლოცვას მინდობილნი საკუთარ თავს კი არ ენდობიან, არამედ ღმერთს, რომელმაც ლოცვისას წყალობის მიღება აღგვითქვა; ამას თავად ლოცვის მნიშვნელობა მიგვანიშნებს; ვინაიდან ლოცვის აღმსრულებელნი ლოცვისას იმას გამოხატავენ, რომ ისინი თხოვნილის მიღებას დამოუკიდებლად არ მოელიან, არამედ სწამთ, რომ ამას მხოლოდ ღმერთისგან იღებენ. ამგვარია მლოცველის გოდება, როდესაც, ტოვებს რა საკუთარ თავს, ღვთისკენ მიიჩქარის, რადგან არ აღიარებს რა ძალას საკუთარ თავში, ყოველივეს მხოლოდ მას მიანდობს. ეს ჩემი საქმე არ არის, არც ძალმიძს, - ამბობს იგი, - მხოლოდ შენ შეგიძლია, ყოველივეს შენ მიგანდობ, - განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ზებუნებრივ და ყოველივეზე აღმატებულ ისეთ საგნებზე ვლოცულობთ, როგორც საიდუმლოებებია. ამ დროს მლოცველისთვის ყოვლად აუცილებელია მხოლოდ ღმერთზე მინდობა, რადგან ადამიანს, რომელიც ღვთისგან არ არის დარიგებული, ამაზე ფიქრის უნარიც კი არ აქვს, მისი შთაგონების გარეშე ამას ვერც კი მოისურვებს, პირობის მომცემის უტყუარობის იმედის გარეშე ვერ ექნება მიღების მოლოდინი.

ასე რომ, ვერავინ გაბედავდა ამგვარ საგნებზე ლოცვას, თუკი თავად ღმერთი უეჭველად არ გვაჩვენებდა, რომ მისთვის სათნოა, როდესაც ამისთვის ლოცულობენ და რომ იგი მზადაა მთხოვნელებს მისცეს წყალობა. ამიტომაც აქ ლოცვა უტყუარია, მიზანი კი თვალსაჩინო, რადგან თავად მწყალობელმა უფალმა ყოველნაირად აჩვენა, რომ მას წყალობა ნებავს.

ამიტომაც გვწამს საიდუმლოს კურთხევა მღვდელმსახურის ლოცვით, ვეყრდნობით რა მას არა როგორც რაიმე ადამიანურ ლოცვას, არამედ როგორც ღვთის ძალას, და არა იმიტომ, რომ ადამიანი ლოცულობს, არამედ იმიტომ, რომ ღმერთი ისმენს; ასევე არა იმიტომ, რომ მას ევედრებიან, არამედ იმიტომ, რომ ჭეშმარიტებამ ლოცვისთვის წყალობა აღგვითქვა.

ხოლო ის, რომ ქრისტემ გვიჩვენა, იგი ამ მაღლის მოსაცემად ყოველთვის მზადაა, - სალაპარაკო არ არის. ამისთვის მოვიდა იგი დედამიწაზე, თავი მსხვერპლად შესწირა და მოკვდა; იმისთვისაა საკურთხეველები და მღვდელმსახურები, ყოველგვარი კურთხევა, ყველა მცნება და შეგონება, რათა ეს ტრაპეზი შემოგვეთავაზოს; ამიტომ ამბობს იგი, რომ ეს პასეჟი მოისურვა (ლუკ. 22:15), რომ მაშინ მოწაფეებისთვის ჭეშმარიტი პასეჟის სწავლება განიზრახა; ამიტომ მოუწოდა ამის აღსრულება თავის მოსახსენებლად (ლუკ. 22:19), რადგან სურდა, ჩვენ ყოველთვის აღგვესრულებინა მღვდელმსახურება.

კიდევ რა ეჭვი შეიძლება ჰქონდეს მლოცველს თხოვნასთან დაკავშირებით, თუკი ისინი, ერთი მხრივ, იმის მიღებას იმედოვნებენ, რისთვისაც ევედრებიან და თუკი, სხვა მხრივ, მოცემის შემძლებელს მოცემა სურს?

ამრიგად, ძღვნის ლოცვით კურთხევისას მორწმუნეები არც მაცხოვრის სიტყვას აკნინებენ და საკუთარ თავს ეყრდნობიან და არც საეჭვო საქმეზე - ადამიანურ ლოცვაზე ხდიან დამოკიდებულს წმინდა საიდუმლოს - როგორც ამაოდ გვეყვდრიან ლათინები.

ასევე ყოვლანაწმიდა მირონიც, რომელიც, ნეტარი დიონისეს სიტყვებით, ღვთაებრივი ზიარების ერთხარისხოვრივია, ლოცვით აღესრულება და იკურთხება;

ღვთისმოსავეებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ მას აღმასრულებელი და მაკურთხეველი ძალა აქვს.

ამგვარადვე მღვდელმსახურისა და მღვდელმთავრის ხელდასხმა ლოცვით აღესრულება, რადგან ითქმება: ვილოცოთ მისთვის, დაე, გარდამოვიდეს მასზე მაღლი ყოვლადწმიდისა სულისა, - მოუწოდებს ხელდამსხმელი ამგვარად სასულიერო დასს ხელდასხმისას. ასევე ლათინურ ეკლესიაში მღვდლად ხელდასხმა ისე აღესრულება, რომ ხელდასხმულის თავზე მირონის ცხებისას საიდუმლოს აღმსრულებელი ლოცულობს მასზე სულიწმიდის მაღლის უხვად გარდამოსვლას.

ზუსტად ასევე მონაწილეს ცოდვათა შენდობა მღვდელმსახურებრივი ლოცვით მიენიჭება.

დაბოლოს, ამგვარადვე მღვდელმსახურის ლოცვით აღესრულება ზეთის კურთხევის საიდუმლოც, რომელიც მის მიმღებს როგორც სხეულებრივი სნეულებისგან კურნებას, ასევე ცოდვათა შენდობას ანიჭებს, რასაც სამოციქულო გადმოცემა ამცნობს: "უძლურ თუ ვინმე არს თქუენ შორის, მოუწოდენ ხუცესთა ეკლესიისათა, და ილოცონ მის ზედა და სცხონ მას ზეთი სახელითა უფლისაითა. და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი, და აღადგინოს იგი უფალმან; დაღაცათუ ცოდვაი რაიმე ექმნეს, მო-ვე-ეტეოს მას" (იაკ. 5:14-15).

რას გვიპასუხებენ ამაზე ისინი, ვინც არ იწონებს საიდუმლოებებისას ლოცვებს? თუკი, როგორც ისინი ამბობენ, არ ჩანს, რას აღასრულებენ ლოცვები, თანაბრად ამისა არ ჩანს, არის თუ არა მღვდელმსახური იგი, ვინც ამ სახელით იწოდება, არ ჩანს, შეუძლია კი მას მირონის კურთხევა; და ამრიგად, შეუძლებელია წმიდა ზიარების საიდუმლოს აღსრულება, რადგან ამ შემთხვევაში მართლაც არ არის არც მღვდელმსახური, არც საკურთხეველი, და ვინაიდან ისინი თავადაც არ იტყვიან, რომ უფლის სიტყვას, პიროვნებისა და საკურთხევისგან დამოუკიდებლად, აღმასრულებელი ძალა აქვს.

მაგრამ საკურთხეველი, სადაც პური უნდა დაიდოს, მირონით იკურთხება, მირონი კი ლოცვით.

ზუსტად ასევე: ვინ გვაძლევს უეჭველ ცოდვათა შენდობას, თუკი მღვდელმსახურებიც და მათი ლოცვებიც საეჭვოა?

ამის შემდეგ ამ სიახლეების შემომტანთა მიმდევრებს სხვა არაფერი რჩებათ, თუ არა ქრისტიანობის მთლიანად განადგურება. ნათელია, რომ საეჭვო მოქმედება უმაღლ მათია, ვინც ამგვარად ფიქრობს და საშიშია იმათი საქმე, რომელნიც იგონებენ გაუცხოებულს მამათა გადმოცემებისგან, რომელთაც უეჭველობის თავდებობა აქვთ.

ღმერთი რომ მისადმი აღვლენილ ლოცვებს ისმენს, მთხოვნელს სულიწმიდას აძლევს და მათ, ვინც მას რწმენით მიმართავს, ყველაფრის შესაძლებლობას ანიჭებს, ამის შესახებ თავად ღმერთმა განაცხადა და შეუძლებელია ეს ჭეშმარიტება არ იყოს. მაგრამ ის, რომ მხოლოდ რაიმე სიტყვების გადმომცემზე მსგავსი რამ აღესრულოს, არსად თქმულა.

ამასთან, საიდუმლოთა ლოცვით აღსრულება მამებმა გადმოგვცეს, მიიღეს რა მოციქულებისა და მათი მოწაფეებისგან სხვა ყველაფერიც, - როგორც ვთქვი, - და წმიდა ევქარისტია; გადმოგვცეს მრავალთა შემდეგ ბასილი დიდმაც, იოანე ოქროპირმაც - ეკლესიის დიდმა მოძღვრებმა; ისინი, ვინც მათ ეწინააღმდეგება, მათ, ვისაც მართლმორწმუნედ ყოფნა სურს, პასუხის ღირსად არც უნდა ჩააგდონ.

ძღვნის კურთხევისთვის თითქოს თხრობის სახით გამოთქმული საიდუმლოს შესახებ უფლის სიტყვა რომ კმარა, ამის შესახებ არც მოციქულთაგან ან მოძღვართაგან ვინმეს ნათქვამი არ ჩანს. რომ უფლისგან ერთხელ გამოთქმული - სწორედ იმიტომ, რომ მის მიერ ითქვა - როგორც შემოქმედებითი სიტყვა, ყოველთვის მოქმედებს, ამის შესახებ ნეტარი იოანე ამბობს; მაგრამ მას, რასაც ამაჟამად მღვდელმსახური წარმოთქვამს, ძალა

აქვს, რადგან მის მიერ წარმოითქმება, ამას ვერსაიდან ვერ დავინახავთ, რადგან ის შემოქმედებითი სიტყვა იმიტომ კი არ მოქმედებს, რომ გარკვეულ შემთხვევებში რომელიმე ადამიანი წარმოთქვამს, არამედ იმიტომ, რომ ერთხელ უფალმა გამოთქვა.

30. იმის შესახებ, რომ ლათინურ ეკლესიაში ევქარისტის საიდუმლო იმავენაირად აღესრულება

ხოლო ბაგეებს მათ სრულიად შეუკრავს ის, რომ ლათინურ ეკლესიაშიც, რომელსაც ისინი, როგორც ჩანს, ეყრდნობიან, უფლის სიტყვის შემდეგ არ უარობენ ძღვნისადმი ლოცვის აღვლენას. ამას იმიტომ იგიწყებენ, რომ უფლის სიტყვის შემდეგ უმაღლე არ ლოცულობენ და კურთხევასა და უფლის ხორცის გარდასახვას მკაფიოდ არ ითხოვენ, არამედ ამასთან დაკავშირებულ სხვა სახელწოდებებს იყენებენ, თუმცა მათ იგივე ძალა აქვთ.

რომელია ეს ლოცვა? "უბრძანე ამაღლება ამ ძღვენს ანგელოზის ხელით შენს ციურ საკურთხეველში".

დაე, მათ გვითხრან, რას ნიშნავს "ამაღლება ამ ძღვენს".

ისინი ან მიწიდან და უმდაბლესი ადგილიდან ზეცამდე ადგილობრივ მიძღვნაზე, ანაც რაიმე განსაკუთრებულ მიძღვნაზე ლოცულობენ - უმდაბლესი მდგომარეობიდან უმაღლესამდე.

მაგრამ აქ თუ პირველი იგულისხმება, მაშინ ჩვენთვის რა სასარგებლოა ჩვენგან სიწმიდის წაღებისთვის ლოცვა, როდესაც ვლოცულობთ და გვწამს, რომ სიწმიდე ჩვენთან არის და სუფევს, და როდესაც ეს იმას ნიშნავს, რომ ქრისტე ჩვენთან არის უკუნითი უკუნისამდე (მათ. 28:20)? მათ არ სჯერათ, რომ თუკი ამას ქრისტეს სხეულად მივიჩნევთ, ის ჩვენთანაცაა და ზეცაშიც, მამის მარჯვნივაც ზის (მაგრამ რაგვარად - მხოლოდ თავად უწყის). როგორ იქნებოდა ის ზეციური, თუკი არ იქნებოდა თავად ქრისტეს ზეციური სხეული? როგორ შეიძლებოდა მისი ანგელოზის ხელით ამაღლება, როდესაც ის ყოველ საწყისზე, ძალაუფლებაზე, ძალაზე, ყოველ სახელზე, ზეცაში სახელდებულზე მაღლა დგას (ეფ. 1:21)?

ხოლო თუკი ისინი განსაკუთრებული გარდასახვისთვის ლოცულობენ - რაღაც უკეთესში, მაშინ არ ვიცი, რამდენად დიდია მათი უწმიდურობის ტვირთი, როდესაც აღიარებენ, რომ ეს - თავად სხეულია იესო ქრისტესი, ფიქრობენ, რომ ის უფრო უკეთეს და უფრო წმიდა მდგომარეობაში მოვა.

აქედან ნათლად ჩანს, რომ ისინი ჯერ კიდევ არ მიიჩნევენ პურსა და ღვინოს კურთხეულად და იმიტომ ლოცულობენ მათთვის, რადგან ისინი ჯერ კიდევ საჭიროებენ ლოცვებს - მათი ამაღლებისთვის ლოცულობენ, რადგან პური და ღვინო ჯერ კიდევ დაბლა დევს, არ არის ნაკურთხი ზეციურ საკურთხეველში, რათა იქ დადებული იქცეს მსხვერპლად: ვინაიდან ანგელოზის ხელს საჭიროებენ, რადგან ადამიანთა უმდაბლესი იერარქია, დიდი დიონისეს სიტყვებით, ანგელოზთა უმაღლესი იერარქიისგან იღებს შეწყვენას.

ამრიგად, ეს ლოცვა ძღვენთან მიმართებით ახდენს იმას, რომ უფლის ხორცად და სისხლად აქცევს მას, რადგან იმ საკურთხეველის სახელდებით რაიმე გამოცალკევებული ზეციური ადგილი არ უნდა ვიგულისხმოთ, რომელზეც გვმართებს მსხვერპლის შეწირვა. სხვანაირად ჩვენ ბევრად არ ვიქნებოდით განსხვავებულნი მათგან, ვინც ამბობს, რომ იერუსალიმში ან სამარიის მთაზეა ის ადგილი, სადაც ღმერთის თაყვანისცემა გვმართებს

(იოან. 4:20). როგორც ნეტარი პავლე ამბობს, "რამეთუ ერთ არს ღმერთი და ერთ არს შუამდგომელ ღმრთისა და კაცთა, კაცი იესუ ქრისტე" (1 ტიმ. 2:5). ამიტომ ყოველივე, რასაც შუამავლის ძალა აქვს და კურთხევას გვანიჭებს, მხოლოდ და მხოლოდ მაცხოვრისგან მომდინარეობს. მაგრამ როგორ შეითვისება ჩვენთვის შუამავლობა და რას აქვს განწმენდის ძალა? მღვდელმსახურს, საკურთხეს, საკურთხეველს. ანუ, უფლის სიტყვის მიხედვით, შეწირულ მსხვერპლს საკურთხეველი განწმენდს: "საკურთხეველი, რომელი განსწმედს შესაწირავსა მას?" (მათ. 23:19), - ამბობს იგი.

ამრიგად, თუკი განწმენდი მხოლოდ ის არის, მაშინ მღვდელმსახურიც, განსაწმენდელიც და საკურთხეველიც არსობრივად ერთია.

მღვდელმსახური და განსაწმენდელი არსობრივად ერთი რომ არის, ამის შესახებ მაცხოვარმა თავად გვამცნო: "მათთვის წმიდა-ვჰყოფ თავსა ჩემსა" (იოან. 17:19).

რაც შეეხება საკურთხეველს, ამის შესახებ წმიდა დიონისე სამყაროს შესახებ თავში მოწმობს: "თუკი ჩვენი ღვთაებრივი საკურთხეველი, ღვთაებრივ გონებათა განწმენდელი, იესოა, მაშინ მის შესახებ ნათქვამია, რომ მის მიერ გვაქვს მიახლება მამისა მიმართ (ეფ. 2:18), ამიტომ დაკვირვებული თვალთ ვუცქიროთ იმ ღვთაებრივ საკურთხეველს". სწორედ ამ ზეციურ საკურთხეველში ძღვნის ამაღლებამდე ლოცულობს მღვდელმსახური, კერძოდ კურთხევისთვის ლოცულობს, გარდაისახოს თავად უფლის ზეციურ სხეულად, და არა მისთვის სხვა ადგილის მიცემისთვის და მიწიდან ზეცაში გადატანისთვის, იმიტომ რომ ლოცვის შემდეგაც ვხედავთ ძღვენს ჩვენ წინაშე.

თუკი საკურთხეველი მასზე დადებულ ძღვენს აკურთხებს, მაშინ ერთი და იგივეა - ძღვნის კურთხევისთვის ვილოცებთ თუ მის საკურთხეველში დადებისთვის.

რა არის ის კურთხევა, რომლითაც საკურთხეველი მასში დადებულ ძღვენს აკურთხებს? ეს ის კურთხევაა, რომლითაც თვით ერთიანმა იერარქმა იკურთხა თავი, მიუძღვნა რა თავი ღმერთს და შესწირა, რადგან იგი თავადაა იერარქიც, საკურთხეველიც, მსხვერპლიც. ყოველი გამონათქვამი ერთს ნიშნავს: იყო ამ იერარქის მიერ კურთხეული, ან გარდაისახო იმ საკურთხად, ან ამაღლდე იმ ზეციურ საკურთხეველში. ამიტომაც, თუკი შენ ამ სამთაგან რომელიმეს ითხოვ, ესე იგი ითხოვ ყველაფერს; და შენ მოითხოვე, შესწირე მსხვერპლი.

ამრიგად, თქვენი მღვდელმსახურები, ჭვრეტენ რა ქრისტეს როგორც კურთხეულს, მასზე ძღვნის დადებისთვის ლოცულობენ - ზუსტად იმავეზე, მხოლოდ სხვა გამონათქვამებითა და სიტყვებით. ამიტომაც ჩვენი მღვდელმსახურნი, მიძღვნილი ძღვნის ღვთაებრივ ხორცად და სისხლად გადაქცევისთვის მლოცველნი და ზეციური საკურთხეველის გამსხენებელნი, მასში ძღვნის აღმართვისთვის აღარ ლოცულობენ, არამედ რადგან ძღვენი ამაღლებული და მიღებულია, სულიწმიდის მადლისა და წყალობის გადმოსვლისთვის ევედრებიან. ამბობენ - ვილოცოთ კურთხეული ძღვნისთვის. იმისთვის, რომ იკურთხოს ისინი? არა, ისინი უკვე ნაკურთხია; არამედ იმისთვის, რომ მათით ჩვენ ვეკურთხოთ, რათა უფალმა მათი კურთხევით ჩვენც გვაკურთხოს მათ მიერ.

ამრიგად, ნათელია, რომ არც ლათინური ეკლესია უგულუბელყოფს უფლის სიტყვის შემდეგ ძღვნისთვის ლოცვას, არამედ ამგვარად მხოლოდ ზოგიერთები, მცირედნი და გვიანდელნი იქცევიან, რომლებმაც სხვა შემთხვევებშიც შებღალეს იგი, მხოლოდ იმისკენ სწრაფვით, რომ რაიმე ახალი ეთქვათ და მოესმინათ.

ეს - ლოცვის შესახებ.

31. რატომ მოუხმობს მღვდელმსახური ძღვნის კურთხევისთვის მამას და არა ძეს

რატომ არ მოუხმობს მღვდელმსახური ძღვნის კურთხევისთვის ძეს, მაშინ როდესაც ის, როგორც ითქვა, მღვდელმსახურიცაა და მაკურთხეველიც, არამედ მამას?

რათა იცოდეთ, რომ მაცხოვარი აკურთხებს არა როგორც ადამიანი, არამედ როგორც ღმერთი, თავისი ღვთაებრივი ძალმოსილებით, რომელიც მას საერთო აქვს მამასთან.

უფალმა, როდესაც ამის ჩვენება სურდა საიდუმლოს აღსრულების შემდეგ, ზეცად აიხედა და პური მამას აჩვენა. ამავე მიზეზით თავი მან ზოგიერთი სასწაულის აღსრულების დროსაც მსგავსადვე გამოავლინა - იღებდა ღვთისადმი მლოცველის სახეს (იოან. 11:41), რათა ეჩვენებინა, რომ ეს საქმე არ არის ადამიანური ბუნებისა, რომლის მიხედვითაც მას დედა ჰყავდა დედამიწაზე, არამედ მისი ღვთაებრიობისა, რომლის მიხედვითაც მამად ღმერთი ჰყავს. ხოლო როდესაც ჯვარზე ასვლა განიზრახა, სურდა რა თავისი ორი ნების ჩვენება - ღვთაებრივისა და ადამიანურის, თავისი ღვთაებრივი ნება მამას გადასცა, ხოლო თავისი ადამიანური ბუნების ნებას თავისი სურვილი უწოდა: "ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ" (მათ. 26:39) და "ხოლო ნუ ნებაი ჩემი, არამედ ნებაი შენი იყავნ" (ლუკ. 22:42). მას რომ იმავე ნებით სურდა, რომლითაც მამის ნებას ასრულებდა, ეს იმავე სიტყვებიდან ჩანს, სადაც ის თავის სურვილს მამის სურვილისგან განასხვავებს, ვინაიდან გამოთქმა, - "ხოლო ნუ ნებაი ჩემი, არამედ ნებაი შენი იყავნ", - თანმხმობელისა და იმავეს მსურველისთვისაა დამახასიათებელი. იგივე გვაჩვენა მაცხოვარმა პეტრეს გაკიცხვით, რომელიც ევედრებოდა, ჯვარსა და სიკვდილზე არ წასულიყო (მათ. 16:22-23); ასევე მაშინ, როდესაც ამბობდა: "გულისსიტყვით გული მითქუმიდა პასექსა ამას ჭამად თქუენ თანა ვიდრე ვნებადვე ჩემდა" (ლუკ. 22:15). მსურდა, - თქვა, - პასექი ტანჯვამდე; თითქოს ამგვარად თქვა: სურვილით მოვისურვე, ჩემი ტანჯვისთვის მზადება მენახა.

ამ თემაზე საკმარისია.

32. თავად მსხვერპლისა და იმის შესახებ, რაზეც მსხვერპლშეწირვა აღესრულება

საკუთრივ მსხვერპლის შესახებ შემდეგი უნდა გავითვალისწინოთ:

ვინაიდან მსხვერპლი არის არა მსხვერპლისა და სისხლის სახე, არამედ ჭეშმარიტად დაკვლა და მსხვერპლი, ამიტომ ის გამოვიკვლიოთ, რა მიერთმევა მსხვერპლად - პური თუ უფლის სხეული. ანუ როდის იქცევა ძღვენი მსხვერპლად: კურთხევამდე თუ კურთხევის შემდეგ?

თუ მსხვერპლად პურს ვწირავთ, მაშინ, ერთი მხრივ, როგორ შეიძლება პური მსხვერპლი იყოს? ხოლო, მეორე მხრივ, საიდუმლო ის კი არ არის, რომ დაკვლილი პური ვიხილოთ, არამედ - ვიხილოთ ტარიგი, თავისი დაკვლით სამყაროს ცოდვათა მტკირთველი (იოან. 1:29).

თუკი ვიტყვით, რომ მსხვერპლად უფლის წმიდა სხეული შეიწირება, ეს მით უმეტეს შეუძლებელია, რადგან, როგორც უკვე განუყოფელი და უკვდავი, იგი დაკვლას და მოწყვლას ვერ დაექვემდებარება. შესაძლებელიც რომ ყოფილიყო მსგავსი რამის მოხდენა, ამ შემთხვევაში ჯვარმცემლებიც უნდა ყოფილიყვნენ და სხვა ყველაფერიც უნდა დართვოდა, რათა ის მსხვერპლი აღსრულებულიყო, რადგან იგულისხმება, რომ ეს დაკვლის განსახიერება კი არა, ჭეშმარიტი დაკვლაა.

შემდეგ, როგორ ხდება, რომ ქრისტე ერთხელ მოკვდა და აღდგომის შემდეგ უკვე აღარ კვდება (რომ. 6:9), ერთხელ ევნო საუკუნეთა აღსრულებისას და, როგორც ნათქვამია, "ერთგზის შეიწირა მრავალთათვის ახოცად ცოდვათა" (ებრ. 9:28)? გამოდის, როდესაც ის საიდუმლოთა აღსრულებისას მსხვერპლად შეიწირება, ყოველ ჯერზე კვდება?

რა ვთქვათ ამაზე?

მსხვერპლი აღესრულება არც პურის კურთხევამდე, არც მისი კურთხევის შემდეგ, არამედ თავად კურთხევით, ვინაიდან აუცილებელია სრულად დავიცვათ მოძღვრება მსხვერპლის შესახებ და არაფერი გამოგვრჩეს.

რომელ მოძღვრებას ვგულისხმობ?

იმას, რომ ეს მსხვერპლი მსხვერპლის ხატი და სახეობა კი არ არის, არამედ ჭეშმარიტი მსხვერპლია, რომ პური კი არ შეიწირება მსხვერპლად, არამედ თავად ქრისტეს სხეული, ამასთან, ის, რომ ღვთის ტარიგის მსხვერპლი მხოლოდ ერთია და ერთხელ აღსრულდა.

უპირველეს ყოვლისა განვიხილოთ მღვდელმსახურება.

ჭეშმარიტია ეს მსხვერპლშეწირვა თუ მხოლოდ მისი მსგავსებაა? როგორც ცხვრის მსხვერპლშეწირვისას სრულიად დაუკვლელიდან დაკლულად გარდაიქცევა, ასევე ხდება აქაც - უმსხვერპლო პური მსხვერპლად გარდაიქცევა, რადგან დაუკვლელი პური ჭეშმარიტად დაკლული მაცხოვრის ხორცად გარდაიქცევა. აქედან გამომდინარე, როგორც ცვლილება ცხვრისგან ჭეშმარიტ მსხვერპლს ქმნის, ასევეა აქაც, ამ გარდაქმნით ჭეშმარიტი მსხვერპლი აღესრულება, რადგან პური დაკვლის სახით კი არ გარდაიქმნება, არამედ თავად დაკვლით, თავად მსხვერპლად შეწირულ უფლის სხეულად.

მაგრამ თუკი მსხვერპლად პურს შევწირავდით როგორც პურს, მაშინ დაკვლას პური დაექვემდებარებოდა და დაკვლით მსხვერპლად შეიწირებოდა.

ვინაიდან ორივე მიმართებით მოხდა მასში ცვლილება: არა მსხვერპლიდან მსხვერპლად იქცა, ხოლო პურიდან - ქრისტეს ხორცად, ამიტომ ეს დაკვლა პურში კი არ განიჭვრიტება, არამედ თითქოს ქრისტეს წინადაგებულ ხორცში, არის და იწოდება არა პურის, არამედ ღვთის ტარიგის მსხვერპლად შეწირვად.

ცხადია, თუკი ამას წარმოვიდგენთ, მაშინ არავითარი საჭიროება არ იქნება ვიფიქროთ, რომ უფლის სხეულის შეწირვა ბევრჯერ ხდება: რადგან ეს მსხვერპლი იმ დროს ტარიგის დაკვლით კი არ აღესრულება, არამედ დაკლულ ტარიგად პურის გარდაქმნით. ნათელია, რომ ამ დროს გარდაქმნა აღესრულება, და არა დაკვლა, ხოლო ამგვარად გარდაქმნილი მრავალგზისია და გარდაქმნაც ხშირად აღესრულება, ხოლო იმას, რადაც გარდაიქმნება შეწირული, არაფერი უშლის ხელს, ერთი და იგივე იყოს; როგორც სხეულია - ერთი, ასევე სხეულის დაკვლაც - ერთია.

ამის შესახებ მოგახსენეთ.

33. მსხვერპლშეწირვის შემდეგი ლოცვებისა და იმის შესახებ, თუ რა მიზეზით მოიხსენიებიან აქ წმიდანები, განსაკუთრებით კი ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი

მსხვერპლის შეწირვის შემდეგ მღვდელმსახური ხედავს რა ღმერთის კაცთმოყვარეობის წინადაგებულ საწინდარს - მის ტარიგს, აღიქვამს მას როგორც შუამავალს და ჰყავს რა ნუგეშინისმცემელი, გამოხატავს ღმერთისადმი თავის ძღვენს; ლოცვებს უკვე კეთილი და მტკიცე იმედით გამოთქვამს და ლოცულობს, რომ პურის შეთავაზებისას მოხსენიებულთათვის აღვლენილი ლოცვები, და მათთვისაც, ვინც

მღვდელთან ერთად ძღვენს სწირავდა და ძღვნის მიღებას ევედრებოდა უფალს, მიღებულ იქნეს და საქმით აღსრულდეს.

რომელი ლოცვები?

საერთო ცოცხალთათვის და მიცვალებულთათვის, რათა მიღებული ძღვნის წილ ღმერთს თავისი მადლი მოეცა, კერძოდ მიცვალებულთათვის - სულის განსვენება და განდიდებულ წმიდანებთან ერთად სასუფევლის დამკვიდრება, ხოლო ცოცხალთათვის - წმიდა ტრაპეზის ზიარება, კურთხევა, ყოველგვარი განსჯისგან თავისუფლება, ცოდვათა შენდობა, მშვიდობა, ნაყოფიერება, აუცილებლის მიღება და ბოლოს, რათა ისინი ღმერთის წინაშე სასუფევლის ღირსნი გახდნენ.

ვინაიდან თავად მსხვერპლის შეწირვა არა მხოლოდ ლოცვითი მოქმედებაა, არამედ სამადლობელიც, ამიტომ, როგორც საიდუმლოს აღსრულების დაწყებისას, ღვთისადმი მიძღვნილი ძღვნის შეწირვისას, გამოხატავდა მღვდელმსახური მადლიერებასაც და თხოვნასაც, ასევე ახლაც, მსხვერპლის შეწირვისა და ძღვნის კურთხევის შემდეგ, მადლობს უფალს ძღვნისთვის, ურთავს თხოვნას, ამასთან, მადლიერებისკენ შეგულიანების არსს გადმოსცემს და ლოცვის საგანსაც უთითებს.

რას გულისხმობს მადლიერებისკენ შეგულიანება? როგორც უკვე ითქვა, ეს წმიდანები არიან, ვინაიდან ეკლესიამ სათხოვარი მათში მოიპოვა და ის მიიღო, რისთვისაც ლოცულობს - ცათა სასუფეველი.

რას წარმოადგენს ეკლესიის სათხოვარი? მათ, ვინც ჯერ კიდევ ვერ მიაღწია სრულყოფილებას და ეკლესიის ლოცვას საჭიროებს.

ეკლესია წმიდანების შესახებ ამბობს: "მერმეცა შევსწირავთ შენდა სიტყვიერსა ამას მსხვერპლსა სარწმუნოებით შესვენებულთათვის: პირველთა მამათა, მამათმთავართა, წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, ქადაგთა, მახარებელთა, მოწამეთა, აღმსარებელთა, მმარხველთა და ყოვლისა სულისა, სარწმუნოებით აღსრულებულთა. უმეტესად ყოვლადწმიდისა, უბრწუნელისა, უფროსადკურთხეულისა, დიდებულისა დედუფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა" - და შემდეგ მთელ წმიდათა დასს ჩამოთვლის. სწორედ ისინი არიან ეკლესიის ღვთისადმი მადლიერების შემაგულიანებლები, სწორედ მათთვის უძღვნის ეკლესია ღმერთს ამ სიტყვიერ მსახურებას, როგორც მადლობას უფლისადმი, და ყველაზე უპირატესად ნეტარი ღვთისმშობლისადმი, როგორც ყოველ სიწმიდეზე აღმატებულისადმი. ამიტომ მღვდელმსახური კერძოდ მათთვის არაფერს ითხოვს, არამედ უფრო ევედრება მათ, რადგან ძღვნის მირთმევისას, როგორც ითქვა, მათთვის კი არ ლოცულობს, არამედ მადლობას სწირავს ღმერთს მათთვის, რომ თავიანთი ლოცვებით დაეხმარონ.

ყოველივეს შემდეგ ის უკვე ვედრებას გამოთქვამს და იმათ ასახელებს, ვისთვისაც ევედრება, ლოცულობს, რომ ყველას მიეცეს ხსნა და თითოეულისთვის შესაბამისი წყალობა; სხვათა შორის, შემდეგს ამბობს: "მერმეცა შევსწირავთ შენდა სიტყვიერსა ამას მსხვერპლსა სოფლისათვის, და წმიდისა, კათოლიკე და სამოციქულოსა ეკლესიისათვის, უბრალოდ და ღირსებით მოქალაქობისა მქონებელთათვის", - და ამის შესახებ ლოცულობს.

ამრიგად, ნეტარი იოანე, როცა აღნიშნავს, რომ ამ წმიდა მსახურებას ორი მხარე აქვს - სამადლობელი და სავედრებელი, ცალკე გულისხმობს მათ, ვის გამოც მადლობს, ცალკე კი მათ, ვის გამოც ლოცულობს. მაგრამ ღვთაებრივი ბასილი მადლიერებას ვედრებას უერთებს და ამას ლიტურგიის მიმდინარეობისას ყველგან აკეთებს; ასე რომ, შენ ნახავ, თითქმის ყველა მის ლოცვას ორივე ძალა აქვს. ასე, იგი მოიხსენიებს წმიდანებს, რომელთაც წმიდა იოანე ჩამოთვლის ღვთისმსახურების იმავე ადგილას, მაგრამ სხვაგვარად, ვინაიდან როცა ლოცულობს, რომ ყველა გახდეს ღირსი ეზიაროს

საიდუმლოს, არა სასჯელად და დასასჯელად, უმატებს: "არამედ, რაითა ვპოოთ მადლი და წყალობაი ყოველთა თანა წმიდათა საუკუნითგან სათნოყოფილთა შენთაითა: პირველთა მამათა, მამათმთავართა, წინასწარმეტყველთა" და ა.შ.; შემდეგ - ბევრს ამბობს ყოვლადწმიდას შესახებ. თუმცა ეს სიტყვებიც, მართალია, ვედრებასაც მოიცავს, მადლიერებასაც გამოხატავს და კაცობრიობისადმი მოწყალე ღმერთსაც ქადაგებს; მათში მღვდელმსახური ღვთის მიერ განმართლებულებსა და ღვთივკურთხეულ ადამიანებს მოიხსენიებს, თითქოს ამბობს: მოგვეცი მადლი, რომელიც უწინ წმიდანებს მიანიჭე; განგვწმიდე ჩვენ, როგორც უწინ ჩვენწაირები განწმიდე.

34. იმის შესახებ, თუ როგორ ლოცულობს ღვთისმსახური თავის თავთან წმიდა ძღვნისთვის და რაზე ლოცვისკენ მოუწოდებს მორწმუნეებს

როცა ილოცებს იმისათვის, რაც ყველასთვის საჭიროა, მღვდელმსახური საკუთარი თავისთვისაც ლოცულობს, რათა ძღვნისგან თვითონაც მიიღოს განწმედა.

როგორი განწმედა? ცოდვათა შენდობა, ვინაიდან ეს ძღვნის პირველი მოქმედებაა. ეს საიდან ჩანს? უფლის სიტყვიდან, რომელიც მოციქულებს გამოუთქვა, მიუთითა რა პურზე: "ეს არის ხორცი ჩემი, თქვენთვის განტეხილი (1კორ. 11:24) მისატევებლად ცოდვათა", ისევე როგორც სასმისზე. "მოიხსენენ, უფალო, - ამბობს იგი, - ჩემიცა ესე უღირსება. შემინდვენ მე ყოველნი შეცოდებანი, ნებსითნი და უნებლიეთნი, და ნუ ჩემთა ცოდვათათვის დააყენებ მადლსა წმიდისა სულისა შენისასა წინამდებარისა ამის ძღუნისაგან". დაე, სულიწმიდამ ძღვნის მაზიარებლებს ცოდვათა შენდობა უწყალობოს.

ეს მადლი, - ბრძანებს იგი, - დაე, ნუ ამეკრძალება ჩემი ცოდვების გამო. ვინაიდან მადლი პატიოსან ძღვენში ორგვარი სახით მონაწილეობს: პირველი ის არის, რომ მადლით ძღვენი იკურთხება; ხოლო მეორე - ძღვნით ჩვენ ვიწმიდებით.

ძღვენში მადლის მოქმედების პირველ წესს ვერავითარი ადამიანური უსჯულოება ვერ აღუდგება წინ და რადგან ძღვნის კურთხევა ადამიანური სათნოების ნამოქმედარი არ არის, ამიტომ ადამიანური უსამართლობა ვერ დააბრკოლებს მას.

მაგრამ მეორე ჩვენს გულმოდგინებასაც მოითხოვს და ამიტომ ჩვენი დაუდევრობის გამო ბრკოლდება. მადლი ძღვნის საშუალებით განგვწმედს, თუკი ჩვენში განწმედის უნარს აღმოაჩენს, მაგრამ თუ მოუმზადებელს შეგვხვდება, კი არ გვარგებს, არამედ ურიცხვ ზიანს მოგვაყენებს.

ამ მადლისთვის - იქნება ეს მხოლოდ ცოდვათა შენდობა თუ, ამასთან ერთად, სხვა ძღვენი, მოცემული ადამიანთათვის, რომელნიც წმიდა სერობაზე წმიდა სინდისით იხმევენ - ლოცულობს მღვდელმსახური, რათა ეს წმიდა სერობა ძღვნისგან არ დაბრკოლდეს, რადგან იგი შეიძლება ადამიანურმა მანკიერებამ უწმიდურებით დააბრკოლოს. ცოტა მოგვიანებით ღვთისმსახური ამ ლოცვას ხალხთან ერთად აღავლენს.

მღვდელი ყველასთვის გამოითხოვს თანამოაზრობას, რათა ერთი ბაგით და ერთი გულით ადიდონ უფალი, და მათ, ვინც ამგვარად არის განწყობილი, ამცნობს წყალობას ღვთისა და ჩვენი მხსნელისა იესო ქრისტესი, რის შემდეგაც იგი მართლაც ბრძანებს, ევედრონ უფალს იმისთვის, რისთვისაც თავად ლოცულობდა, ყველა წმიდანის შუამდგომლობით, რადგან ამას ნიშნავს ყველა წმიდანის მოხსენიება - მათი მოხმობა, მათდამი ლოცვა.

და რას ამბობს? განწმედილი ძღვნისთვის უფლისა მიმართ ვილოცოთ, არა იმიტომ, რომ მან განწმედა მიიღოს, - ამიტომაც უწოდა მას განწმედილი, რომ ვინმემ ამგვარად არ იფიქროს, - არამედ რათა ძღვენმა განწმედა მოგვანიჭოს, ვინაიდან ამას ნიშნავს ლოცვის ეს სიტყვები: "რათა კაცთმოყუარემან ღმერთმან ჩუენმან, შემწირველმან ამათმან, გარდამოგვივლინოს ჩუენ საღმრთო მადლი". მივიღებ კაცთმოყვარე ღმერთს, რომელიც მადლს გარდამოგვივლენს. ამბობს: ძღვნისთვის ვილოცოთ, რათა მან ჩვენში იმოქმედოს, რათა ამ მადლის მოწოდებისთვის უღონო არ იყოს. მაცხოვრის ყოვლისშემძლე სხეული, იმ დროს, როდესაც ხალხში მიმოიქცეოდა, რამდენიმე ქალაქში სასწაულს ვერ აღასრულებდა მათი ურწმუნოების გამო (მათ. 13:58), (მარკ. 6:5-6).

მას შემდეგ, რაც ამგვარადვე ამცნობს ყოველივე ამას ხალხს, საკუთარი თავისთვისაც საიდუმლოდ ლოცულობს, და ევედრება უფალს ხალხისთვის, რათა ისინი წმიდა სინდისით ეზიარონ საშინელ საიდუმლოს და ამ წმიდა ტრაპეზით დატკბნენ - მიიღონ ცოდვათა შენდობა, სულიწმიდის ზიარება და ცათა სასუფეველი დაიმკვიდრონ, არა სასჯელად, არცა დასასჯელად.

ამის შემდეგ ღვთისმსახური ყველასთვის ღვთისგან შეწევნასა და მფარველობას გამოითხოვს, მოუწოდებს მრევლს, ილოცონ, რათა მთელი დღე სიწმიდით, მშვიდობით და უცოდველად გაატარონ, მშვიდობის ანგელოზზე, სარწმუნო წანამძღვარზე მინდობილთა, - რადგან არსებობს სიცრუის ანგელოზიც, რომელზე მინდობაც სახიფათოა. მფარველი ანგელოზისთვის იმისთვის კი არ ვლოცულობთ, რომ იგი იმ დროს გვებოდოს, - ანგელოზი ხომ ყოველ მორწმუნეს თავიდანვე მიენიჭება, - არამედ იმისთვის, რომ მან იმოქმედოს და თავისი აღასრულოს - დაგვიცვას, სწორი გზისკენ წარგვმართოს და ჩვენი ცოდვებით აღშფოთებულმა არ მიგვატოვოს.

გარდა ამისა, მღვდელმსახური ცოდვათა შენდობისთვის, ჩვენი სულების სარგოსა და ყოველი სიკეთისთვის, მსოფლიო მშვიდობისთვის ლოცვისკენ მოგვიწოდებს, ამასთან მომავლის მშვიდობისთვის ლოცულობს, რათა მშვიდობითა და სინანულით აღვასრულოთ ჩვენი შემდგომი ცხოვრების დარჩენილი დრო, რათა ჩვენი აღსასრული ქრისტიანისთვის შესაფერისი იყოს. შემდეგ, როდესაც ღვთისმსახური ერთ სარწმუნოებას და სულიწმიდის ზიარებას გამოითხოვს ღვთისგან, მოგვიწოდებს, რათა ღმერთს მივუძღვნათ საკუთარი თავიც, ერთმანეთიც და მთელი ცხოვრებაც.

ხოლო იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ერთი სარწმუნოება და სულიწმიდის ზიარება და რისთვის ვლოცულობთ ამის შესახებ აქ, უკვე არაერთხელ და დაწვრილებით ითქვა.

35. ღვთისგან ბოძებული ლოცვის, თავმოდრეკისა და მათი შემდგომი სამადლობლის, სათხოვარისა და ასამაღლებლის შესახებ

მას შემდეგ, რაც ღვთისმსახური ამგვარად დამოდვრავს მორწმუნეებს და ყოველმხრივ სიკეთეში განამტკიცებს, ღმერთს ევედრება, რათა ისინი, როგორც უკვე სრულყოფილნი და ღვთაებრივი ძეობის ღირსებაშემოსილნი, ღირსნი გახდნენ, თამამად მიმართონ იმ ლოცვით, რომელშიც ვკადნიერდებით, მას მამა ვუწოდოთ. და როდესაც ყველანი მასთან ერთად ამ ლოცვას წარმოვთქვამთ, მღვდელი მას ასამაღლებლით ამთავრებს.

შემდეგ ყველასთვის მშვიდობას გამოითხოვს. მაგრამ მათთვის იმ ლოცვით უმაღლესი მოწოდების გახსენებისა და ღმერთის მამად წოდების შემდეგ მის უფლად ცნობისა და მის წინაშე მონობის გამოხატვის - თავის მოდრეკისა და ამ გარეგნული სახით მონობის აღიარებისკენ მოუწოდებს. და ყველა მოიდრიკება, არა მხოლოდ უფლის, შემოქმედისა და ღმერთის ბუნების წინაშე, არამედ როგორც გამოსყიდული მონები - გამოსყიდულნი მისი მხოლოდშობილი ძის სისხლით, რომლითაც როგორც ორმაგად მონობა შეგვძინა, ისე ძეობა მოგვანიჭა: ვინაიდან ამავე სისხლმა გააძლიერა და გაზარდა ჩვენი მონობა და ამავედროულად უფლის ძეობის შეძენის მიზეზად იქცა.

როდესაც ყველანი თავს მოიდრეკენ, ღვთისმსახური ყოველივეს შექმნისთვის გულში მადლობს ღმერთს, ყველასთვის სარგებელს ითხოვს, ამასთან უფლის წინაშე მხოლოდშობილი ძის სახელს ახსენებს, მის მადლსა და კაცთმოყვარეობას, იმ იმედით, რომ, თავად მაცხოვრის ღვთაებრივი აღთქმისაებრ, მოთხოვნილს მიიღებს, რადგან ის ამბობდა: "რაოდენიცა-რაი სთხოოთ მამასა სახელითა ჩემითა, მოგცეს თქვენ" (იოან. 16:23). ამის შემდეგ ხალხის გასაგონად წარმოთქმულ ასამაღლებელს ყოვლადწმიდა სამების ასამაღლებელს დაურთავს.

და როდესაც ხალხი ასამაღლებელში მიიღებს მონაწილეობას, ღვთისმსახური კვლავ თავისკენ მოიქცევა და გულში საიდუმლოდ ლოცულობს, ლოცვისას მოუხმობს ქრისტეს - თვით მსხვერპლს, მღვდელს, პურს მოუხმობს, რათა ქრისტემ მისი მეშვეობით მონებს თავი თვითონ გადმოსცეს.

36. იმის შესახებ, თუ რას მოუწოდებს ღვთისმსახური ხალხს წმიდა ძვლის ამაღლებისას და რას პასუხობს მას ხალხი

შემდეგ ღვთისმსახური განიზრახავს, თავად შეუდგეს და სხვებიც მიიწვიოს ტრაპეზზე. მაგრამ ვინაიდან ყველასთვის განურჩევლად საიდუმლოთა ზიარება არ არის ნებადართული, ის ყველას არ იხმობს, არამედ ცხოველმყოფელი პურის ამაღლებითა და ჩვენებით ზიარებისთვის მათ უხმობს, ვინც ამის ღირსია: "წმიდა წმიდათა". ის თითქოს ამგვარად ამბობს: აი სიცოცხლის პური, რომელსაც თქვენ ხედავთ; ისწრაფეთ ზიარებისთვის, მაგრამ არა ყველამ, არამედ მხოლოდ მათ, ვინც წმიდაა, რადგან წმიდა მხოლოდ წმიდათათვის არის ნებადართული. წმიდას აქ არა მხოლოდ სათნოებებში სრულყოფილებს უწოდებს, არამედ ყველას, ვინც ამ სრულყოფილებისკენ მიისწრაფვის, თუმცა ჯერ კიდევ ვერ მიაღწია მას. ამით წმიდა საიდუმლოთა ზიარებით განწმედას და ამ მხრივ წმიდად ყოფნას არაფერი ელობება წინ. ისევე როგორც მთელი ეკლესია იწოდება წმიდად, ასევე წერს ნეტარი მოციქული მთელ ხალხს: "ძმანო წმიდანო, ჩინებისა მის ზეცათაისა ზიარნო" (ებრ. 3:1). ისინი წმიდად იმ წმიდის გამო იწოდებიან, რომელთანაც ურთიერთობა აქვთ და რომლის ხორცსა და სისხლს ეზიარებიან, ვინაიდან ისინი - მისი სხეულის ნაწილები, მისი ხორცის ხორცი და მისი ძვლების ძვლები არიან. ამრიგად, სანამ მასთან ერთობაში ვართ და კავშირს ვინარჩუნებთ, წმიდა ცხოვრებით ვცხოვრობთ, საიდუმლოს მეშვეობით განწმედას ვიღებთ იმ თავიდან და გულიდან. მაგრამ თუ ყოვლადწმიდა სხეულის ერთიანობას განვშორდებით და მოვწყდებით, მაშინ წმიდა საიდუმლოს უსარგებლოდ ვიღებთ, რადგან სიცოცხლე მკვდარ და მოკვეთილ ნაწილებს ვერ გადაეცემა.

რა მოჰკვეთს წმიდა სხეულის ამ ნაწილებს? "მხოლოდ თქვენი უკეთურებანი - იყო გამოყოფი თქვენსა და თქვენს ღმერთს შორის" (ეს. 59:2).

განა ყოველი ცოდვა მკვდრად აქცევს ადამიანს?

არა, მხოლოდ მომაკვდინებელი ცოდვა; ის მომაკვდინებლად იმიტომ იწოდება, რომ, ნეტარი იოანეს სიტყვით, არსებობს არამომაკვდინებელი ცოდვაც (1 იოან. 5:17). ამიტომ მათ, ვინც საიდუმლოს ეზიარა, თუ რაიმე ისეთი ცოდვა არ ჩაუდენია, რომელიც ქრისტესგან განაცალკევებს და სიკვდილს მიანიჭებს, არაფერი უშლით ხელს, საიდუმლოს ზიარებით, საქმითაც და სახელითაც განწმედის მონაწილენი იყვნენ, რადგან ჯერ კიდევ ცოცხალი და თავთან შეერთებული ნაწილები არიან.

ამიტომაც მღვდელმსახურის წარმონათქვამს "წმიდა წმიდათა" მორწმუნეები პასუხობენ: "ერთ არს წმიდა, ერთ არს უფალი იესუ ქრისტე, სადიდებლად ღმრთისა მამისა", რადგან არავის თავისით არ შეუძლია განწმედა და ეს არ არის ადამიანის სათნოებათა საქმე, არამედ ყველაფერი - მისგან და მის მიერაა. ეს იმას ჰგავს, მზისგულზე ბევრი სარკე რომ დავალაგოთ. ისინი ანათებენ და სხივებს აფრქვევენ. გეჩვენება, თითქოს უამრავ მზეს ხედავ, თუმცა სინამდვილეში თითოეულში ერთი მზე აირეკლება. ერთი წმიდა მორწმუნეებზე გადმოდინებისას მრავალ სულში ცხადდება და მრავალს წმიდად წარმოგვიჩენს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, წმიდა მხოლოდ ერთია, ამასთან, წმიდაა მამის სადიდებლად. ვინაიდან ღმერთი მისი დიდების შესაბამისად არავის განუდიდება, ამიტომაც ამბობდა იუდეველთა გაკიცხვისას: "თუ მამა ვარ, სად არის ჩემი პატივისცემა?" (მალ. 1:6). მაგრამ ერთმა მხოლოდშობილმა განადიდა შესაფერისი დიდებით, ამიტომაც თქვა მოახლოებული ვნებისას: "მე გადიდე შენ ქუეყანასა ზედა" (იოან. 17:4). როგორ განადიდა მან? მხოლოდ და მხოლოდ ხალხისთვის თავისი სიწმიდის ჩვენებით, იმგვარი სიწმიდის გამოვლინებით, როგორი წმიდაც თავად მამაა. ვინაიდან თუ ღმერთს ამ წმიდის მამად წარმოვიდგენთ, მის ნათელი მამის დიდებაა; ქმნილების ღირსება ან სათნოება, რასაკვირველია, შემოქმედის დიდებაა.

37. რას აღნიშნავს საიდუმლოში ჩასხმული თბილი წყალი?

მორწმუნეთა საიდუმლო სერობაზე ამგვარად მოწვევის შემდეგ მღვდელი პირველად თვითონ, ყველა მისი თანაბარი ხარისხის მქონესა და საკურთხეველის ყველა მსახურთან ერთად ეზიარება; მაგრამ, ჯერ ბარძიმში თბილ წყალს ასხამს ეკლესიაზე სულიწმიდის გარდამოსვლის ნიშნად. მაშინ სული გარდამოვიდა; მხსნელის მნეობის დასრულების შემდეგ და ახლაც მსხვერპლის შეწირვისა და ძღვნის კურთხევის შემდეგ გადმოდის მათზე, ვინც ზიარების ღირსია.

ვინაიდან ევქარისტის წმიდა საიდუმლოში ქრისტეს მნეობა პურზე, როგორც დაფაზე, სრულად გამოისახება (ვინაიდან ჩვენ ქრისტეს ხატებას ვჭვრეტთ ყრმადაც, სიკვდილზე მიმყოლადაც, ჯვარცმულადაც, ფერდგანღებულადაც და შემდეგ თავად ამ პურსაც იმ ყოვლადწმიდა სხეულად გარდაქმნილს ვხედავთ, რომელმაც ჭეშმარიტად ყოველივე მოითმინა, აღდგა, ამაღლდა და ღვთის მარჯვნივ ზის), ამიტომ იყო საჭირო ამ ყველაფრის აღსრულების შემდეგ განსაზღვრულიყო ამ ყოველივეს მიზანი ჩვენი ხსნის მნეობის მთელი საქმის დაგვირგვინებით, რათა საიდუმლოს აღსრულება მთლიანი ყოფილიყო.

რა ნაყოფი და დასასრული აქვს ქრისტეს ვნებას, სწავლებასა და საქმეს? მათ ჩვენთან მიმართებით თუ განვიხილავთ, სხვა არაფერი, თუ არა ეკლესიაზე სულიწმიდის

გარდამოსვლა. ამიტომაც ამის შემდეგ ამ გარდამოსვლის გამოხატვაც გვმართებდა. და ეს, მართლაც, საიდუმლოში თბილი წყლის ჩასხმით მიენიშნება.

რადგან ეს წყალი ერთდროულად წყალიც არის და ცეცხლის თანაზიარიც, სულიწმიდას აღნიშნავს, რომელიც წყლადაც იწოდება (იოან.7:38) და ცეცხლადაც მოევლინა ქრისტეს მოციქულებზე გარდამოსვლისას (საქ. 2:3-4).

და ეს დრო (როდესაც წყალი ისხმება) იმ დროს აღნიშნავს: ვინაიდან მაშინ სული ყოველივეს, ქრისტესთან დაკავშირებულის, აღსრულების შემდეგ გარდამოვიდა, ახლაც ეს წყალი ძღვენის აღსრულების შემდეგ ისხმება.

ხოლო საიდუმლოებები ეკლესიასაც აღნიშნავენ, რადგან ის არის "ხორციი ქრისტესნი და ასონი ასოთა მისთაგანნი" (1 კორ. 12:27). მაშინ ეკლესიამ სულიწმიდა ქრისტეს ამაღლების შემდეგ მიიღო, ახლა კი სულიწმიდის მადლს ძღვენის ზეციურ სამსხვერპლოზე მიღების შემდეგ იღებს, რადგან ძღვენის მიმღები ღმერთი, სამაგიეროდ, როგორც ზემოთ ითქვა, სულიწმიდას გარდამოგვივლენს: მაშინაც და ახლაც შუამდგომელი ერთია და ერთი და იგივე სულია.

38. იმის შესახებ, თუ საიდუმლოებები როგორ აღნიშნავენ ეკლესიას

ხოლო ეკლესია საიდუმლოებებით, როგორც სიმბოლოებით, კი არ მოესწავება, არამედ ისე, როგორც გულით მოესწავება ასოები, როგორც ხის ფესვით - ტოტები და, როგორც უფალმა ითქვა, ვენახით - რტონი (იოან. 15:5). აქ მხოლოდ სახელთა ერთნაირობა როდია, არც მხოლოდ მსგავსებაა, არამედ საქმის იგივეობაა, რადგანაც საიდუმლოებები არსობრივად ქრისტეს ხორცი და სისხლია.

ქრისტეს ეკლესიისთვის ისინი ჭეშმარიტი საზრდელი და სასმელია (იოან. 6:55). მისი ზიარებით ეკლესია მათ ადამიანურ სხეულად კი არ აქცევს, როგორც რაიმე სხვა საზრდელს, არამედ თავად გარდაიქცევა საიდუმლოდ, რადგანაც უკეთესი უარესს გადაძღვეს. ასეა რკინაც, ცეცხლთან შეერთებული, თავადაც ცეცხლად იქცევა და არა ცეცხლი - რკინად. გავარვარებულ რკინაში ჩვეულებრივ რკინას კი არა, ცეცხლს ვხედავთ, რადგან რკინის თვისებები მთლიანად ცეცხლით იჩრდილებს. ვინმეს რომ შესძლებოდა ქრისტეს ეკლესიის იმ სახით დანახვა, როგორ არის იგი ქრისტესთან შეერთებული და მის სხეულში როგორ მონაწილეობს, მაშინ მას რაიმე სხვა სახით კი არა, მხოლოდ უფლის სხეულად დაინახავდა. ამავე მიზეზით პავლე წერს: "თქვენ ხართ ხორციი ქრისტესნი და ასონი ასოთა მისთაგანნი" (1 კორ. 12:27) და იმისთვის კი არ უწოდა პავლემ მას - თავი, ხოლო ჩვენ - სხეული, რომ ქრისტეს ჩვენდამი მზრუნველობა, მისი გამზრდელიობა და ხელმძღვანელობა და ჩვენი მისდამი მორჩილება აღნიშნა, - მსგავსად იმისა, როგორც ჩვენ, გრძნობა უფრო მძაფრად რომ გამოვხატოთ, ნათესავებს ან მეგობრებს შვილებს ვუწოდებთ, - არამედ სწორედ იმის გამოსახატავად, რაც ითქვა: მორწმუნეები ამ სისხლით ჭეშმარიტად შეერთებულნი არიან იმ თავთან და შემოსილნი არიან იმ სხეულით, უკვე ქრისტესმიერი ცხოვრებით ცხოვრობენ.

ამიტომაც არაფერია არაზუნებრივი იმაში, რომ აქ ეკლესია საიდუმლოებებით მოესწავება.

39. ზიარებაზე მორწმუნეთა მოწვევისა და იმის შესახებ, თუ ძღვნის გამოჩენისას რას შესძახებენ მორწმუნენი

როდესაც ღვთისმსახური სიწმინდეს ეზიარება, ხალხს მიმართავს და უჩვენებს წმიდა ძღვენს. ამით ზიარების მსურველთ უხმობს და ღვთის შიშითა და რწმენით ზიარებისკენ მოუწოდებს, რათა საიდუმლო არ უგულვებელყონ იმის გამო, რასაც მასში ვხედავთ და მასში არ დაეჭვდნენ, რადგან რისიც გვწამს, ჩვენს გონებას აღემატება, არამედ წმიდა ძღვნის ღირსების შემეცნებით (ის ხომ მაზიარებლებს მარადიულ ცხოვრებას ანიჭებს) რწმენით მიეახლონ მას.

მორწმუნენი რწმენის მიმართ მოწიწების გამოსახატავად მოიდრიკებიან, ლოცულობენ, ადიდებენ იესოს როგორც ღმერთს, რომელსაც ძღვენში წარმოისახავენ და სადიდებელი სადღესასწაულო რომ გახადონ, წინასწარმეტყველის სიტყვებს წარმოთქვამენ: "კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა, ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩვენ" (117:26-27). "მე მოვედ, - ამბობს უფალი, - სახელითა მამისა ჩემისათა, და არა შემიწყნარებთ. უკუეთუ სხუაი მოვიდეს სახელითა თვისითა, იგი შეიწყნაროთ" (იოან. 5:43). მამის განდიდება - აი, მეუფის ჭეშმარიტი ნიშანი, აი, მხოლოდშობილობის ნიშანი; ხოლო თვითსჯულობა და მამისგან განშორება - გაქცეული მონის ნიშანია. ამის მცოდნე და კეთილი მწყემსის მგლისგან გამრჩევა წინასწარმეტყველმა ძველთაგანვე აკურთხა უფლის სახელით მომავალი, უწოდა რა მამას უფალი, თავად მოვლენილს კი ღმერთი. ამავე სიტყვებით განადიდებენ მორწმუნეებიც ახლა მომავალ და მათთვის მოვლენილ ქრისტეს.

40. იმ ლოცვის შესახებ, რომელსაც ღვთისმსახური მორწმუნეთათვის მათი ზიარების შემდეგ ალაგვენ

ამის შემდეგ საიდუმლოთა მაზიარებელთათვის ღვთისმსახური ღმერთისგან ხსნასა და კურთხევას გამოითხოვს. რომელი ლოცვით? "აცხოვნე, ღმერთო, ერი შენი, და აკურთხე სამკვიდრებელი შენი".

და ეს დავით წინასწარმეტყველის სიტყვებია (ფს. 27:9). იგივე წინასწარმეტყველი სხვაგან მამის სახელით ძეს მსგავსადვე მიმართავს: "ითხოვე ჩემგან და მიგცნე შენ წარმართნი სამკვიდრებელად შენდა კიდენი ქუეყანისანი" (ფს. 2:8), ვინაიდან ის, რაც ძეს, როგორც ღმერთს, თავიდანვე აქვს, მან, როგორც ადამიანმა, შემდგომში მოიპოვა.

მაშ, რატომ არ ამბობს ღვთისმსახური: "აკურთხე შენი საქმე, რომელთა შემოქმედიც თავად ხარ", არამედ წარმოთქვამს: "აკურთხე სამკვიდრებელი შენიო", თუ იგი ჩვენი შემოქმედი? რათა უკეთ ვევედროთ მას იმ უპოვარების გახსენებით, რომელიც მან იტვირთა. მათთვის ვლოცულობ, - ამბობს იგი, - ვისთვისაც შენ მონათა შორის ყოფნა, მცნებათა მიღება, მიძღვებლთა თანაბრად დგომა მოითმინე, მაშინ როდესაც ყველაფერს ფლობ, და თავს მემკვიდრე უწოდე, მაშინ როდესაც შენს ქონებას ვერაფერს შემატებ.

სხვა მხრივ, ღმერთისგან ჩვენი უფრო მეტად დასაკუთრების გახსენება მას მოწყალებისადმი უფრო მეტად განაწყობს. ხოლო მემკვიდრეობით დასაკუთრება გაცილებით სრულია, ვიდრე შექმნით, და უფალმაც მემკვიდრეობით გაცილებით უკეთ დაგვისაკუთრა, ვიდრე შექმნით ვეკუთვნოდით. ის შექმნით მხოლოდ ადამიანურ ბუნებას ფლობდა, ხოლო მემკვიდრეობით გონებისა და ნების მეუფედ იქცა, რაც ადამიანებზე ჭეშმარიტ მეუფებას გულისხმობს, ჩვენ კი პირუტყვსა და უსულო

არსებებთან საერთო ის გვაქვს, რომ ბუნებით ყოველივე ღმერთს ემორჩილება, როგორც შექმნილი - შემქმნელს.

მემკვიდრეობით როგორ გახდა იგი გონებისა და ნების მეუფე? - როდესაც ზეცით გარდამოვიდა, ჯვარცმულ იქნა და აღდგა, ჩვენ მას ჩვენი გონება და ნება დავუმორჩილეთ. გონება - რადგანაც იგი ჭეშმარიტ ღმერთად და ყოველივე არსის შემოქმედად ვაღიარეთ, ნება - რადგან იგი და მისი მეუფება შევიყვარეთ და მისი უღელი სიხარულით ვიტვირთეთ.

ასე სრულფასოვნად მიიღო ღმერთმა ადამიანები, ასე ჭეშმარიტად მიიკუთვნა ისინი! ესაია წინასწარმეტყველს ეს მიკუთვნება ძველთაგანვე სურდა და ამიტომაც ამბობდა: "უფალო, ღმერთო ჩემო! შენ გარდა სხვა მეუფენი გვბატონობდნენ, მაგრამ მხოლოდ შენში ვახსენებთ შენს სახელს" (ეს. 26:13).

ეს ის სამკვიდრებელია, რომელზეც ითქვა, რომ იგი მხოლოდშობილმა მამისგან მიიღო. ასეთია ეს ლოცვა.

41. ამის შემდგომი სამადლობლისა და ასამაღლებლის შესახებ

ამაში მდგომარეობს მთელი ღვთისმსახურება და ღვთაებრივი ექპარისტის საიდუმლოც სრულდება: ახლა ძღვენი უკვე ნაკურთხია, იერარქია და სრულიად სამღვდლო დასი განწმენდილია, ხოლო მათით ეკლესიის დანარჩენი კრებული იკურთხა და განიწმინდა.

ამიტომაც თავად ღვთისმსახურიც და მის გარშემო მყოფი მორწმუნეებიც ახლა ღმერთს სამადლობლითა და ასამაღლებლით მიმართავენ. ღვთისმსახური ამბობს: "კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი, ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ!", ხალხი კი წინასწარმეტყველის სიტყვებიდან ნასესხებ საქებარ საგალობელს აღავლენს: "აღავსე პირი ჩემი ქებითა შენითა, უფალო, რაითა უგალობდე დიდებასა შენსა" (ფს. 70:8). არ ძალგვიძს, უფალო, - ამბობენ მორწმუნენი, - გალობის მოძღვნაც კი იმ წყალობისთვის, რისი ღირსიც გაგვხადე, მაგრამ ესეც მოგვანიჭე. რა გზით? აღავსე პირი ჩვენი ქებითა. როგორც მლოცველებს ანიჭებ ლოცვას, რათა ვიცოდეთ, რისთვის და როგორ უნდა ვითხოვოთ, ასევე შენს სადიდებლად მოანიჭე ძალა ჩვენს ბაგეს.

შემდეგ ამისა ითხოვენ, მისი დახმარების შემწეობით მიღებული სიწმინდე უვნებლად დაიმარხოვნ, რათა მადლს არ უღალატონ და ძღვენი არ დაღუპონ. "დაგვიმარხენ ჩუენ სიწმიდეთა შინა შენთა", - ჩვენ - რის მოქმედნი (რადგან ჩვენი მხრიდან მოქმედებაა საჭირო)? - "ყოველსა დღესა გუასწავენ სიმართლენი შენნი". აქ სიმართლეს ლოცვებში განჭვრეტილ ღვთის სიბრძნეს და კაცთმოყვარეობას უწოდებენ, როგორც პავლემ განმარტა: "არ არს განწვალება, - ამბობს იგი, - სიმართლე ღვთისაი სარწმუნოებითა იესუ ქრისტესითა ყოველთა მიმართ და ყოველთა ზედა მორწმუნეთა" (რომ. 3:22). ამ სიმართლის შესახებ განსჯას შეუძლია სიწმინდე შეგვინარჩუნოს, ვინაიდან იგი ღვთის რწმენასაც განამრავლებს, სიყვარულსაც აღვივებს და არავითარ ბოროტს სულში შემოსვლის ნებას არ აძლევს. შესაბამისად, ზემოთ ფუჭად არ გვითქვამს, რომ საიდუმლოთა შესაფერისი გულისზრახვების გარეშე შეუძლებელია განწმენდა და ჩვენს შიგნით კურთხევის შენარჩუნება.

42. იმის შესახებ, განიწმინდებიან თუ არა ტრაპეზის ძღვენი მიცვალებულები, ცოცხალთა მსგავსად

ზემოთქმულთან ერთად აუცილებელია ამის გამოკვლევა:

ცნობილია, რომ ღვთაებრივი და წმიდა საიდუმლო ორგვარად განწმენდს: პირველი - შუამდგომლობის მეშვეობით, რადგან შეწირული ძღვენი, უკვე იმით, რომ შეიწირება, შემწირველსაც განწმენდს და მათაც, ვისთვისაც შეიწირება, და უფალს მათ მიმართ მწყალობელს ხდის; მეორე კი - ზიარებით, რადგან, უფლის სიტყვისამებრ, ძღვენი ჭეშმარიტ საზრდელად და სასმელად გვევლინება (იოან. 6:55).

ამ შესაძლებლობათაგან პირველი ცოცხალთათვისაც და მიცვალებულთათვისაც საერთოა: ვინაიდან ამათთვისაც და იმათთვისაც მსხვერპლი შეიწირება, ხოლო მეორე მხოლოდ ცოცხალთათვის არის მისაწვდომი, რადგანაც მიცვალებულებს ჭამა-სმა აღარ შეუძლიათ. ამიტომაც არის, რომ მიცვალებულები ზიარების განწმენდით არ განიწმინდებიან და ამ მხრივ ცოცხლებზე ნაკლები ეძლევათ? არა, ვინაიდან ქრისტე მათაც იმგვარად მისცემს საკუთარ თავს, როგორც თვითონ იცის.

ეს რომ თვალსაჩინო იყოს, განვიხილოთ, რაზეა დამოკიდებული განწმენდა და მიცვალებულთა სულებსაც, ცოცხალთა მსგავსად, ხომ არ აქვთ ამის საშუალება.

მაშ, რაზეა დამოკიდებული განწმენდა - იმაზე, რომ სხეული გვაქვს, ჩვენი ფეხით მივდივართ ტრაპეზთან, წმიდა ძღვენს ხელით ვიღებთ, ბაგით ვიხმევთ, ვჭამთ და ვსვამთ? არა, ვინაიდან, მრავალმა, ვისაც ყოველივე ეს ჰქონდა და ვინც ამგვარად მიეახლებოდა საიდუმლოებებს, ამით ვერანაირი სარგებელი ვერ მიიღო და განშორდა ისე, რომ უდიდესი ბოროტება მოეწია.

მაშ, რა ითვლება განწმენდილთათვის განწმენდის მიზეზად? და რას ითხოვს ჩვენგან ქრისტე? ეს არის - სულის სიწმინდე, ღვთის სიყვარული, რწმენა, საიდუმლოთა სურვილი, ზიარების წადილი, მხურვალე გულმოდგინება და ის, რომ წყურვილით მივეახლოთ. აი, რით მოიპოვება განწმენდა და რა არის აუცილებელი მათთვის, ვინც ქრისტესთან ზიარებისთვის მიდის და რის გარეშეც შეუძლებელია განწმენდა.

მაგრამ ყოველივე ეს სხეულს არ ეხება და მხოლოდ სულზეა დამოკიდებული. შესაბამისად, წინ ვერაფერი აღუდგება მიცვალებულთა სულებსაც, ცოცხალთა მსგავსად, ჰქონდეთ იგი.

ამიტომაც, თუკი სულებს საიდუმლოთათვის მზაობა და განწყობა აქვთ, ხოლო უფალი, რომელმაც განწმინდა და აღასრულა ის, ყოველთვის მსურველია განწმენდისა და ყოველ ჟამს საკუთარი თავის შეთავაზება სურს, მაშ, რას შეუძლია გადაეღობოს ზიარებას? ცხადია, არაფერს.

ასეთ შემთხვევაში, ვინმე იტყვის, რომ თუ ცოცხალთაგან ვინმეს სულში ის კეთილი მონაცემები ექნება, რომელთა შესახებაც ვთქვით, თუნდაც არ მიეახლონ საიდუმლოს, მაინც მიიღებენ განწმენდას?

არა ყოველი, არამედ მხოლოდ ის, ვინც, მიცვალებულთა სულების მსგავსად, მას სხეულებრივად ვერ მიეახლება, უდაბნოში, მთებში, ქვაბულებსა და მიწის მღვიმეებში გასულების მსგავსად (ებრ. 11:38), რომელთათვისაც სამსხვერპლოსა და მღვდლის ნახვა შეუძლებელი იყო. ამ ხალხს, ცხადია, თავად ქრისტე სხვა განწმენდით განასპეტაკებდა. ეს საიდან ჩანს? იქიდან, რომ მათ ცხოვრება შიგნით ჰქონდათ, ხოლო თუკი ამ საიდუმლოს არ ეზიარებოდნენ, არ ექნებოდათ, რადგან თავად ქრისტემ თქვა: "უკუეთუ არ სჭამოთ ხორცი მისა კაცისაი და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებაი თავთა

შორის თქუნთა" (იოან. 6:53). ამის აღსანიშნავად მრავალს ამ წმიდათაგან ძღვნიან ანგელოზებს უგზავნიდა.

მაგრამ თუკი ვინმეს შეუძლია და ტრაპეზს არ მიეახლება, მისთვის განწმენდის მიღება სრულიად შეუძლებელია და არა იმიტომ, რომ ის უბრალოდ არ მიეახლება ტრაპეზს, არამედ - რადგან შეუძლია, მაგრამ არ მიეახლება, საიდანაც ჩანს, რომ მის სულში არ არის ის კეთილი თვისებები, რომლებიც საიდუმლოთათვის არის საჭირო.

მართლაც, ტრაპეზთან მიახლების რა გულმოდგინება და სურვილი უნდა ჰქონდეს მას, ვისაც ადვილად შეუძლია მიეახლოს ტრაპეზს და არ სურს? ღვთის როგორი რწმენა უნდა ჰქონდეს მას, ვისაც არ ეშინია უფლის სიტყვებში არსებული მუქარისა მათ მიმართ, ვინც ამ სერობას უგულვებელყოფს (მათ. 22:7)? და როგორ უნდა დაიჯეროს იმათი სიყვარული, ვისაც მიღების შესაძლებლობა აქვს და არ იღებს?

ამიტომაც არაფერია უჩვეულო იმაში, რომ სხეულისგან განშორებულ სულებს, რომელთაც ვერც ერთ მსგავს ნაკლოვანებაში ვერ დაადანაშაულებს, ქრისტე ამ ტრაპეზს აძლევს. არაჩვეულებრივი და საკვირველი ისაა, რომ ხრწნადი, წარმავალი ადამიანი უხრწნელ სხეულს ჭამს. ხოლო სული - უკვდავი არსება - მისთვის შესაფერი სახით ეზიარება იმას, რაც უკვდავია. რა არის ამაში საკვირველი? თუკი უფალმა გამოუთქმელი კაცთმოყვარეობითა და მიუწვდომელი სიბრძნით შეძლო იმის განხორციელება, რაც არაჩვეულებრივი და საკვირველია, მაშ, როგორღა არ დავიჯეროთ, რომ იმას აღასრულებს, რაც შესაძლებელი და ბუნებრივია?

43. იმის შესახებ, რომ განწმენდა, უპირველეს ყოვლისა, მაზიარებლის სულს მიენიჭება

აკი მათაც, ვინც ჯერ კიდევ სხეულში ცხოვრობს, მართალია, ძღვენი სხეულის მეშვეობით ეძლევათ, მაგრამ, თავდაპირველად, სულის არსებაში შედის და სულის მეშვეობით გადაეცემა სხეულს. აი, ამაზე მიუთითებს ნეტარი მოციქული, როდესაც ამბობს: "ხოლო რომელი შეეყოს უფალსა, ერთ სულ არს" (1კორ. 6:17), რადგან, ძირითადად, სულში არსებობს ეს ერთობა და კავშირი.

რადგან სწორედ იქ არის ადამიანი; იქვეა, სათნოებებით და ადამიანური გულმოდგინებით განწმენდა; იქ არის ისიც, რაც სცოდავს და ძღვნით განწმენდას საჭიროებს. რაც შეეხება სხეულს, მასში ყოველივე სულით მოქმედებს. და როგორც გულიდან წამოსული ამგვარი ბოროტი გულისთქმებით იბილწება იგი, იქიდანვე ხდება მისი როგორც სათნოებებით, ასევე საიდუმლოებებით განწმენდაც. ზოგჯერ კი ფიზიკური სნეულებები მოევლინება, რომელთა მიზეზიც სულის ბოროტი ზნეა. ეს რომ ეჩვენებინა, მაცხოვარმა სნეულებისგან სხეული იმით აღადგინა, რომ ავადმყოფის სული განკურნა ანუ ცოდვები შეუნდო (მათ. 9:2-7).

ამგვარად, თუ სული კურნების მისაღებად სხეულს არ საჭიროებს და პირიქით, სხეული - სულს, მაშინ საიდუმლოთაგან რა უპირატესობა აქვს სხეულთან შეერთებულ სულს იმათთან შედარებით, რომლებიც მისგან განთავისუფლდნენ?

ის, რომ ისინი მღვდელმსახურს ხედავენ და მისგან იღებენ ძღვენს? მაგრამ მათაც ჰყავთ მარადიული იერარქი, რომელიც მათთვის ყოველივე ამას წარმოადგენს და ზიარებას აძლევს ცოცხალთაგან მათ, ვინც ჭეშმარიტად იღებს. რადგან მათ შორის, ვისაც ღვთისმსახური აზიარებს, ყველა არ იღებს ჭეშმარიტ ზიარებას. მაგრამ ცხადია, რომ ყველა ჭეშმარიტად ეზიარება, ვისაც ქრისტე თავად აზიარებს. მღვდელმსახური ყველა დამსწრეს აძლევს ზიარებას, ხოლო ქრისტე - ზიარების ღირსს. აქედან ცხადია, რომ

სულის საიდუმლოებებით აღმსრულებელი და ცოცხალთა და მიცვალებულთა განწმენდელი მხოლოდ თვითონ მაცხოვარია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ყველაფერი, რაც ამ წმიდა მოქმედებას შეეხება - ცოცხალთათვისაც და მიცვალებულთათვისაც საერთოა; ისიც, რაც განწმენდის მიზეზს წარმოადგენს, სულის კეთილ თვისებებშია მოქცეული, ერთსაც და მეორესაც ახასიათებს და ისიც, რითაც, უმთავრესად და საკუთრივ განწმენდა აღესრულება, მათთვის ერთი და იგივეა, ერთი და იგივეა განწმენდელი მღვდელმსახურიც. ერთადერთი რამ, რაც სხეულში მცხოვრებთ ახასიათებთ, არ აქვთ მიცვალებულთ - კერძოდ ის, რომ ცოცხალთა შორის უღირსებიც არიან. ამგვარნი, როგორც ჩანს, რადგან ძღვენს პირით ეზიარებიან, განიწმინდებიან; ხოლო იქ, ვინც მოუმზადებელია, ძღვენს ვერ მიეახლება, ზიარება მხოლოდ ღირსეულებს ენიჭება.

მაგრამ მოუმზადებელი ზიარება არც ცოცხალ მაზიარებლებს არგებს, პირიქით, უკიდურეს სასჯელს უქვემდებარებს და ამიტომ ცოცხალთა უპირატესობას სულაც არ წარმოადგენს. უფრო მეტიც, შემდეგი მოსაზრებიდან თვალსაჩინო ხდება, რომ იმ სულებისთვის არა მარტო შესაძლებელი და შეუფერხებელია, წმიდა ძღვნის ზიარება აუცილებელიც არის. თუკი იმ სულებს სხვა რაიმე მიანიჭებდა სიხარულსა და სიმშვიდეს, მაშინ ეს ღირსეულთათვის უმანკოების ჯილდო იქნებოდა და მათთვის ეს ტრაპეზი აუცილებელი აღარ გახდებოდა. მაგრამ ყოველგვარი სიტკბოება და ნეტარება, - სამოთხეს ვუწოდებთ მას თუ აზრამის წიაღს, ყოველგვარი მწუხარებისა და სენისგან თავისუფალ ადგილს, ნათელ, სანადიმო და გრილ ალაგს თუ თავად სასუფეველს, - იქ მყოფებს სხვას არაფერს ანიჭებს, თუ არა ამ სასმისსა და ამ პურს.

ეს - ჩვენი შუამავალი (1 ტიმ. 2:5, ებრ. 9:15) და წინამორბედი (ებრ. 6:20) წმიდათა წმიდა, რომელიც ერთადერთი მიგვიყვანს მამასთან (იოან. 14:6), ერთადერთი სულის მზე, რომელიც ახლა ამგვარად მოგვევლინება და თავს გამოგვიჩენს, როგორც თავად მოინდომა, სხეულის ტუსადად, როცა იხილვება და საფარველის გარეშე ზიარების უფლებას მოგვცემს (1 იოან. 3:2), - მაშინ "მერმე ვიცნა, - ამბობს წერილი, - ვითარცა შევემეცნე" (1 კორ. 13:12), მაშინ მართლებს შეკრებს, როგორც გვამი კრებს არწივებს (მათ. 24:28), მაშინ შემოირტყამს სარტყელს, აიძულებს დაწვნენ, მივა და მოემსახურება მათ (ლუკ. 12:37), მაშინ ღრუბლებში გამონათლდება და მისით მართლები მზესავით გაიბრწყინებენ (მათ. 24:30). ვინც მასთან არ არის შეერთებული, როგორც ჩვეულებრივ წმიდა ტრაპეზი აერთიანებს, მათთვის ყოვლად შეუძლებელია სიმშვიდისა (მათ. 13:43) და რაიმე სიკეთის - დიდის თუ მცირის - მიღება.

44. ქრისტეს შუამდგომლობის შესახებ

ის შუამავალია, რომლის მეოხებითაც ყოველი სიკეთე ღმერთისაგან მოგვეცა, ანუ, უფრო უკეთ რომ ვთქვათ, ყოველთვის გვეძლევა. ვინაიდან მხოლოდ ერთხელ კი არ გვიშუამდგომლა და მას შემდეგ კი არ მიგვატოვა, მოგვცა რა ყოველივე, რისთვისაც გვიშუამდგომლა, არამედ ყოველთვის გვშუამდგომლობს - არა სიტყვებითა და თხოვნით, ჩვეულებრივი შუამდგომლების დარად, არამედ საქმით. რომელია ეს საქმე? ის, რომ საკუთარ თავთან გვაერთიანებს და თითოეულს ღირსებისა და სიწმინდისამებრ გვანიჭებს თავის მადლს.

და როგორც სინათლე მხედველს დანახვის საშუალებას აძლევს, და ისინი, ვისაც სინათლე არ ექნება, ვერც დაინახავენ, ასევე სულელებისათვის აუცილებელია ქრისტესთან მუდმივი ზიარება, თუკი სრულფასოვნად და წყნარად ცხოვრება სურთ. თვალიც ვერ ხედავს სინათლის გარეშე, და სულელებსაც ქრისტეს გარეშე ვერ ექნებათ ჭეშმარიტი ცხოვრება და სიმშვიდე, რადგან მხოლოდ ის ერთი შეარიგებს ღმერთთან, იმ სიმშვიდეს წარმოშობს, რომლის გარეშეც ღმერთის მტრებისათვის არ არსებობს ჭეშმარიტი იმედი რაიმე ღვთაებრივ სიკეთესთან ზიარებისა.

შესაბამისად, ვინც ან თავდაპირველად არ შეუერთდა ქრისტეს, ან შეერთებული არ იმყოფებოდა ერთიანობაში, ის ღმერთის მტერია და ღვთაებრივ სიკეთეთაგან გაუცხოებული.

რამ შეარიგა ღმერთი ადამიანურ ბუნებასთან? რასაკვირველია, იმან, რომ მან თავისი საყვარელი ძე ადამიანად დაინახა. ასევე შეურიგდება იგი ყოველ ადამიანს, რომელიც მხოლოდმოზილის სახეს შეიმოსავს, მის სხეულს ატარებს და მასთან ერთად ერთ სულად მოველინება. ამის გარეშე თითოეული ადამიანი თავისთავად არის ძველი, ღმერთისაგან მოძულეებული, მასთან საერთოს არმქონე.

ამიტომაც, თუკი იმის რწმენაა საჭირო, რომ სულელები მღვდელმსახურთა ლოცვისა და წმიდა ძღვნის შეწირვით პოულობენ განსვენებას, მაშინ წინასწარ ისიც უნდა გვწამდეს, რომ ეს სწორედ იმ საშუალებით აღესრულება, რომლითაც ადამიანისათვის სიმშვიდის მონიჭება შესაძლებელი. ხოლო რომელია ეს საშუალება, უკვე ნათქვამია: ეს არის - ღმერთთან შერიგება და მასთან მტრობაზე ხელის აღება. როგორ შეიძლება ამის აღსრულება? ღმერთს უნდა შევუერთდეთ და მის საყვარელ შვილთან სულიერი ერთობა მოვიპოვოთ, რომლის შესახებაც აკურთხა ღმერთმა. ეს კი - წმიდა ტრაპეზის საქმეა, რომელიც, როგორც ნათქვამიდან ჩანს, ცოცხალთათვისაც და მიცვალებულთათვისაც საერთოა.

45. იმის შესახებ, რომ მიცვალებულთა ზიარება უფრო სრულყოფილია

სხეულისგან თავისუფალ სულელებს ზიარებასთან მიმართებით სხეულში მცხოვრებ სულელებთან შედარებით გარკვეული უპირატესობა აქვთ. კერძოდ, ისინი მღვდელმსახურთა ლოცვით და ძღვნის შუამდგომლობით ცოცხლებზე ნაკლებ განწმენდასა და ცოდვათა შენდობას როდი იღებენ, არამედ აღარ სცოდავენ და ძველ ცოდვებს ახლებს აღარ უმატებენ, როგორც უმეტესად ხდება ცოცხალთა შორის, არამედ ან ყოველგვარი ბრალეულობისაგან თავისუფლდებიან, ანაც, უკიდურეს შემთხვევაში, ცოდვათა სიმძიმეს გამუდმებით იმსუბუქებენ, ამგვარად, მაცხოვართან ზიარებისთვის სულელები არა მხოლოდ სხეულში მცხოვრებთა უმეტესობაზე უფრო მზად არიან, არამედ თავიანთ თავზეც, ხორციელად ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ. უკვე ის, რომ სხეულისაგან თავისუფალნი არიან, საიდუმლოთა ზიარებისთვის უფრო მეტად შემძლებელს ხდით მათ, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუკი ისინი სხეულით იქნებოდნენ შემოსილნი.

როგორც ზეცაშია მრავალი სხვადასხვა სამყოფელი (იოან. 14:2), რათა ყოველგვარი სათნოება დაჯილდოებული იყოს და არაფერი დარჩეს სამართლიანი და კაცთმოყვარე მსაჯულის მისაგებლის გარეშე, ამიტომ, როგორც უდიდეს ჯილდოთა ღირსნი, სრულყოფილნიც, სრული ნეტარების მემკვიდრეებიც, მაგალითად, პავლე და მისი მსგავსნი, ამ ნეტარებით უფრო მეტად ტკბებიან სხეულის განგდების შემდეგ, ვიდრე ამქვეყნიური ცხოვრებისას. ვისთვისაც ჩვეულებრივი განსასვენებელია განმზადებული,

ბუნებრივია, მით დატკობა ამ ქვეყნიდან განსვლის შემდეგ აჯობებს, ვიდრე სხეულში ცხოვრების პირობებში.

უკვე ნაჩვენებია, რომ ყოველი განსასვენებელი სულთა და სიკეთეთა ყოველგვარი მისაგებელი, დიდცა და პატარაც, სხვა არაფერია, თუ არა ეს პური და ეს სასმისი, რომელსაც ცოცხლებიც და მიცვალებულებიც თანაბრად ეზიარებიან, თითოეული - თავისთვის შესაფერისი სახით. ამიტომაც, უფალმა მომავალ საუკუნეში წმიდათა ნეტარებას სერობა უწოდა (ლუკ. 14:16), იმის საჩვენებლად, რომ იქ ამ ტრაპეზის გარდა სხვა არაფერია.

ამრიგად, ექვარისტის ღვთაებრივი მსახურება მიცვალებულთათვისაც იმგვარივეა, როგორც ცოცხალთათვის. და როგორც ცოცხლები, ნათქვამისამებრ, ორგვარად განიწმინდებიან, ასევე ორგვარი სახით განიწმინდებიან მიცვალებულებიც. ამრიგად, გარდაცვალებულებს ამ კუთხით არაფრით არ ეძლევათ ნაკლები, არამედ ზოგ შემთხვევაში მეტიც.

46. იმის შესახებ, თუ როგორ ხდება, რომ ეს ძღვენი ღმერთისგან ყოველთვის მიღებულია

ახლა ესეც თანმიმდევრულად განვიხილოთ. ის, რომ ამ საიდუმლოს საშუალებით ყოველი მორწმუნე განიწმინდება, ნათქვამიდანაც ჩანს; მაგრამ ყოველთვის ასეა თუ არა - ამის გამოკვლევა ღირს.

რადგან ეს მღვდელმსახურება ძღვნის შეწირვაა, ხოლო ძღვენი ღმერთისგან ყოველთვის არ მიიღება, არამედ ზოგჯერ, შემწირველის ბოროტებიდან გამომდინარე, საძულველი და უარყოფილია, როგორც ამის შესახებ ძველთა და მადლში მცხოვრებთაგან მრავალი მტკიცებულება გვაქვს, გამოვიკვლიოთ, ზოგჯერ ხომ არ ხდება, რომ ეს ძღვენი ფუჭად იმღვდელმოქმედება, რადგან, საიდუმლოს აღთქმისამებრ, როგორც ღმერთისგან მიუღებელი ძღვენი, არ იკურთხება, ვინაიდან ყოველთვის კეთილი ადამიანების მიერ არ შეიწირება, არამედ ზოგჯერ - ბოროტების მიერ.

ხოლო ის, რომ ამ ძღვნისგან ღმერთი პირს იბრუნებს, როდესაც შემწირველი არაწმინდაა - იქიდან ჩანს, რომ ასე იქცევა ეკლესია. ვის შესახებაც მან მომაკვდინებელი ცოდვები იცის, არ აძლევს ძღვნის შეწირვის უფლებას, და თუკი ისინი გაკადნიერდებიან, მათ ძღვენთან ერთად განაშორებენ. მაგრამ რადგან ეკლესია ყველას ასე კარგად არ იცნობს, არამედ ბევრი მისთვის უცნობია და მათ ძღვენს იღებს ღვთაებრივ ტრაპეზზე, მაშინ რა უნდა ვიფიქროთ ასეთი ძღვნის შესახებ? ნუთუ ღმერთი არ მიიღებს მათ და ისინი არ განიწმინდებიან? მაგრამ ამას რომ დავეთანხმოთ, მაშინ უცნობი რჩება, ძღვენი როდისაა წმინდა, რადგან შემწირველთა თვისებები ჩვენთვის უმეტესწილად საეჭვოა ან სრულიად უცნობი. ასეთ შემთხვევაში მორწმუნეები ეჭვობენ და საიდუმლოს ურწმუნოდ, აუცილებლობით მიეახლებიან და მათგან ვერავითარ სარგებელს ვერ იღებენ.

ამაზე რა უნდა ითქვას?

ის, რომ ორგვარი ძღვნის შეწირვა არსებობს: ერთი - მათგან, ვინც თავისგან სწირავს მღვდელმსახურს ხელში, მეორე - ეკლესიისგან ღმერთს.

პირველი შეწირვა, როდესაც შემწირველი ბიწიერია, ამაოა და შემწირველს სარგებელს არ აძლევს, რადგანაც ის ბიწიერია: შეწირული ძღვენი თავისთავად კი არ არის საძაგელი ღმერთისთვის, რადგან ღმერთის ყოველი ქმნილება კეთილია (1 ტიმ. 4:4).

ხოლო მეორე შეწირვას, კეთილ ადამიანთაგან ღვთისა და წმინდანთა სადიდებლად, სამყაროს ხსნისა და საერთოდ ყოველი სამართლიანი სათხოვარისთვის ქმნილს, ვერაფერი გადაეღობება, რომ ღვთისსათნო იყოს. ვერავითარი სიბილწე ვერ გადავა ძღვენიზე იმ ადამიანის ხელიდან, რომელიც თავიდან მოიტანა იგი, არამედ ისინი სისუფთავეს ინარჩუნებენ და სუფთა ადამიანთაგან ამაღლებულნი იკურთხებიან და დამსწრეებსაც აკურთხებენ. ვერაფერში, რასაც არ აქვს გონი და სული, ვერ იქნება რაიმე სახის ცოდვის უწმინდურება; ცოდვა თავისუფლების სნეულებაა და მხოლოდ გონიერი არსებებისთვისაა დამახასიათებელი ცოდვით შებილწვა.

თუკი ბიწიერ ადამიანთა მიერ შეწირული ძღვენი ყოველთვის წმინდაა, მაშინ რატომ არ იღებს ეკლესიის კანონი მას? იმისთვის, რომ შემწირველნი გონს მოეგონ, რათა იცოდნენ, ღვთის რამხელა რისხვა დაატყდებათ თავს, თუკი უფალი პირს იბრუნებს და თავის ქმნილებებს, რომლებიც ბრალეულნი არაფერში არიან, შეიძულებს, რათა ამის მცოდნენი შეშინდნენ და გამოასწორონ თავიანთი ცხოვრება. თავად ძღვენი არც ერთ ნაკლოვანებაში განსჯას არ ექვემდებარება და ამიტომ არაფერი ეწინააღმდეგება მათ მიღებას და კურთხევას, როდესაც მეორე შეწირვა კეთილი ადამიანების მიერ აღესრულება.

მაგრამ ვინმე იტყვის, ყველა შემწირველი ძღველი ხომ კეთილი ადამიანი არ არის, არამედ ზოგიერთნი შეპყრობილი არიან უკიდურესი ბილწი ავადმყოფობით, ეს კი კვლავ პირვანდელ გაუგებრობაში გვაყენებს. როდესაც ორივე შეწირვა ღმერთისთვის სამულველია (ეს კი ხდება), მაშინ საიდან გამოუჩნდება შესაძლებლობა ძღვენს, ღმერთისთვის მიღებული და სასურველი, წმინდა და განმწმენდელი იყოს? არსაიდან. პირიქით, მაშინ ისინი ნამდვილად არასასურველია. მათ შესახებ ყველა შემთხვევაში არსებობს ეჭვი, რადგან ჩვენ არ ვართ დარწმუნებულნი იმ ადამიანის თვისებებში, რომელიც სწირავს და ძღველმოქმედებს. „ვინმე-უკუე-იცის კაცმან კაცისაი, - ამბობს წმინდა წერილი, - გარნა სულმანვე ღმრთისამან" (1 კორ. 2:11). ამრიგად, საიდუმლოთა შესახებ ურწმუნობა და ეჭვი მრავლადაა, ამიტომ წმინდა ძღვნის ზიარება მორწმუნეებს ვერ მოუტანს სარგებელს, რადგანაც ისინი ურწმუნოდ ეზიარებიან.

ამგვარად, სავარაუდოდ, იტყვის და გაცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ამ ძღვნის შეწირვა თავად ღვთისმსახურის ძალაუფლებაშია. მაგრამ ეს უსამართლობაა; პირიქით, ის, რითაც ხდება მისი შეწირვა, განმწმენდელი მადლია, ამიტომ ისინი მაშინ შეიწირებიან, როდესაც განიწმინდებიან. ხოლო ის, ვინც ძღველმოქმედებს, ამ მადლის მსახურია, ვინაიდან ის თავისგან არაფერს ამატებს, თავისი მსჯავრისა და განსჯის მიხედვით არაფერს აკეთებს და ამბობს, არამედ მხოლოდ იმას, რაც მიიღო, იქნება ეს საქმე, სიტყვა თუ მოქმედება, ღმერთს იმგვარად მიუძღვნის, როგორც ნამცნებია. ამრიგად, ვინაიდან ძღვენი ყოველთვის იმგვარად იქნება შეწირული, როგორც ღმერთისთვის არის სასურველი, მისთვის ბუნებრივია, სასიამოვნოა და მისგან ყოველთვის მიღებული იქნება.

რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შემწირველი თავისთავად ბიწიერია? მისი ბიწიერება ხომ ძღვენს არც არაფერს შემატებს და არც არაფერს დააკლებს, ისევე როგორც წამალს არ უშლის ხელს, გადამრჩენელი იყოს ის ფაქტი, რომ იგი უბირმა და საექიმო ხელოვნებაში უსწავლელმა ადამიანმა დაამზადა, თუ იმგვარად შეადგინა, როგორც ექიმმა უბრძანა, იმ კომპონენტებისგან, რომლებიც ექიმმა მისცა. წამალი, მისი დამამზადებლის უცოდინარობის გამო, უმოქმედო არ ხდება, არამედ მისი შედგენის მაუწყებლის ოსტატობის კვალად იქნება მარგებელი, ვინაიდან შემზავებლის უცოდინარობისგან არაფერი მიიღო.

ასევე აქაც - ყველაფერს მაღლი ადასრულებს, ხოლო მღვდელმსახური მხოლოდ მსახურია, რომელსაც თავად ეს მსახურებაც თავისგან არ აქვს, არამედ მაღლისგან. მღვდლობა - მხოლოდ მღვდელმსახურებისთვის საჭირო მოსამსახურე ძალაა. ამრიგად, ნათქვამიდან ჩანს, რომ ეს ძღვენი ყოველთვის ყველა მორწმუნეს განწმენდს, რადგანაც ღმერთისგან ყოველთვის შეიწირება.

47. იმის შესახებ, თუ როგორი ხარისხით მიიღება ძღვენი

ახლა იმის განხილვაც გვმართებს, როგორი ხარისხით მიიღება ძღვენი. რას ნიშნავს ძღვნის შესახებ ხალხის გამონათქვამი: "მიღება"?

როგორ იყენებენ ადამიანები ძღვენს, როდესაც ამბობენ, რომ მიიღეს იგი? ნუთუ ამგვარად იმიტომ ითქმის, რომ ხელში ვიღებს მას და უბეში ვიდებთ? არა, რადგანაც, ბევრი რამ არსებობს ისეთი, რომელსაც მიმღები ვერც დალევს, ვერც აიღებს. მაგალითად, ყანა ან სახლი.

მაშ, რა მნიშვნელობა აქვს გამოთქმას "მიღება" ყველა ძღვენთან მიმართებით? თავის საკუთრებად აღიარება, გათავისება - აი, რას ეწოდება მიღება.

ხოლო ღმერთი იმგვარად ითავისებს ამ ძღვენს, რომ მხოლოდშობილის ხორცად და სისხლად აქცევს. თუკი წარმოუდგენელია ამგვარ მიკუთვნებასთან რაიმე თანასწორის წარმოდგენაც კი, მაშინ იმის განსაზღვრაც კი შეუძლებელია, როგორი ხარისხით მიიღება ეს ძღვენი.

გარდა ამისა, გაცემის შედეგადაც თვალსაჩინოა, როგორ იღებენ მას ძღვნის მიმღებნი.

აქ როგორია გაცემა გვაქვს? ისევ თავად ქრისტეს ხორცი და სისხლი: ვინაიდან ღმერთი, მიიღებს რა ჩვენგან პურსა და ღვინოს, თავის ძეს გვიძღვნის. მაგრამ იკითხავ: საიდან ჩანს, რომ ღმერთი ამას გვიძღვნის მისთვის მიძღვნილი ძღვნის წილ? იქიდან, რომ თავად, ამით მოცული, მოგვმართავს: "მიიღეთ". ეს ძღვენზე მიგვანიშნებს. ამ სიტყვით აღინიშნება შემწირველიც, მიმღებიც და შეწირულიც.

შესაძლებელია, რაიმე სხვაგვარადაც მივიღოთ - როგორც წინდი, რომელსაც მიმღები ვერ გამოიყენებს.

მაგრამ იმისთვის, რომ შენ ეს არ იფიქრო, არამედ იცოდე, რომ მიღებული შენ გეკუთვნის, მისით სარგებლობისკენ მოგვიწოდა, როცა გვითხრა: "სჭამეთ".

ღმერთისთვის ამგვარად და ასეთი უმაღლესი საზომით არის სასურველი ეს ძღვენი.

ამიტომაც ის ყოველთვის განწმენდს ყველა ქრისტიანს, ცოცხლებსაც და მიცვალებულებსაც, და არასრულყოფილ სულებს, რომლებიც კვლავაც საჭიროებენ განწმენდას. ვინაიდან სრულყოფილი წმინდანნი, ანგელოზებთან მდგომნი და უკვე მითვლილნი ზეციურ იერარქიაში, აღარ საჭიროებენ მიწიერ იერარქიას.

48. იმის თაობაზე, თუ როგორ მივაგებთ პატივს წმინდანებს ამ ძღვნით

იმის შემდეგ, რაც უკვე ვთქვით, ბუნებრივია, ესეც გავარკვიოთ.

მართლაც, თუკი ეს წმინდა ძღვენი ღმერთს მიეძღვნება და განიწმინდება და განიწმინდებიან განწმენდის საჭიროების მქონენი, მაშ, რისთვის არის, რომ მათაც, ვინც უკვე განწმენდილი და საკმაოდ სრულყოფილია, ჩვენი რწმენით, ამ ძღვნით პატივს მივაგებთ და როდესაც რაიმეს შესახებ ვითხოვთ, დახმარებისთვის მოვუწოდებთ - ამ ძღვნის მსახურებას ვპირდებით, თითქოს გვსურს, ან მათ მივართვათ ძღვენი, ან მათთვის, რათა ისინი სრულყოფილნი გახდნენ?

ეს იმიტომ, რომ ამ ძღვნის შეწირვის სხვა, აქამდე აღწერილისგან განსხვავებული გზაც არსებობს, რომლის მიხედვითაც ეს ძღვენი წმინდანთა ძღვნად გვევლინება, როდესაც ის ღმერთს ეძღვნება როგორც მაღლიერი ძღვენი იმ დიდებისთვის, რომლითაც ღმერთმა განადიდა ისინი, და იმ სრულყოფილებისთვის, რომლითაც ისინი ღირსყო. ვინაიდან მართალია ის - ღვთის ძღვენია, რადგან მას ეძღვნება, მაგრამ ამავე დროს მორწმუნეთათვის შეწევნის მთხოვნელი საჭირო ძღვენიცაა, რადგანაც მათ ეხმარება, და წმინდათა ძღვენიც, რადგანაც მათთვის შეეწირება ღმერთს.

ის, რაც ჩემთვის, ჩემს სახელზე გაიღება, - ვინც არ უნდა ჩაიბაროს, - მე მივიღებ. ვინაიდან ყველაფერს, რაც ვინმესგან გვეძლევა, საკუთარი ხელით ხომ არ ვიღებთ, არამედ მეგობრების, ოჯახის წევრებისა და საერთოდ ყველას ხელით, ვისაც მომცემელი აძლევს, რათა სიამოვნება მოგვანიჭოს. ამიტომაც, უფალი, მიუხედავად იმისა, რომ მოწყალებას ღატაკები იღებენ, ამბობს, რომ ის თავად იღებს მას (მათ. 25:40), რადგანაც გამცემები მისთვის გასცემენ. ასევე წმინდანები ამ ძღვენს იმიტომ იღებენ, რომ ღმერთისთვის მსხვერპლი მათ გამო შეიწირება. როგორც ქრისტეს სიყვარულის გამო ხდება მოწყალების გაცემა, ასევე წმინდათა სიყვარულის გამო - ძღვნის მირთმევა. და მართლაც, ჩვენ ისინი იმდენად გვიყვარს, რომ მათი სიკეთე ჩვენად მიგვაჩნია და მათთან ერთად ვხარობთ მათივე კეთილდღეობით, თითქოს თავადაც ვმონაწილეობდეთ ამ სიკეთეში. ხოლო ამგვარად ვხარობთ რა მათთვის უფლისგან მოცემული ძღვნით, მიმცემელს ვმადლობთ და სამადლობელ ძღვენს მივართმევთ.

მაგრამ წმინდანები ძღვენს მხოლოდ იმიტომ კი არ იწირავენ, რომ მათი სიყვარულით ხდება ძღვნის შეწირვა, არამედ იმიტომაც, რომ მათთვის უკიდურესად სასიამოვნო და დამატკბობელია სწორედ ის, რომ ღმერთი მათი მეშვეობით იღებს სამადლობელს და განიდიდება. როგორც ბიწიერი ადამიანების უდიდესი ცოდვია მათი მეშვეობით უფლის სახელი შებღალვა, ასევე წმინდათა უდიდესი სიკეთე, მათთვის უკიდურესად სასურველი სიკეთე, ის არის, რომ მათი მეშვეობით ღმერთი განიდიდება. ასეთი იყო მათი უწყვეტი ღვაწლი სხეულებრივი ცხოვრებისას. ეს არის ზეცაში გადანაცვლების შემდეგ მათი მუდმივი საქმიანობაც, ტკბობაც და ნეტარების მწვერვალიც. თუკი იმ დროს, როდესაც ისინი მხოლოდ იმედოვნებდნენ სიკეთის მიღებას, ღმერთს ყველაფრისთვის განუწყვეტლივ ადიდებდნენ და ყოველივეს ღმერთის სადიდებლად აკეთებდნენ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, როგორებად იქცეოდნენ მაშინ, როდესაც, ერთი მხრივ, მათი მაღლიერება შეუდარებლად დიდია, რადგანაც ყველა სათნოებაში სრულყოფილებას ეზიარნენ, ხოლო, მეორე მხრივ, უკვე არა მხოლოდ სიკეთის მიღებას იმედოვნებენ, არამედ ცხადად განიცდიან ღვთის წყალობას, როდესაც ხედავენ, რანი იყვნენ და რად იქცნენ, მიწიერი არსებებისგან - მზეებად, საძაგელი მონებისგან - პატივცემულებად და ზეციური სასუფევლის მემკვიდრეებად, დამნაშავეთაგან - მსაჯულის წინაშე თავიანთი კადნიერებით სხვათა გადარჩენის შემძლეებად. ამიტომაც, ისინი ღვთის დიდებით განძლომას ვერასდროს შეძლებენ და მხოლოდ საკუთარ თავს საკმარისად არ მიიჩნევენ დიდებისთვის, არამედ ამ დიდებაში თანამეინახეებად სურთ ყველა - ანგელოზებიც, ადამიანებიც, რათა განმადიდებელთა რაოდენობის გამრავლებით უკეთ გადაიხადონ ვალი - ღვთისადმი მაღლიერება.

ამის მოწმენი აზარია და მასთან მყოფი წმინდა ყრმანი არიან, რომელთაც ცეცხლის ძალას სძლიეს, მიიღეს რა ღმერთისგან ეს მადლი (დან. 3). როდესაც თავიანთი სასწაულებრივი ხსნიისთვის მხსნელისადმი მადლიერების გადახდა და მისი განდიდება უნდოდათ, ისინი არ დასჯერდნენ იმას, რომ მხოლოდ თვითონ განდიდებინათ იგი და საკმარისად არ ჩათვალეს მხოლოდ თავიანთი ხმები, არამედ მათთან ერთად ღვთის სადიდებლად მოუწოდებდნენ ანგელოზებს, მთელ კაცობრიობას, ზეცას, მზეს, ვარსკვლავებს, მიწას, მთებს, ყველა არაგონიერ და უსულო არსებას და მთელ სამყაროს. ამდენად დიდია წმინდათა მხრიდან ღმერთის განდიდების სურვილი მაშინაც, როდესაც ისინი ჯერ კიდევ სხეულში ცხოვრობენ და კიდევ უფრო დიდი - სხეულისაგან განთავისუფლების შემდეგ.

ამიტომაც, თუკი ვინმე, მათი, მათი პატივის, ნეტარებისა და დიდების გახსენებისას, მათ დამაგვირგვინებელ ღმერთს განადიდებს, მათ ყველა სიხარულზე უდიდეს სიხარულს მიანიჭებს, განსაკუთრებით მაშინ, თუკი უფალს არა მხოლოდ სიტყვებით განადიდებენ, არამედ სამადლობელ ძღვენს შესწირავენ, რომელიც ამგვარად სასურველია ღმერთისთვის და უმაღლესად ფასობს. ამ შემთხვევაში, როგორც თავად მაცხოვარი მისგან ყოველგვარ კანონიერ მსახურებაზე უფრო დაფასებული ამ ძღვნის მოწყალებით მიღების სანაცვლოდ თავის ხორცსა და სისხლს გვაძლევს, წმიდანებიც არაფრით ისე არ ხარობენ, როგორც ძღვნით, რომლითაც მათ თაყვანისცემას ვფიქრობთ. ისინი თავს მთლიანად ჩვენთვის მსახურებას უძღვნიან ყველაფერში, რაც სასარგებლოა ჩვენთვის, რადგანაც ყველაფერში თავიანთ მეუფეს ბაძავენ.

49. მათ წინააღმდეგ, რომლებიც ამბობენ, რომ ლიტურგიაზე წმიდათა მოხსენიება ღმერთისადმი მათთვის აღსრულებული საღვთისმსახურო ლოცვაა

მაგრამ აქ ზოგიერთები გზას ასცდნენ, როდესაც წმიდათა მოხსენიება სამადლობლად კი არ მიიჩნიეს, არამედ მათთვის ლოცვად. არ ვიცი, ამგვარ აზრებს რამ მისცა საბაზი, რადგანაც ამგვარად ფიქრი შეუსაბამოა როგორც საქმესთან, ასევე ღვთისმსახურების სიტყვებთანაც.

ის, რომ საქმის არსით ეს სრულიად დაუშვებელია, შემდეგიდან ჩანს:

თუ ეკლესია წმიდანთათვის ლოცულობს, მაშინ, რასაკვირველია, ისევე ლოცულობს, როგორც ჩვეულებრივ ყველგან. რას გამოითხოვს ის მიცვალებულთათვის? ცოდვათა შენდობას, სასუფევლის დამკვიდრებას, აბრაამის წიაღში განსვენებას სრულყოფილებას მიღწეულ წმიდანებთან ერთად. ასეთია ეკლესიის ლოცვა; ამის გარდა ვერაფერს ნახავ, რასაც ის შეიძლება გარდაცვლილთათვის გამოითხოვდეს. ღმერთისადმი ჩვენი შუამდგომლობითი ლოცვა ამით შემოიფარგლება; რადგანაც, ვინც რას მოინდომებს ყველაფერზე ლოცვა როდი შეიძლება, არამედ აქაც გარკვეული კანონი და ზღვარია, რომლის გადალახვა დაუშვებელია. "რამეთუ რაიმეა იგი ვილოცეთ, ვითარ-იგი ჯერ-არს, არა ვიცით; არამედ თვით იგი სული მეოხ არს ჩუენთვის სულთქმითა მით უსიტყუელითა" (რომ. 8:26), - გვამცნო პავლე მოციქულმა. როგორც ეკლესიის მოძღვრებმა გადმოგვცეს, გვასწავლის, რისთვის უნდა ვილოცოთ.

ამრიგად, დააკვირდი, არის რომელიმე ღვთისმსახურებასა და წმიდასიტყვაობაში რაიმე ზემოთქმულზე მეტი, რისთვისაც ილოცებდა ეკლესია, და ვერაფერს იპოვი.

შესაბამისად, ღვთისმსახური წმიდანებისთვის ლოცვისას უდანაშაულოთათვის ცოდვათა შენდობას გამოითხოვს, თითქოს ისინი ჯერ კიდევ დამნაშავენი და მსჯავრს

დაქვემდებარებულნი იყვნენ; წმიდანებისთვის, როგორც ჯერ კიდევ განუწმენდელთათვის, წმიდათა თანა დამკვიდრებას გამოითხოვს; სრულყოფილთათვის გამოითხოვს სრულყოფილებას, თითქოს ჯერ კიდევ არ მიეღწიოთ სრულყოფილებისთვის, და ამგვარად, ისინი აუცილებლობით ორიდან ერთში შესცოდავენ: ან, აღიარებენ რა წმიდანების ნეტარებასა და სრულყოფილებას, ღმერთის წინაშე ამაოდმეტყველება და მათ შესახებ უაზრო ლოცვის შეთხზვა ნებაყოფლობით სურთ, რაც ღვთისმსახურებზე მეტად ღვთაებრივი საგნების აბუჩად ამგდებ ადამიანებს ახასიათებთ; ან, თუ ლოცვებს სერიოზულად აღასრულებენ, იმ შინაარსით, რომ ამით წმიდანებს სარგებელი მოუტანონ, წმიდანების დიდებას უარყოფენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ არა მარტო მათ ბღალავენ, არამედ თავად ღმერთსაც, თითქოსდა მან აღთქმული არ შეასრულა, რადგან მათ დიდებას და სასუფეველს შეჰპირდა.

სჯობს ითქვას, რომ ერთიც და მეორეც აშკარა კიცხვაა: ერთი - იმიტომ, რომ წმიდათა ნეტარება საერთოდ უგულვებელყოფილია, ხოლო მეორე - იმიტომ, რომ იქცევიათ, როგორც უარყოფელნი; ვინაიდან ვისაც ნეტარად მიიჩნევენ, როგორც ძეობის სიაში ჩაწერილებს და თავად სასუფეველის მემკვიდრეებს, იმის გამო, რომ ამგვარად უნდათ მათთვის ლოცვა, აშკარად ათანაზრებენ მათთან, ვისაც არ დაუმსახურებია ჯილდო, პატივი და დამნაშავენი არიან.

ამიტომაც, არსობრივად უაზრობაა, თუკი ვინმე ფიქრობს, რომ წმიდანებისთვის ღმერთისადმი ეკლესიის მხრიდან შეწირვა საშუამავლოა.

დავაკვირდეთ სიტყვებს: "მერმეცა შევსწირავთ შენდა სიტყვიერსა ამას მსხუერპლსა სარწმუნოებით შესვენებულთათვის: პირველთა მამათა, მამათმთავართა, წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, ქადაგთა, მახარებელთა, მოწამეთა, აღმსარებელთა, მმარხველთა და ყოვლისა სულისა, სარწმუნოებით აღსრულებულისა; უმეტესად ყოვლადწმიდისა, უზრწნელისა, უფროსადკურთხეულისა, დიდებულისა დედუფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა; წმიდისა იოანე წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლიმცემელისათა, წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა, და ყოველთა წმიდათა შენთაითა, რომელთა ვედრებითა მომხედენ ჩუენ, ღმერთო, და მოიხსენენ ყოველნი შესუენებულნი სასოებითა აღდგომისა და ცხოვრებისა საუკუნოისათა".

ეს სიტყვები არ შეიცავს წმიდანებისთვის ღმერთისადმი აღსრულებულ ლოცვას და ღვთისმსახური მათთვის არაფერს გამოითხოვს, რისთვისაც ჩვეულებრივ ლოცულობენ ხოლმე. მოიხსენებს რა სხვა მორწმუნე მიცვალებულებს, ის მაშინვე დაურთავს: "განუსუენე მათ, სადა იგი მიხედავს ნათელი პირისა შენისაი". ხოლო წმიდანებთან მიმართებით სრულიად სხვაგვარად იქცევა - მათთვის კი არ შუამდგომლობს, პირიქით, შუამდგომლებად მათ წარმოაჩენს; რადგანაც წმიდანების დასახელებისა და ჩამოთვლის შემდეგ დაურთავს: "რომელთა ვედრებითა მომხედენ ჩუენ, ღმერთო".

იმაზე, რომ ამ სიტყვებში ვედრება და ლოცვა კი არ არის ჩადებული, არამედ წმიდანებისთვის მაღლიერება, განსაკუთრებით მიგვანიშნებს ის, რომ წმიდათა სიაში ღვთისმშობელიც არის მოხსენიებული; ის კი ყოველ შუამდგომლობაზე, არა მხოლოდ ადამიანურ, არამედ ანგელოზებრივ იერარქიაზეც მაღლა დგას, როგორც ყველაზე მხურვალე გონებაზე წმიდა.

მაგრამ იტყვი, ღვთისმსახურებას ხომ ქრისტე აღასრულებს: რაღა გასაკვირია, თუკი ის შუამდგომლობს წმიდანებსაც და საკუთარ დედასაც?

ამისთვის არავითარი საფუძველი არ არსებობს, რადგან ქრისტეს შუამდგომლობის წესი ასეთი როდია. ქრისტე ღმერთსა და ადამიანს შორის შუამავლად

იქცა (1 ტიმ. 2:5), მაგრამ არა რაიმე სიტყვებითა და ლოცვებით, არამედ საკუთარი თავით, რადგანაც ღმერთად მყოფმა და ადამიანად ქცეულმა, ადამიანი ღმერთს შეაერთა, საკუთარი თავი ზღვარად დაადგინა, სადაც ურთიერთობაში შედის ღვთაებრივი და ადამიანური ბუნება. იფიქრო, რომ იგი ღვთისმსახურების ლოცვების მეშვეობით განუწყვეტლივ შუამდგომლობს - ყოველგვარი გმობა და უაზრობაა.

მართლაც, ის თავად აღასრულებს ღვთისმსახურებას, მაგრამ ყველაფრის, რაც იქ აღესრულება და ითქმება, მისადმი მიკუთვნება არ გვმართებს. რაც საიდუმლოს არსსა და მიზანს წარმოადგენს, ანუ ძღვენის კურთხევა და მორმუნეთა განწმენდა, ამას ის მარტო აღასრულებს; ხოლო ამის შესახებ ლოცვები, ვედრება, შეწევნა - ღვთისმსახურის საქმეა. პირველი მეუფის თვისებაა, მეორე - მონის. ერთი ლოცულობს, ხოლო მეორე აღასრულებს ამ ლოცვებს; მაცხოვარი გვაძლევს, ხოლო ღვთისმსახური ბოძებულზე მადლობს; მღვდელმსახური ძღვენს სწირავს, ხოლო მაცხოვარი იღებს. რასაკვირველია, მაცხოვარიც სწირავს, მაგრამ - საკუთარ თავს და ეს ძღვენი მის ხორცად და სისხლად გარდაიქმნება და თავად ქრისტეა. და რადგანაც ის საკუთარ თავს სწირავს, ითქმება, რომ ის არის შემწირველი და შეწირული და შემწყნარებელი: შემწირველი და შემწყნარებელი, როგორც ღმერთი, ხოლო შეწირული - როგორც ადამიანი. სანამ ძღვენი პურად და ღვინოდ გვევლინება, მას მღვდელმსახური სწირავს, ხოლო მაცხოვარი შეიწყნარებს.

როგორი სახით შეიწყნარებს ძღვენს მაცხოვარი? აკურთხებს მას, თავის ხორცად და სისხლად გარდააქცევს, ვინაიდან შეწყნარება, როგორც ზემოთ ითქვა, მიკუთვნებას ნიშნავს. აი, ამგვარად აღასრულებს ქრისტე ღვთისმსახურებას! აი, რა ანიჭებს მას მღვდლობას!

და თუკი ვინმე, ნათქვამის გარდა, საიდუმლო ლოცვებს, ან ყველას, ან ნაწილს, ქრისტეს სიტყვებად მიიჩნევს, ამის გამო არაფრით იქნება გამორჩეული უწმინდურთაგან, რომელთაც უფლის დიდების დაკნინება გაბედეს. წაიკითხე ყველა ლოცვა და დაინახავ, რომ მათში ყოველი სიტყვა - მონისაა. წაიკითხე ის ლოცვაც, რომელშიც ღვთისმსახური წმიდანებს ახსენებს და რომელსაც კადნიერნი ქრისტეს მიაკუთვნებენ, - და აღმოაჩენ, რომ მასში მამის თანაღირსი ძისთვის შესაფერისი არაფერია, არამედ ყველაფერი მონებისთვის არის დამახასიათებელი. უპირველეს ყოვლისა, ის ერთი პირის სახელით წარმოთქმული მადლიერება კი არ არის, არამედ მთელი კაცობრიობისგან, და იქ მადლიერები, როგორც ცოდვილნი და ღვთის კაცთმოყვარეობით არმოძულებულნი, მადლობენ. მეორე ისაა, რომ მადლიერება არა მარტო მამას, არამედ ძესაც და სულიწმიდასაც ეკუთვნის; და აქ მადლიერები იხსენიებენ ღვთისმშობელს, როგორც მონები - მზრძანებელს, ხოლო მისი და წმიდათა ლოცვით თავისთვის ღვთაებრივ მყოფობასა და მზრუნველობას გამოითხოვენ.

რა კავშირი აქვს ამას ერთიან უფალთან, ღმერთის მხოლოდშობილ ძესთან, უცოდველთან, ყოვლისმპყრობელთან? გმადლობთ შენ, - ითქმება ლოცვაში, - და შენს მხოლოდშობილ ძეს. შესაბამისად, ქრისტე მადლობს ღმერთის მხოლოდშობილ ძეს? ამ შემთხვევაში, ნესტორის უგუნური სწავლების თანახმად, ორი ძე გვევლინება. ასე რომ, უწმინდურება და სიბრიყვეა აქ ქრისტეს წმიდათა შუამდგომლად აღიარება და მისადმი ამგვარი შუამდგომლობისა და მოსარჩლეობის მიკუთვნება.

ამასთანავე, ნაჩვენებია, რომ ეს ღვთისმსახურთა შუამდგომლობაც კი არ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს სიტყვები ვედრებას კი არა, მადლიერებას გამოხატავს.

ამგვარად, შეუძლებელია, წმიდათა მოხსენიება სავედრებელი იყოს. ხოლო სამადლობელი რომ არის, იქიდან ჩანს, რომ სავედრებელი არ არის; ვინაიდან უპირობოდ უნდა იყოს ორიდან ერთი: ან სავედრებელი, ანაც სამადლობელი. მხოლოდ ამ ორი საშუალებით მოვიხსენიებთ ღმერთის წინაშე მის მიერ ჩვენდამი აღსრულებულ სიკეთეს,

ან იმისთვის, რომ მივიღოთ ის, ანაც იმისთვის, რაც უკვე მივიღეთ. ხოლო ერთი მოხსენიება - ვედრებაა, ხოლო მეორე - მადლიერება. ეს იქიდან ჩანს, რომ ადამიანთათვის ღვთაებრივ ძღვენთაგან უდიდესი წმიდათა სრულყოფილებაა და ამიტომ უსამართლო იქნებოდა, ეკლესიას ამ ძღვნისთვის ღვთისადმი მადლიერება არ გამოეხატა.

მაგრამ რატომ ვუწოდებ წმიდათა სრულყოფილებას ღვთაებრივ ძღვენთაგან უდიდესს? მასში ყველა ღვთაებრივი ძღვენია თავმოყრილი: წმიდათა სახეები - აი, მიზანი და ყველა სიკეთეთა ნაყოფი, რაც უფალმა ჩვენს მოდგმას გაუწია. ამის გამოა ჩვენთვის შექმნილი ზეცა, მიწა და ყოველივე ხილული. ამისთვისაა სამოთხე, წინასწარმეტყველები, თავად განსხეულებული ღმერთი, ღვთაებრივი სწავლება, საქმე, ვნება და სიკვდილი - რათა ხალხი მიწიდან ზეცაში გადავიდეს და ზეციური სასუფევლის მემკვიდრეებად იქცეს.

ამრიგად, თუკი ამ ღვთისმსახურებაში საერთოდ არის მადლიერება და თუკი ეს ძღვენი იმდენადვეა სამადლობელი, რამდენადაც სავედრებელი, მაშინ აუცილებელია, თავად სრულყოფილებას მიღწეულმა წმიდანებმა მთავარი საგანი და მადლიერების მიზეზი შეადგინონ.

საერთოდ კი, რა გვაიძულებს, მადლიერნი ვიყოთ? ის ხომ არა, რომ ვთხოულობთ და თხოვნილს ვიღებთ?

რას სთხოვს ეკლესია ღმერთს? იმას, რისი თხოვნაც ნამცნები აქვს - ღვთაებრივ სასუფეველს (მათ. 6:33), რათა მორწმუნეებმა დაიმკვიდრონ იგი, რათა წმიდის მოწოდებით წმიდანებად მოიქცნენ (1 პეტ. 1:15). თუკი ის ამას სთხოვს და ევედრება ღმერთს, მაშინ, ცხადია, ამისთვისვე მადლობს. ეკლესია იმისთვის ლოცულობს, რომ მორწმუნეებმა სრულყოფილებას მიაღწიონ და ამიტომაც იგი უნდა უმადლოდეს უფალს, რომელმაც ეს სრულყოფილება უკვე მიაწია წმიდანებს. სწორედ წმიდანებისთვის მადლიერების გამო იწოდება თავად საიდუმლო მადლიერებად. მართალია, ეკლესია აქ კიდევ ბევრ სხვა რამეს იხსენიებს, მაგრამ წმიდანები ყოველივეს მიზანს წარმოადგენენ და მათ გამო გამოითხოვება ყოველივე; ამიტომაც, როდესაც ეკლესია ამისთვის მადლობს, - მადლობს წმიდათა სრულყოფილებას. როგორც უფალმა ყოველივე იმისთვის ქმნა, რომ წმიდათა სახე შეექმნა, ასევე ეკლესიაც, როდესაც უფალს ყოველივესთვის განადიდებს, განადიდებს წმიდათა სახეების შემხედვარე. ამავე მიზეზით მაცხოვარმა, როდესაც ეს საიდუმლო მოგვცა, მამისადმი მადლიერებით მოგვცა, რადგანაც ამ საიდუმლოთი შეძლო ჩვენთვის ზეცის გახსნა და იქ პირშობთა ამ დიდი დასის შეკრება (ებრ. 12:22-23). მის მაგალითზე ეკლესიაც არა მარტო სავედრებელ, არამედ სამადლობელ ძღვენსაც სწირავს. ეს ბევრი სხვა რამიდანაც ჩანს, მაგრამ განსაკუთრებით იმ ლოცვიდან, რომელიც თითქოს თავის თავში ღვთისმსახურების მიზანს მოიცავს. გადმოსცემს რა ყველაფერს, რაც ღმერთმა გვიბოძა; ყოველივესთვის მადლიერების და ბოლოს მაცხოვრის განკაცების, საიდუმლოთა გარდამოცემისა და ასევე იმის მოხსენიების შემდეგ, თუ როგორ გვამცნო, რომ ჩვენც იგივე გვექმნა, ეკლესია ურთავს: "მომხსენებელნი უკუე საცხოვრებელისა ამის მცნებისა და ყოველთა ჩუენთვის ქმნილთა: ჯვარცმისა" და სხვა. ბოლოს ამბობს: "შენთა შენთაგან შენდა შემწირველნი ყოველთა და ყოველთათვის, შენ გიგალობთ, შენ გაკურთხებთ, შენ გმადლობთ, უფალო, და გვედრებით შენ, ღმერთო ჩუენო".

ხედავ? ამბობს - მოვიხსენეთ რა კეთილისმყოფელობა, აღვასრულებთ ამ ძღვნის შეწირვას. ხოლო კეთილისმყოფელის მისგან ბოძებული სიკეთისთვის ძღვნით პატივისცემა - მადლიერებას ნიშნავს. ამის შემდეგ მადლიერების ცხადად გამოსახატავად ამბობს: მოგართვით რა შესაწირი, შენ გიგალობთ, შენ გაკურთხებთ, შენ გმადლობთ, უფალო, და გვედრებით შენ, ღმერთო ჩვენო.

ამგვარია, ეკლესიის სიტყვით, ძღვნის შეწირვის მიზანი; ეს, როგორც თავიდანვე ვთქვით, არის დიდების შესხმა, მადლობა და ვედრება, ამიტომაც ეს შეწირვა ერთდროულად სამადლობელიც არის და სავედრებელიც.

ეკლესია ამბობს, ძღვნის შეწირვისას ორი რამ უნდა გვახსოვდეს: მცნება, რომელიც მაცხოვარმა ამ სიტყვებით გადმოგვცა: "ამას იქმოდეთ მოსახსენებელად ჩემდა" და ყველაფერი, რაც ჩვენი გულისთვის აღასრულა. სიკეთის გახსენება ჩვენ მხოლოდ სამაგიეროს გადახდისკენ გვიბიძგებს და, საზოგადოდ, იმისთვის რაიმეს მოტანისკენ, ვინც ესოდენ უზომო წყალობა გამოიღო ჩვენზე, ხოლო მცნების ხსოვნა გვასწავლის თავად მოწყალების ფორმას და იმას, თუ როგორ უნდა შევწიროთ ძღვენი. ჩვენ სწორედ ამ შესაწირავს გთავაზობთ, რომელიც თავად მხოლოდშობილმა გაჩვენა შენ, ღმერთს და მამას, და შეწირვისას გამადლობთ, რადგან მან მადლობა შეგწირა. ამიტომ ამ ძღვნის კურთხევაში ჩვენგან არაფერი შემოგვაქვს: ძღვენი - ჩვენი საქმე არ არის, არამედ შენ, ყოველივეს შემოქმედს, გეკუთვნის და მსახურების ამგვარი სახე ჩვენ არ გამოგვიგონია. არც ჩვენი მოგვისურვებია ამგვარი მსახურება, მასთან თავისთავად და საკუთარი სურვილით არ მივსულვართ, არამედ შენ გვასწავლე, შენ აღგვძარი მხოლოდშობილი ძის მეშვეობით.

ამიტომაც, შენთვის შეწირული შენგანვე გვებოძა - რაც შენ მოგვეცი - ყველაფერში და ყველგან შენია. ამგვარად, თავად ამ სამადლობლის შესაწირავისთვის ჩვენ კვლავ ღმერთის მადლიერნი უნდა ვიყოთ, რადგანაც მასში ჩვენი არაფერია, არამედ ყოველივე - ღვთის ძღვენია; ისიც კი, რომ ჩვენ ის გვსურს და აღვასრულებთ, ნეტარი მოციქულის სიტყვებით, ღმერთი აღძრავს ჩვენში (ფილიპ. 2:13). ამიტომ ითქმება ლოცვებში ეს სამადლობელი: "გამადლობთ შენ შეწირვისაცა ამისათვის, რომლისაი ხელთაგან ჩუენთა შეწირვად ღირს-იჩინე".

ამრიგად, აი, რა გვასწავლის, რომ ლიტურგიაზე წმიდათა მოხსენიება არ არის ღმერთის წინაშე მათთვის ლოცვა, არამედ - მადლიერებაა.

50. იმის შესახებ, თუ რამდენჯერ მოიხსენიებიან წმიდანები ღვთისმსახურებისას და რა განსხვავებაა ამ მოხსენიებებს შორის

ახლა ვნახოთ, ღვთისმსახურების დროს რამდენჯერ და როდის მოიხსენიებიან წმიდანები.

ისინი ორჯერ მოიხსენიებიან: პირველად, ღვთისმსახურების დასაწყისში, როდესაც ძღვენი მიიტანება, ხოლო მეორედ - როდესაც მსხვერპლი იწირება.

მიძღვნა ორგვარი არსებობს: პირველი - როდესაც ძღვენი მიიტანება უბრალოდ საჩუქრად (ამის თაობაზე უკვე ვისაუბრეთ) და მეორე - როდესაც ძღვენი მსხვერპლად მიიტანება. ამიტომაც აუცილებელია, ისინი, ვისთვისაც მიიტანება, მოიხსენიონ როგორც პირველ, ასევე მეორე შეწირვისას.

სწორედ ამიტომ ითქმება პირველ შემთხვევაში: "მოსახსენებელად უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი", მეორე მოხსენიებისას კი: "მომხსენებელნი უკუე საცხოვრებელისა ამის მცნებისა და ყოველთა ჩუენთვის ქმნილთა: ჯვარცმისა" და სხვა ყველაფრის, რაც ქრისტემ ჩვენ გამო დაითმინა. რასაც აქ ჯვარცმისა და მისი შემდგომი მოვლენების ხსენება აღნიშნავს, იქ იმავეს აღნიშნავს უფლის მოხსენიება; ვინაიდან პირველად ღვთისმსახური მაცხოვარს როგორც სასწაულმოქმედს კი არ იხსენიებს, არამედ როგორც ჯვარცმულსა და მომკვდარს, რაც შესაბამის ადგილას ვრცლად დავამტკიცეთ.

და კვლავ, პირველი მიძღვნიას ღვთისმსახური ამბობს: პატივად ყოვლადწმიდისა, წმიდათა შუამდგომლობისათვის, - ასევე მეორე შემთხვევაში: ყოველთა წმიდათა, განსაკუთრებით ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი. იქ ღვთისმშობლის უპირატესობა იმით აჩვენა, რომ ყველა სხვა წმიდანზე წინ დაასახელა, აქ კი, რადგანაც სხვათა შემდეგ დაასახელა, დაურთო სიტყვა: "უმეტესად".

და როგორც პირველი ხსენებისას იხსენიებს ღვთისმსახური წმიდანთა შემდეგ ყველას, ვინც წყალობას საჭიროებს, ცოცხლებსაც და მიცვალებულებსაც, და მათთვის შუამდგომლობს, ასევე იქცევა მეორე ხსენების დროსაც.

თუმცა მსგავსებასთან ერთად განსხვავებაც არსებობს. მეორედ ღვთისმსახური თავად შეწირვასაც ახსენებს: "შევსწირავთ სიტყვიერსა ამას მსხვერპლსა", - ამასთან, შეწირვის მიზეზსაც უთითებს, როდესაც დასაწყისში ან ბოლოში მაცხოვრის ვნებასა და წმიდანებს ახსენებს. პირველი ხსენებისას მხოლოდ შეწირვის მიზეზს მიუთითებს და ამბობს: მოსახსენებელად უფლისა, პატივად ყოვლადწმიდისა და ასე შემდეგ; იხსენიებს მათაც, ვისთვისაც მადლობს და მათაც, ვისთვისაც ლოცულობს. რატომაც ასე? იმიტომ, რომ ამ შეწირვით ის თავად უჩვენებს, რას სწირავს: ვინაიდან, ამოიღებს რა პურიდან ნაწილს, მას ღმერთს სთავაზობს ძღვნად, ამიტომაც არ საჭიროებს სიტყვებს, რომლებიც ამაზე მიუთითებენ. მეორე შეწირვის დროს კი არაფერს დასანახს არ აღასრულებს, მართალია, შეწირვა ხდება, მაგრამ უხილავად. რადგანაც მადლი მსხვერპლს უხილავად, მღვდელმსახურის საიდუმლო ლოცვით აღასრულებს, ამიტომ არის აქ საჭირო უხილავი შეწირვის მაუწყებელი სიტყვები.

51. იმის შესახებ, თუ რატომ უწოდებს ღვთისმსახური მსხვერპლს სიტყვიერ მსახურებას

ღვთისმსახური ამ შეწირვას სიტყვიერ მსახურებას იმიტომაც უწოდებს, რომ აქ ის არავითარ საქმეს არ აღასრულებს, მაგრამ ძღვენს აღმასრულებელი სიტყვებით სწირავს.

პირველი შეწირვა - ადამიანთათვის შესაძლებელი საქმეა; და რადგან ღვთისმსახურის მიერ აღასრულება, ამიტომ მას შეიძლება ქმედითი მსახურება ვუწოდოთ. ხოლო მეორე, ანუ ძღვნის ღვთაებრივ ხორცად და სისხლად გარდაქცევა, რაც მსხვერპლს წარმოადგენს, ადამიანურ ძალებს აღემატება: მას მადლი აღასრულებს, ხოლო ღვთისმსახური ამ დროს მხოლოდ ლოცულობს.

ამიტომაც, მართალია, მსხვერპლი ჭეშმარიტი საქმე და საგანია, მაგრამ რადგან ღვთისმსახური ამ დროს არაფერს აკეთებს, არამედ მხოლოდ ლაპარაკობს, მაშინ ის სამართლიანად აღნიშნავს, რომ არა ქმედით, არამედ სიტყვიერ მსახურებას შესწირავს.

52. იმის შესახებ, რატომ იწოდება ევქარისტიად (სამადლობლად) მხოლოდ ეს მსახურება

ეს საკითხიც ასევე არის განხილვის ღირსი.

მართლაც, თუკი ეს საიდუმლო მოქმედება - სამადლობელიცაა და სავედრებელიც, მაშინ რატომ ასევე არ იწოდება, არამედ მხოლოდ ევქარისტიად (სამადლობლად) მოიხსენიება?

სახელწოდება უმეტესით არის განპირობებული, რადგან უმეტესი საბაზი მადლიერებისა გვაქვს, ვიდრე ვედრებისა. ჩვენ უკვე იმაზე მეტი მივიღეთ, ვიდრე ჯერ კიდევ გვჭირდებოდა; ეს მხოლოდ ნაწილს შეადგენს, ის კი - მთელს; ის, რის მიღებასაც ვითხოვდით, ამ მთელის, რომელიც მივიღეთ, მხოლოდ მცირედი ნაწილია. რაც შეეხება ღმერთს, მისგან მივიღეთ ყველაფერი და მას არაფერი გამორჩენია, მაგრამ რაღაცით სარგებლობის დრო ჩვენთვის ჯერ კიდევ არ დამდგარა. ასე, მაგალითად, სხეულის უხრწნელობა, უკვდავება და ზეციური სასუფეველი; სხვა მივიღეთ, მაგრამ ვერ დავიცავით, მაგალითად, ცოდვათა შენდობა და საიდუმლოთა შედეგად მიღებული სხვა ძღვენი; დავკარგეთ იმიტომ, რომ ცუდად გამოვიყენეთ (მაგალითად, კმაყოფილება, ჯანმრთელობა, სიმდიდრე, რომელთაგანაც სიამოვნებისა და ბიწიერების საშუალება შევქმენით) და იმისთვის, რომ ცუდები არ გავმხდარიყავით, აწმყო სიკეთეს მეტი სარგებლისთვის მოვაკლდით, ისევე როგორც იობი.

აქედან ჩანს, რომ ღმერთმა სავედრებლად არავითარი ადგილი არ დატოვა, ხოლო სამადლობლად ყველა შესაძლო საბაზი მოგვცა. მაგრამ ჩვენი დაუდევრობითვე ვიხმობთ გასაჭირს და ამიტომ ვსაჭიროებთ ვედრებას.

ვნახოთ, მართლაცდა რას ვითხოვთ.

შენდობას? მაგრამ ეს ჩვენ სრულად, ჩვენი მხრიდან ყოველგვარი გარჯის გარეშე მივიღეთ წმიდა ნათლობის შედეგად. მაშ, კვლავ რატომ ვითხოვთ იმავეს? იმიტომ, რომ ცოდვებში დამნაშავენი კვლავ გავხდით. მაგრამ რა გახდა ჩვენი ბრალის მიზეზი? თავად ჩვენ. შესაბამისად, ჩვენშივეა თხოვნის მიზეზიც.

ჩვენ ასევე ზეციურ სასუფეველზე ვლოცულობთ, რათა იგი მემკვიდრეობად მივიღოთ. მაგრამ ჩვენ ხომ უკვე მოგვეცა ეს მემკვიდრეობა, რადგანაც თვით სასუფეველის მპყრობელ ღვთის შვილებად ვიქცით, ვინაიდან, ვინ არის მემკვიდრე, თუ არა ძე? და მამის ქონებიდან რა არ გადაეცემა მემკვიდრეს? არაფერი. როგორღა ვითხოვთ იმას, რაც უკვე მოცემულია? ღმერთისგან შობილებმა და ამგვარ პატივს მიღწეულებმა შვილობილისთვის შეუფერებელი საქმეები გავბედეთ და შვილობიდან მზაკვარ მონებად ვიქცით, ამიტომაც ვითხოვთ ზეციურ სასუფეველს ლოცვებში ისე, თითქოს ის ჩვენთვის უცხოა და ჩვენ არ გვეკუთვნის. შესაბამისად, თავად ჩვენ ვართ დამნაშავენი, ამ ვედრების აღსრულება რომ გვიწევს.

ხოლო ხორციელ სიკეთეებზე მაცხოვარმა მცნება დაგვიტოვა: "ხოლო თქვენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისას და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველივე შეგეძინოთ თქვენ" (მათ. 6:33). ნუ იზრუნებთ საკვებისა და სასმლისთვის და თქვენი ზეციური მამა ყოველივეს საჭიროს მოგცემთ (მათ. 6:25-32). ხოლო თუ ამ სიკეთეებს ვსაჭიროებთ, ამას ვითმენთ - ან ჩვენივე დაუდევრობითა და ურწმუნოებით და მათ შესახებ მოცემული მცნების დაუცველობით (ასეთ შემთხვევაში, როგორც საჭიროება, ასევე საჭიროებისამებრ ლოცვა ჩვენი საქმე ხდება), ან ღვთის განგებულებითა და კაცთმოყვარეობით, იობის მსგავსად უკეთესისა და უძვირფასესის მისაღებად (ამ შემთხვევაში, თუმცა გაჭირვება საღვთო საქმეა, მაგრამ ვედრებისა და მუდარის საბაზი კი არა, არამედ სადიდებლისა და სამადლობლის მიზეზია, მსგავსად იობის მიერ თქმულისა: "კურთხეულ იყოს უფლის სახელი" (იობ. 1:21) აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე).

ხედავ, რომ ყველაფერი, რაც ღვთისაგან გვებოძა, მხოლოდ განდიდებისა და მადლიერებისკენ აღგვძრავს, ხოლო ამ მუდარასა და ვედრებაში ჩვენ თავად ვართ დამნაშავენი. ამიტომაც ღვთისადმი ყველა ფიზიკური და სულიერი სიკეთის შესახებ ლოცვით მიმართვაში მათ ვახსენებთ მადლიერებისთვის, გვაქვს თუ არა, რადგან მან ერთხელ ყველაფერი გვაჩუქა და თავისთვის არაფერი დაიტოვა. იცოდა რა ეს ნეტარმა

მოციქულმა, გვამცნო, რომ ყოველივესთვის ვმადლობდეთ: "მარადის გიხაროდენ და ყოველსა შინა ჰმადლობდით" (თეს. 5:16-18).

ამიტომ ღმერთთან სრულყოფილი და ყველაზე საჭირო საუბარი საიდუმლო ზიარებაა, რომელშიც ამა თუ იმ წყალობას კი არ მოვიხსენიებთ, არამედ ყველა ახლანდელ თუ მომავალ ღვთაებრივ სიკეთეს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივი იყო ამ მსახურების ევქარისტიად სახელდება, რაც იმით კი არ არის განპირობებული, რომ საჭიროებას განვიცდით და ვითხოვთ, არამედ იმ სიკეთეებიდან გამომდინარე, რომლითაც ღმერთი გვაჯილდოებს არა ჩვენი სიგლახაკის გამო, არამედ მისი მოწყალების სიუხვით.

მართალია, რომ ჩვენ ამ დროს ღმერთს ვთხოვთ და ვმადლობთ, მაგრამ რადგან მადლიერება, როგორც აღვნიშნეთ, საღვთო საქმეა, ხოლო ვედრება - ადამიანური უსუსურობისა, ამიტომ მადლიერებისთვის საბაზი მეტია, ხოლო ვედრებისთვის - ნაკლები. მადლიერება, საერთოდ, ყველა სიკეთისთვისაა, ხოლო ვედრება - ზოგიერთისთვის, ამიტომაც იყო საჭირო, რომ ამ საიდუმლოს სახელდებისას მას უკეთესისა და უდიდესის სახელი დარქმეოდა - მადლიერება. ასეა ადამიანიც, თუმცა თავის თავში რაღაც უგუნურსაც ატარებს, გონიერ ცხოველად იწოდება, რადგან თავისი სახელდება უკეთესი და უდიდესი ნაწილიდან მიიღო.

სხვა მხრივ, მან, ვინც ამ საიდუმლოზე პირველად მიუთითა, უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, იგი ვედრებით კი არ აღასრულა, არამედ მხოლოდ მადლიერებით მამისადმი. ამიტომაც ეკლესიამ, როგორც მიიღო იგი, ასევე მოიხსენიებს - ევქარისტიად.

მაგრამ კმარა ამის შესახებ.

53. საიდუმლოთა ზიარებისთვის საერთო მადლიერებისა და ღვთისმსახურების დამამთავრებელ ლოცვებზე

ამასობაში ღვთისმსახური საიდუმლოში მონაწილეებს ზიარების მომნიჭებელი ღვთისადმი მადლიერებისკენ მოუწოდებს, არა მცონარედ, არამედ გულმოდგინედ. ანუ მადლიერებისას არ უნდა ვიწვეთ ან ვისხდეთ, არამედ ღვთისადმი სულითა და გულით უნდა ვეშურებოდეთ.

შემდეგ მღვდელმსახური მრევლს მოუწოდებს, ილოცონ, რისთვისაც ჩვეულებრივ ლოცულობენ ხოლმე, გამოდის საკურთხეველიდან, კარების წინ დგება და ყველასთვის ლოცულობს.

უნდა აღინიშნოს, რომ იგი ღვთისმსახურებისა და ამისთვის აღსრულებული სადიდებელის შემდეგ (რადგან ახლა უკვე ყველაფერი აღსრულებულია, რაც ღმერთთან მიმართებით უნდა აღსრულებულიყო) თითქოს ღმერთთან თავის ურთიერთობასა და იმ სიმაღლეს ტოვებს, რომელზეც იდგა და ნელ-ნელა თვალსაჩინოდ ხალხთან ურთიერთობისკენ ჩამოინაცვლებს. და ამას იგი ისე აღასრულებს, როგორც ღვთისმსახურს შეეფერება, რადგანაც აღასრულებს ლოცვით. ლოცვის სახეც და მღვდელმსახურის ადგილიც მისი დაღმავლობის მაჩვენებელია.

აქამდე ის საკურთხეველსა და გულში ლოცულობდა ისე, რომ არავის ესმოდა და მთლიანად ღვთისკენ იყო მიმართული, ხოლო ახლა საკურთხეველიდან გამოდის და ხალხში დგება და ყველასთვის გასაგონად ეკლესიისა და ყველა მორწმუნისთვის საერთო ლოცვას აღასრულებს. შემდეგ გამოტანილი პური, რომლისგანაც წმიდა პური იქნა ამოღებული, ნაწილებად იყოფა, მორწმუნეებს ურიგდება, როგორც პური, რომელიც წმიდა გახდა, რადგან ღვთისთვის იქნა მიტანილი და მიძღვნილი. ხოლო მორწმუნეები

მას მოკრძალებით იღებენ და ღვთისმსახურის ხელს ეამბორებიან, როგორც ხელს, რომელიც ცოტა ხნით ადრე ქრისტე მაცხოვრის ყოვლადწმიდა ხორცს ეხებოდა, თავადაც მიიღო ამის შედეგად განწმენდა და მისი გადაცემა შეუძლია ყველასთვის, ვინც მას შეეხება.

ამავე დროს ისინი ამ სიკეთის მომნიჭებელსა და მომცემელს განადიდებენ წერილიდან აღებული სადიდებლით: "იყავ სახელი უფლისა კურთხეულ" (იოზ. 1:21) და სხვა. და ამის რამდენჯერმე წარმოთქმის შემდეგ კითხულობენ სადიდებლითა და სამადლობლით სავსე ფსალმუნს. რომელია ეს ფსალმუნი? "ვაკურთხო უფალი ყოველსა ჟამსა" (ფს. 33).

პურის გაცემისა და ფსალმუნის წაკითხვის შემდეგ ღვთისმსახური ბოლო ლოცვას ხალხისთვის წარმოთქვამს, არა მხოლოდ საკურთხევლის გარეთ და ყველას გასაგონად, არამედ თავად ხალხისკენ მიმართული ლოცვის სიტყვებით და ამით მათთან მეტ ურთიერთობას წარმოაჩენს, ვიდრე მანამდე. რას შეეხება ეს ლოცვა? იმას, რომ უფალმა შეგვიწყალოს და გვიხსნას, რადგანაც დამოუკიდებლად ხსნისთვის რაიმე ღირსეულის შემატება არ შეგვიძლია, არამედ მხოლოდ იმის კაცთმოყვარეობის გვეიმედება, რომელსაც ჩვენი ხსნა შეუძლია. ამიტომაც ღვთისმსახური აქ სხვა შუამავლებსაც მოიხსენიებს და ყველას უწინარესად ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, რომლის მეოხებითაც ადრეც მივიღეთ შეწყალება.

ხოლო ეს ლოცვა ასე იწყება - "ქრისტემან ჭემმარიტმან ღმერთმან ჩუენმან"; განა რომელიმე ცრუ და მატყუარა ღმერთი, რომლებსაც ოდესღაც მრავლად ვეთაყვანებოდით, არამედ ჩვენი ჭემმარიტი ღმერთი, რომელიც ძლივს მოვიპოვეთ.

ამიტომაც, მხოლოდ მას, როგორც ღმერთს, შეჰფერის ყოველგვარი დიდება, პატივი და თაყვანისცემა, თანადაუსაზამოით მამით მისით და ყოვლადწმიდით და სახიერით და ცხოველმყოფელით სულით მისითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამინ.

დასასრული